ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№282 (341) 19-26 აგვისტო 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

“სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა” — აკაკი შანიძე

საითაც გაიქცევა, იქ წაიქცევა!..

დადგა დრო, როცა მიხეილ სააკაშვილმა უნდა გამოავლინოს თავისი სპრინტერული შესაძლებლობები – აქამდე თუ ფეხჩქარა დადიოდა, ახლა კისრისტეხით უნდა ირბინოს, რათა ქართული მართლმსაჯულების მსახვრალი ხელი არ წამოეწიოს! მაგრამ გარდაუვალ ბედისწერას ვინ გაქცევია, ეგ ეთნიკურად სომეხი და სულიერად დაშნაკი სააკიანცი რომ გაექცეს?!

მიშამ ძალიან კარგად იცოდა, რომ უამრავი მძიმე დანაშაული ჰქონდა ჩადენილი ქართველი ერის წინაშე და, როგორც კი პრეზიდენტობის ვადა გაუვიდა, წამსვე დასტოვა საქართველოს საზღვრები, და ხან ამერიკელებს ასწავლიდა ჭკუას და ხან უკრაინელებს, მაგრამ მაინც მიაგნეს...

ახლა მას სხვა საზრუნავი აქვს, მაგრამ მაინც ჩვეული უტიფრობით იმუქრება, რომ ჩამოვალ საქართველოში და ძალაუფლებას დავიბრუნებო, მაგრამ რაღაც არა მგონია, რომ მას საკუთარი სიტყვების სჯეროდეს. სამაგიეროდ სჯერათ დარჩაშვილებს, თაქთაქიშვილებს, გაბაშვილებს, კანდელაკებს, ჯაფარიძეებს და სხვა ხელმოცარულ ნაციონალებს, რომელთაც საკმაოდ მსუყე ლუკმა გააგდებინა ხელიდან **“ქართულმა ოცნებამ”.** ახლა ოხვრით იგონებენ იმ ბედნიერ ჟამს, უზრუნველად რომ ცხოვრობდნენ და აღმა-დაღმა დაქრიალებდნენ ხალხის ჯიბიდან ამოღებული თანხებით. არ იმჩნევენ, რომ მთელი ეს პრივილეგიები დაჰკარგეს და ახლა ისღა დარჩენიათ, რომ ყოველგვარ საფუძველსმოკლებული პროპაგანდისტული ტრიუკებით შეუქმნან ხალხს იმის მოლოდინი, რომ მალე დაბრუნდებიან საქართველოს ხელისუფლებაში.

თქვენი მტერი დაბრუნდეს ისე!

ახლა, სააკაშვილი იხტიბარს არ იტეხს, მაგრამ ყოველნაირად იგრძნობა, რომ შიშს ჰყავს აყვანილი და პოლიტიკური თავშესაფრის ძიებაშია.

თუმცა, ლამის გუშინდელ დღემდე იხტიბარგაუტეხლად ფაფხურობდა და ენას გვიყოფდა. 2014 წლის 28 ივლისს საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მრავალ სისხლის სამართლის საქმეში დადანაშაულებულმა მიხეილ სააკაშვილმა კიევში „საქართველოს გათავისუფლების შტაბი გახსნა“ და აშშ-თან ერთად საქართველოში ვითარების დესტაბილიზაციას ამზადებდა, რისთვისაც კიევში მოხმობილი ჰყავდა პარლამენტარი აკო მინაშვილი, რომელიც კარგა ხანია გაქრა თვალსაწიერიდან. თუმცა, როგორც ჩანს, მისთვის ბრალდების წაყენების შემდეგ კარგა მაგრად დაფრთხა და საქართველოში დესტაბილიზაციის მოწყობის გეგმა საბოლოოდ დახურა.

მართლაც, ბუნებრივად იბადება კითხვა: რომელი ქვეყნები მისცემენ სააკაშვილს თავშესაფარს, რათა მან თავი გადაირჩინოს? ფაქტია, საქართველოს პროკურატურამ უკვე მეორე წელია უცხოეთში გაქცეული დამნაშავე **“ნაციონალებიდან”** ვერც ერთის დაკავება და ჩამოყვანა ვერ შეძლო. საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით, სიტუაცია ჯერჯერობით ასე ლაგდება: თუკი მიხეილ სააკაშვილს პოლიტიკურ თავშესაფარს ერთი ქვეყანა მაინც მისცემს, ამის შემდეგ გინდა წითელ ცირკულარში ჩასვი, გინდა – ყვითელში, ძალაში რჩება მხოლოდ დაუსწრებლად გასამართლება, პატიმრობის შეფარდება და ის საქართველოში ვედარ ჩამოვა სასჯელის ხანდაზმულობის გასვლამდე, ანუ სასჯელის ვადის ამოწურვიდან კიდევ 15 წლის მანძილზე. მოდით, დავიწყოთ იქიდან, რომელმა ქვეყანამ შეიძლება მისცეს მიხეილ სააკაშვილს პოლიტიკური თავშესაფარი? შეიძლება თუ არა, ეს იყოს ჰოლანდია (რომელთა სიძეც სააკაშვილი გახლავთ), პოლონეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, საუდის არაბეთი, უკრაინა? ამ შემთხვევაში მე ჩამოვთვალე ის ქვეყნები, სადაც საქართველოს ექსპრეზიდენტს, ასე თუ ისე, ნაცნობ-მეგობრები ჯერ კიდევ ჰყავს. როგორც პოლიტოლოგები ამბობენ, წითელ ცირკულარში სააკაშვილის ჩასმა მხოლოდ საქართველოზე არ არის დამოკიდებული – **“ინტერპოლმა”** უნდა განიხილოს წარდგენილი მტკიცებულებები და შემდეგ გამოიტანოს გადაწყვეტილება, შეიძლება თუ არა, პიროვნებაზე დაიწყოს საერთაშორისო ძებნა.

დავუშვათ, დაიწყო ძებნა და მიშამ მოითხოვა პოლიტიკური თავშესაფარი. საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით, მას არ ექნება სხვა ქვეყნებში გასვლის უფლება, ყველგან იქნება პერსონა **“ნონ გრატად”** გამოცხადებული. არ არის გამორიცხული, ჰოლანდიამ მისცეს თავშესაფარი, მაინც სიძეა. მიშასთვის ეს იგივე ციხე იქნება, მაგან თუ არ ირბინა აღმა-დაღმა და ვიღაცებს არ შეხვდა, მოკვდება.

კაი, ბატონო, დავუშვათ, თეორიულად ჰოლანდია უკვე დაბევებული აქვს სააკაშვილს, არის პოლონეთი, რომელსაც ტერიტორიულად მეტი მასშტაბები კი აქვს, მაგრამ იქ მისთვის მაინც სივიწროვე იქნება. თან პოლონეთი პოსტსაბჭოთა ქვეყანაა, რუსებს ძლიერი აგენტურა ჰყავთ და არც თუ უსაფრთხოდ იქნება. ასეთივე საფრთხე არსებობს მიშასთვის უკრაინაშიც, ალბათ, უკრაინის ხელისუფლება მას პოლიტიკურ თავშესაფარს მისცემს. პოლიტიკოსების თქმით, სანამ ამერიკაში მაკ კეინი და სააკაშვილის სხვა **“მამები”** ჯერ კიდევ **“ცვეტში”** არიან, არსებობს შანსი, იქაც მისცენ თავშესაფარი. წესით, მიხეილ სააკაშვილს არ უნდა გაუჭირდეს პოლიტიკური თავშესაფრის მოპოვება, მაგრამ არსებობს სახელმწიფო ინტერესები – ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე უკვე ხელი გვაქვს მოწერილი და ევროპის ქვეყნებსაც აქვთ ჩვენს წინაშე რაღაც ვალდებულება, ბოლოს და ბოლოს, ერთი კაცის შეფარება ღირს კი სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის გაფუჭებად? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჯერ კიდევ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში გავაფორმეთ ამერიკასთან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია. ეს ქარტია დიდი არაფერია, მაგრამ სააკაშვილის წისქვილზე ასხამს წყალს ის მომენტი, რომ დღეს ამერიკაშიც და ევროპაში ანტირუსული ფონია: მსოფლიოში ჯერ კიდევ მიაჩნიათ, რომ სააკაშვილი არის რუსეთთან ბრძოლის სიმბოლო. ეს პიარია თუ პროპაგანდა, არა აქვს მნიშვნელობა, დღეს ბევრს აწყობს, რომ მიშა გამოიყენოს. 9 წლის განმავლობაში მან ძალიან ძლიერი კონტაქტები დაამყარა, რომელზეც შეიძლება ჩვენ წარმოდგენაც არ გვაქვს. აქ ფულია ჩარეული თუ სხვა ინტერესები, ეს სხვა თემაა.

დავუშვათ, სააკაშვილს ევროპის რამდენიმე ქვეყანა და ამერიკაც დაბევებული აქვს, არსებობს კიდევ ორი ისეთი ქვეყანა, სადაც შენი **“ინტერპოლიც”** და მოთხოვნებიც შეიძლება ფეხებზე დაიკიდონ – საუდის არაბეთი და ისრაელი. ალბათ, გახსოვთ მიშა ერთი პერიოდი ხშირად დაიარებოდა დუბაიში და არაბ შეიხებთანაც გადააბა კუდი კუდზე, მაშინ ამბობდნენ, მათი საშუალებით დიდ ფულს აბანდებს არაბულ ქვეყნებშიო. რაც შეეხება ისრაელს, აქ შესაძლებელია, თეორიულად, კეზერაშვილის კავშირები გამოიყენოს, მაგრამ ბოლო დროს ისრაელის სახელმწიფომ ჩვენს ხელისუფლებასთან საკმაოდ თბილი ურთიერთობები დაამყარა და ალბათ, ამ ურთიერთობებს სააკაშვილს არ გადააყოლებს.

ძალიან დიდი ალბათობით, მიშა საქართველოში არ ჩამოვა, მაგრამ ვთქვათ პრინციპულად დადგა საკითხი, რომ სააკაშვილმა სასჯელი საქართველოში მოიხადოს. მსოფლიოში არსებობს ყოფილი მაღალჩინოსნების სხვა ქვეყნიდან გატაცების გამოცდილება. ნაკლებად სავარაუდოა, საქართველოს ხელისუფლება ამაზე წავიდეს, რადგან ამას მოჰყვება ჩვენი ევროპელი და ამერიკელი მეგობრების აღშფოთება, ასევე იმ ქვეყანასთან შეგვექმნება პრობლემები, სადაც თავშესაფარს მისცემენ და გატაცება მოხდება. მაგრამ დავუშვათ, მაინც გაჩნდა სურვილი, ამ შემთხვევაში ეს საქმე უნდა შეასრულოს ისეთმა ძლიერმა სპეცსამსახურმა, როგორიც არის ისრაელში **“მოსადი”.** ჩვენ მსგავსი დონის **“სპეციალისტები”** არ გვყავს. აქედან გამომდინარე, ალბათ, ძირშივე უნდა გამოვრიცხოთ ამის ალბათობა.

თურმე, კაცს თავს სჭრიდნენ და მუწუკი არ მატკინოთო,– უთხოვია ჯალათისათვის. **“ნაციონალები”** და სააკაშვილი უკვე თავიანთი უსახელო პოლიტიკური აღსასრულის ზღვართან დგანან, მაგრამ მაინც ის ადარდებთ, რომ პარლამენტი თბილისში არ დააბრუნონ.

– ოღონდ პარლამენტი ქუთაისში დატოვეთ და სხვა რაც გსურთ ის გააკეთეთო, – განაცხადა ჯერ კიდევ თავისი პრეზიდენტობისას მიხეილ სააკაშვილმა.

ამას დიდი ყურადღება არავინ მიაქცია, მაგრამ სწორედ აქაა დამარხული ძაღლის თავი – ეთნიკურად სომეხ სააკაშვილს ხომ დიდი ქრთამი აქვს წინასწარ აღებული თავისი თანამემამულე – სომხური წარმოშობის ამერიკელ მილიარდერ კერკ კირკორიანისაგან საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადმოტანისა და აღმოსავლეთ საქართველოს გასომხებისათვის, რომლის უკან დაბრუნება მოუწევს, **“პირსაგამტეხლოსთან”** ერთად, აღნიშნული შეკვეთის შეუსრულებლობისათვის. ამიტომაც ცდილობს, რომ რაც შეიძლება მეტი ხნით დარჩეს პარლამენტი ქუთაისში, რაც ავადსახსენებელი მიხეილ სააკიანცის მიერ აღებული ვალდებულების თუნდაც ნახევრად შესრულებას ნიშნავს.

სამწუხაროა, რომ ქართველების ნაწილს ეს ვერ შეგვიგნია და ისინიც ჯიუტად მოითხოვენ პარლამენტის ქუთაისში დატოვებას, რაც ბევრს ვერაფერს მატებს ჩვენს საყვარელ ქუთაათურებს!

ახლა, როცა წინასწარი პატიმრობა აქვს მისჯილი, სააკაშვილი ისტერიულად გაჰკივის, რომ ივანიშვილმა პუტინის დახმარებითა და ხელშეწყობით მოახერხა ჩემი ხელისუფლებიდან ჩამოშორებაო. აქ კი რაღაც ნამდვილად ეშლება საპატიმროდ გახაზირებულ პრეზიდენტყოფილს.

რუსეთი თუ ნასიამოვნებია, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება რატომ გაგვიუქმა? რაღაც ვერ ჯდება ლოგიკაში ნაცების მოთქმა – ივანიშვილი და ღარიბაშვილი რუსებს დაკვეთას ასრულებენო. მაშინ ხომ უნდა დავეჯილდოებინეთ რუსებს და არა დავესაჯეთ!

არა და, თუ მართლაც ვლადიმერ პუტინის ხელი ურევია სააკაშვილის პრეზიდენტობიდან გადმოყირავებაში (სააკაშვილის ამ ისტერიულ განცხადებას ყველა სრულ აბსურდად მიიჩნევს, რადგან პუტინს თავისი საქმეებიც თავსაყრელად აქვს და დორბლიანი დაშნაკი, აღარაფრის მაქნისი სააკაშვილის დასჯისათვის დროს ნამდვილად არ დაჰკარგავს), თუმცა, სააკაშვილის **“მოგდებისათვის”** რუსეთის პრეზიდენტს ნამდვილად ეკუთვნის ქართველი ხალხის მადლობა და ბონუსჯილდო. ავყია, უზრდელ და ბრიყვ მიხეილ სააკაშვილს კი – **“ლუქს-კამერა”** საპატიმროში!!

ახლა შიშისაგან ჩასვრილი და სუნდადენილი სააკაშვილი ცდილობს გული მოგვიგოს და თავგამოდებით წერს თავისი ფეისბუქის გვერდზე: ჩემი ოჯახი და საქართველო მენატრებაო, უგულავა კი გულისამაჩუყებელ წერილს წერს შვილებს, მაგრამ ცრუობენ ორივენი – ეგენი საკუთარი ოჯახის წევრების წინაშე არ არიან გულწრფელები და ჩვენს წინაშე იქნებოდნენ?

უგულავა რომ ლას-ვეგასში ვითომ საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა და კაზინოში სახელმწიფოს ფულებს აფრიალებდა, მაშინ უნდა ეგრძნო პასუხისმგებლობა და უნდა შეეხსენებინა საკუთარი თავისთვის, რომ ოდესმე პასუხს მოსთხოვდნენ არაკაცობისათვის!

სააკაშვილი კი ხან ტუჩებს აჭამდა კახპებს და ხან ძუძუებს – გამუდმებით ღალატობდა ოჯახს და ახლა გაუსკდა სიყვარულის სანდრასა და შვილების ბუშტი?

კი იმუქრება მიშა, მალე ჩამოვალ საქართველოშიო, მაგრამ მაგას აწი ან ეტაპით თუ ჩამოიყვანენ საქართველოში, ან – კუბოთი! სხვა პერსპექტივა ამ სრულიად გაკოტრებულ დამნაშავეს აღარ გააჩნია!

აქვე, არ შეიძლება ორი სიტყვა ნინო ბურჯანაძეზეც არ ვთქვათ, ახლა მშვიდობის ანგელოსად რომ მოაქვს თავი. სააკაშვილის უამრავი დანაშაულის უშუალო თანამომაწილე ამ პიპლიკოზა-ქალბატონმა ორიოდ დღის წინ განაცხადა, მე ყოველმხრივ ხელს შევუწყობ ობიექტურ გამოძიებასო. მის ვაჟიშვილ ანზორიკოსთან საუბრის ჩანაწერს თუ გამოიტანს განსახილველად ქალბატონი ნინო, სადაც ნათქვამია, 500 კაცის სიკვდილიც არაფერიაო. ან იმას რატომ არ შეახსენებენ, მისმა მანქანამ რომ პოლიციელი მოკლა, როცა ის პროტესტის ადგილიდან გარბოდა? ან მთავრობა რატომ არ დაინტერესდა მისი დანაშაულით? ფაქტიურად, ყველა იქ მყოფთა დაშავებაც ამ ქალბატონის კისერზეა. არ არის განა ეს შერჩევითი სამართლიანობა?

ახლა ნაციონალები ბევრს ყბედობენ იმაზე, რომ სააკაშვილს დიდი ავტორიტეტი აქვს საერთაშორისო არენაზე და მას არავინ დააკავებსო. თუნდაც ასე იყოს, მივიჩნევ, რომ მიზანი მაინც მიღწეულია აღნიშნული პრეცენდენტის გამოისობით. სააკაშვილი და მისი ნაცბანდა პოლიტიკურად განადგურებულია, მომავალ თაობებს კი, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებაში მოვლენ, ეცოდინებათ, რომ ჩადენილი დანაშაულისათვის მათ ისევე მოეთხოვებათ პასუხი, როგორც ჩვეულებრივ მოკვდავებს!

როლანდ ჯალაღანია
“აია”-ს და “ფაზისი”-ს აკადემიების წევრი

სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია

მოცემულ საზღვრებში, **„აღწერისა“** და რუკების მიხედვით, არ შედის რიონისპირეთი, ცხენისწყლიდან ტეხურის ნაპირას მდებარე ისულეთამდე. ვახუშტი ამ ტერიტორიას იმერეთის სამეფოს (ვაკის) საზღვრებში აქცევს. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში ისტორიკოსი მიზნად ისახავდა ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგდროინდელი ოდიშის პოლიტიკური რეალობის აღდგენა-გადმოცემას. მაშასადამე, ისტორიკოს თ. ბერაძის აზრით, ვახუშტი ძირითადად სწორად იძლევა ოდიშის სამთავროს საზღვრებს XV ს-ის მეორე ნახევრისათვის (ბერაძე 1967: 251; მისივე სიგკ, IV, 1971: 54).

რამდენად სწორია ვახუშტის აღნიშნული ცნობები?

კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა შევეხოთ საკითხს, თუ სანამდე ვრცელდებოდა დადიანთა სამფლობელო ჩრდილოდასავლეთით XV საუკუნისათვის და მომდევნო საუკუნეში.

როგორც ვახუშტის ზემოთ დამოწმებული ცნობიდან ირკვევა, XV ს-ის მეორე ნახევრისათვის, უფრო ზუსტად – XV ს-ის 80-90-იანი წლებისათვის, ოდიშ-აფხაზეთის სასაზღვრო ხაზი იმ მთაზე გადიოდა, რაც ანაკოფიის (ახლანდელი ახალი ათონის) ჩრდილო-დასავლეთით იყო აღმართული (ბერაძე 1998: 103). საკუთრივ ანაკოფია, ვახუშტის აზრით, ოდიშის სამთავროს შემადგენლობაშია. მის მდებარეობას მეცნიერი ასე აღწერს: **„ცხომის დასავლით არს ანაკოფია და მდინარე მისი მცირე, გამომდინარე კავკასისა და მომრთველი ზღვსა ეგრეთვე ჩდილოდამ. ამ მდინარის აღმოსავლით და ზღვს კიდეზედ არს ქალაქი ანაკოფია... საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა“** (ვახუშტი IV, 1973: 781). ანაკოფია ცხომის (სოხუმის) ჩრდილოდასავლეთით, ახლანდ. მდ. ფსირცხას მარცხენა მხარეს მდებარეობს. ფსირცხა სათავეს იღებს კავკასიონის ქედის ერთ-ერთი განშტოების, ხიცმის მთისფერდობზე და ანაკოფიის (ახალი ათონის) ჩრდილოდასავლეთით შავ ზღვაში ჩაედინება. მდინარის უწინდელი სახელწოდება, ანაკოფიასთან სიახლოვის გამო, როგორც ჩანს, სწორედ ანაკოფიისწყალი ყოფილა. ვახუშტისეული **„მდინარე მისი (ანაკოფიისა – ი. კ.) მცირე“** ამას უნდა გულისხმობდეს. ფსირცხას (ანაკოფიისწყლის) მარჯვენა ნაპირზე აღმართული მთა ესაა ვახუშტისეული **„ანაკოფიის მცირე მთა, კავკასიდამ ჩამოსული“** (ვახუშტი IV, 1973: 776; შდრ. ბერაძე 1998: 103).

თ. ბერაძე შენიშნავს, რომ დიდი მეცნიერის მონაცემების სისწორეს აღნიშნული სასაზღვრო ხაზის შესახებ ადასტურებს XVI ს-ის 20-30-იან წლებში თურქი მზვერავის პატაკში დაცული ცნობა, რომ **„დადიანის ქვეყანა“,** იგივე ოდიში, ვრცელდება სოხუმამდე; სოხუმსიქით, იალბუზიდან, ანუ კავკასიონის მთავარი ქედიდან სოხუმამდე დაშვებული მთის კალთა წარმოადგენდა მიჯნას ოდიშსა და აფხაზეთს შორის (ბერაძე 1998: 103; მისივე 2007: 146).

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის (1720 -1752 წწ.) ბრძანებით 1737 წელს შედგენილ ლიხთ-იმერეთის რუკაზე ოდიშის ტერიტორია მოთავსებულია ცხენისწყალსა და იმ უსახელო მდინარეს შორის, რაც ანაკოფიის დასავლეთით არის დატანილი. თვით ამ მდინარის მარჯვენა მხარეს აღნიშნულ პირველსავე პუნქტს **„აფხაზეთი ზუფუ“** აწერია. ზუფუ კი ლიხნის უწინდელი სახელწოდებაა. ლიხნის აღმოსავლეთით ფსირცხა მოედინება. მაშასადამე, რუკაზე ზუფუსა (ლიხნი) და ანაკოფიას შუა გამოსახული უსახელო მდინარე აწინდელი ფსირცხა უნდა იყოს, რაც, რუკის შემდგენლის აზრით, წარმოადგენდა საზღვარს ოდიშსა და აფხაზეთს შორის. მაგრამ საქმე ისაა, რომ ლიხთ-იმერეთის რუკის შედგენის დროის გათვალისწინებით, ანუ 1737 წლისათვის, ამ პოლიტიკურ ერთეულებს შორის საზღვარი ფსირცხაზე კი არა, ენგურზე გადიოდა (იხ. ქვემოთ). მაშასადამე, საფიქრებელია რუკის შემდგენელს ესარგებლა ძველი ტრადიციითა და მისი დროისთვის გავრცელებული მოსაზრებით, იმის შესახებ, რომ ოდიში მოიცავდა ცხენისწყალსა და ფსირცხას შორის მოქცეულ ტერიტორიას (ბერაძე 1967: 45).

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ რუკაზე ზუფუსა და ანაკოფიას შორის სასაზღვრო მიჯნად უსახელო მდინარის მიჩნევა XV-XVI სს-თა მიჯნაზე ორი პოლიტიკური ერთეულის (ოდიშისა და აფხაზეთის) რეალური ვითარების გამომხატველია და ავსებს ზემოთ დამოწმებულ-განხილული სხვა წერილობითი წყაროების მონაცემებს.

ისტორიული საბუთებით დგინდება, რომ გარკვეულ პერიოდში სოფელი მათხოჯი ოდიშის მთავართა გამგებლობაში შედიოდა (ბერაძე 1967: 279). მათხოჯი მდებარეობს ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილებით ხონის მუნიციპალიტეტში შედის და 170 მ-ზე მდებარეობს.

1535-1550 წლებში შედგენილი **„ბიჭვინტის იადგარი“** გვაუწყებს, რომ დადიანებს აფხაზეთის საკათალიკოსო ტახტისათვის შეუწირავთ მათხოჯი თავისი მონასტრითა და სასახლით: **„კუალადცა მოგახსენეთ ჩუენ დადიანმან პატრონმან მამიამან და ძემან ჩუენმან პატრონმა ლევან დადიანმა და ძეთა ჩუენთა დადიანმან პატრონმან გიორგი და დადიანმან პატრონმან თქუენ, საშინელსა ბიჭვინთის ღმრთისმშობელსა: მანთხოჯოს სასახლე და მონასტერი, ორმცის კუამლის კაცითა და ერის აზნაურისშვილთა რატიანთა, წყლითა, ველთა, სანადიროთა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა; ჯიქთუბანი მთავარანგელოზის მონასტერი, თორმეტის კუამლის კაცითა“** (კაკაბაძე II, 1925: 182; ქსძ II, 176-179).

„იადგარში“ მოხსენიებული მეორე სოფელი ჯიქთუბანი მდებარეობს იმერეთის დაბლობზე, ზ. დ 35 მ-ზე და თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილებით სამტრედიის მუნიციპალიტეტში შედის. სამტრედიიდან 7 კმ-ით არის დაშორებული. აქ ყოფილა დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოსთა ერთ-ერთი სასახლე გვიან შუა საუკუნეებში. აქვე იდგა ქვის ეკლესია, ვარაუდით XV საუკუნის დასაწყისისა, რაც XIX ს-ში დანგრეულა (ქსე XI, 1987: 567). მაშასადამე, მათხოჯი და ჯიქთუბანი ცხენისწყლის აღმოსავლეთით, მდინარის მარცხენა ნაპირზე მდებარე ორად ორი პუნქტია, რაც ასაბუთებს მათზე ოდიშის მთავართა მფლობელობას XVI ს-ის I ნახევარში (ბერაძე 1967: 283). როგორც ჩანს, მათხოჯის ზემოთ, იმერეთსა და ოდიშს შორის საზღვარი ობოდირის მთას მიუყვებოდა, ხოლო მათხოჯის ციხის სამხრეთით ცხენისწყალზე გადიოდა.

ოდიშის მთავრების მიერ გაცემულ არც ერთ სხვა საბუთში ცხენისწყლის აღმოსავლეთით მდებარე პუნქტი დასახელებული არ არის, რაც, თ. ბერაძის აზრით, იმის საუკეთესო დასაბუთებაა, რომ იმერეთ-ოდიშის საზღვარი გადიოდა სწორედ ცხენისწყალზე და არა რიონზე (იქვე).

„აღწერის“ ციტირებული ადგილის სხვა წერილობით წყაროებთან შეჯერებით შეიძლება დავასკვნათ, რომ XV ს-ის 80-90-იანი წლებიდან XVI ს-ის 20-30-იანი წლების ჩათვლით, აფხაზეთსა და ოდიშს შორის სასაზღვრო მიჯნად ანაკოფიის დასავლეთით, ფსირცხას მარჯვენა ნაპირის მომიჯნავე ქედი რჩებოდა. ოდიშის სამხრეთი საზღვარი ძირითადად რიონის მარცხენა ნაპირზე გადიოდა და გურიისაგან გამოყოფდა; ჩრდილოეთი საზღვარი სვანეთ-ოდიშის გამყოფ ეგრისის ქედს გასდევდა; დასავლეთით შავ ზღვამდე ვრცელდებოდა; აღმოსავლეთი საზღვარი ძირითადად ცხენისწყალი და ლეჩხუმ-ოდიშის გამყოფი მთა იყო; XVI ს-ის 30-50-იან წლებში აღმოსავლეთი საზღვარი ცხენისწყლის მარცხენა მხარეზეც გადადიოდა და მათხოჯ-ჯიქთუბანსაც მოიცავდა.

XVII ს-ის I ნახევრის ოდიშის სამთავროს საზღვრებზე, როგორც ქართულ, ისე უცხოურ წერილობით წყაროებში, შედარებით მეტი ცნობები მოგვეპოვება და ამით ადვილდება საზღვრების დადგენაც.

საინტერესოა ოდიშის პოლიტიკური საზღვრების მდგომარეობა XVII ს-ის 30-იანი წლებისათვის. ამასთან დაკავშირებით საგულისხმო ცნობას გვაწვდის არქანჯელო ლამბერტი. იტალიელი მისიონერი ოდიშში მისი ცხოვრების პერიოდის (1635-1653 წწ.) ოდიშს შემდეგ საზღვრებში ათავსებს: „კოლხიდა მდებარეობს იმერეთსა (აგრეთვე ბაში-აჩუქად წოდებულსა) და აფხაზეთს შუა. იმერეთი აღმოსავლეთით აქვს და აფხაზეთი – ჩრდილოეთით. იმერეთისაგან მას ჰყოფს სახელგანთქმული მდინარე ფაზისი, რომელიც მკვიდრთაგან იწოდება რიონად“ (ლამბერტი 2011: 23).

XVII ს-ის 70-იანი წლების ოდიშის აღმოსავლეთ საზღვრად რიონს მიიჩნევს მეორე მოგზაური ჟან შარდენიც. იგი 1672 წელს სტუმრობდა ოდიშს: **„კორაქსი და ფაზისი, მდინარეები, რომლებსაც არაერთხელ იხსენიებენ ძველი ისტორიკოსები და რომლებსაც ეხლა კოდორი და რიონი ეწოდებათ, საზღვრავენ ოდიშს. პირველი გამოყოფს მას აფხაზეთისაგან, მეორე კი – იმერეთისაგან“** (შარდენი 1975).

ლამბერტისა და შარდენის ციტირებულ ცნობათა საფუძველზე ისტორიოგრაფიაში გავრცელდა აზრი XVII საუკუნეში ოდიშ-იმერეთს შორის საზღვრად რიონის მიჩნევის შესახებ (ანჩაბაძე 1947: 89).

რამდენად სწორად გადმოგვცემენ ოდიშის აღმოსავლეთ საზღვარს მისიონერები? საფიქრებელია, რომ ამ ცნობებში ასახვა ჰპოვა XVII ს-ის 30-იან წლებში ოდიშ-იმერეთში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა. კერძოდ, ეს ის პერიოდია, როცა როსტომ ხანმა და ლევან II დადიანმა (1611-1657 წწ.) კავშირი შეკრეს თეიმურაზისა და გიორგი მეფის (1604-1639 წწ.) წინააღმდეგ. ეს მოხდა 1633 წელს. ამ კავშირის პირველ აქტს როსტომ მეფისა და მარიამის ქორწინება წარმოადგენდა, რასაც გიორგი იმერთა მეფის ომი მოჰყვა ლევან დადიანთან. ომში დამარცხებული გიორგი ლევანმა დაატყვევა. **ᲘᲒᲝᲠ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲣᲐᲠᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠ ᲐᲠᲐᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ!

საზოგადოება **„ზუგდიდელი“,** თავისი სამოქმედო პროგრამიდან გამომდინარე, არის ეროვნული ტრადიციებისა და ქრისტიანული მარლმადიდებლური სარწმუნეობის დამცველი. მისთვის მიუღებელია ყოველგვარი ანტიტრადიციული, ანტიმართლმადიდებლური ქმედებების ჩანერგვა და განხორციელება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რადგან ასეთი ქმედებები საფუძველს უყრის საზოგადოების გარყვნასა და დეგრადირებას, მოსახლეობის დემორალიზაციას.

საზოგადოება **„ზუგდიდელმა“,** თამამად შეიძლება ითქვას, რომ პირველმა აშკარად ღიად დაგმო თბილისის 2013 წლის 17 მაისის მოვლენები, კატეგორიულად გაემიჯნა **ᲚᲒᲑᲗ**-ს და ოფიციალური მიმართვაც გაუგზავნა საქართველოს პარლამენტს ერთსქესიანთა ქორწილისა და **ᲚᲒᲑᲗ**-ს აღლუმების მოწყობა-ჩატარების აკრძალვასთან დაკავშირებით კანონის მიღების აუცილებლობაზე. მიმართვა აგრეთვე გამოქვეყნდა გაზეთში **„საქართველო და მსოფლიო“.**

მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტმა, დასავლეთის მიერ ჩვენი ქვეყნისათვის თავსმოხვეული, შორს გამიზნული ანტიდისკრიმინაციული კანონი მაინც მიიღო. ამ კანონის მიღებამ კი კარი გაუღო ანაკლიაში მიმდინარე წლის 20-30 აგვისტოს, მაცხოვრის კვართისა და ღვთისმშობლის სამოსლის მცველ ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში და თანაც მარიამობის მარხვაში **„კაზანტიპის“** ფესტივალის ჩატარებას. ვინც კარგადაა ჩახედული ინტერნეტში, მისთვის ნათლადაა გასაგები ამ ფესტივალის გარყვნილების განუსაზღვრელი მასშტაბი: სექსი პლაჟზე, მამათმავლობა, დედათმავლობა, ნუდიზმი, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი... მათი ლოზუნგია: სექსუალური ურთიერთობანი ყოველგვარი ვალდებულებების გარეშე, რათა ეს გახადონ მისაღები საზოგადოების ფართო მასისთვის. პირველ რიგში კი მათთვის, ვისაც იოლი ცხოვრება სურს, მხოლოდ სიამოვნებისათვის. ამით იქნებიან დაკავებულნი ფესტივალის სტუმრები. მოსახლეობას აბითურებენ: ფესიტავლისაგან ქვეყანა მიიღებს არნახულ ეკონომიკურ-ფინანსურ მოგებასო. მაგრამ ჩვენი ხედვიდან გამომდინარე, განა შეიძლება ჩვენი ერის საგანძური: სინდისი, ნამუსი, ტრადიცია, სიპეწე, პატრიოტული სულისკვეთებანი, ფულზე გავყიდოთ და ამით გვინდა სოციალური ფონის ვითომ გაუმჯობესება? ან ასეთი აღვირახსნილი ქმედებების დანერგვით, როგორ გინდა ჩამოართვა შერიგების ხელი ტრადიციების მიმდევარ ჩვენს აფხაზ და ოს და-ძმებს. განა სხვა საღი, გონივრული ბერკეტები არ არსებობს ქვეყნის ეკონომიკური დონის გასაუმჯობესებლად? არსებობს, მაგრამ რა კონკრეტულ, მიზანმიმართულ ღონისძიებებს ვატარებთ ამ მიმართულებით?

არაფერს!

იმიტომ, რომ ჩვენთან მოქმედებს დასავლეთელთა თეზა: **„ადამიანი, რომ დაიმონო, ჯერ იგი უნდა გაათახსირო, მერე კი ნახირად უნდა აქციო“.**

აქვე გვინდა მოვიყვანოთ ანტიქრისტე პოლონური ებრაული წარმოშობის **„სამასთა კომიტეტის“** წევრის ზბიგნეგ ბზეიუინსკის ე.წ. ფრთიანი ფრაზა: **„კომუნიზმის დანგრევის შემდეგ დასავლეთ სამყაროს ნომერ პირველი მტერია მართლმადიდებლობა“.** ხოლო ახლახან ერთ-ერთმა ამერიკელმა მადალჩინოსანმა განაცხადა: **„ვის რაში სჭირდება თქვენი ეროვნული ტრადიციებიო“.** ასე რომ შემოტევა აშკარად დაუფარავად გრძელდება ჩვენი ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ფასეულობების წინააღმდეგ. ეს კი ნიშნავს ჩვენთვის, ქართველი ხალხის შეგნებაში ისეთი ჭეშმარიტი ტრადიციული მცნებების უარყოფის მცდელობას, როგორიცაა ეროვნული სახელმწიფო, ხალხი, ოჯახი და სამშობლო. გლობალისტებს ამით უნდათ მიუჩინონ, რაც შეიძლება უახლოესი პერიოდისათვის, მათ ადგილი ისტორიის სანაგვეზე. ჩვენდა სამწუხაროდ ამგვარ პოლიტიკურ თამაშებში დაინტერესებული ძალები ე.წ. არასამთავრობო სექტორი თავიანთი გავლენის აგენტების ძალისხმევით დღითიდღე აფართოებს მოქმედების არეალს და საქართველო, უძველესი კულტურის ქვეყანა, უნდათ ამ აღვირახსნილობის ხელშემწყობად გახადონ. სამწუხაროდ, ამას ხელს უმართავს ამ მეტად მტკივნეული საკითხებისადმი ქვეყნის ხელისუფლების ზოგიერთი ძალების ინდიფერენტული მიდგომა და ხალხის აშკარა პასიურობა.

საზოგადოება **„ზუგდიდელმა“,** როცა წერილით მიმართა პარლამენტს **ᲚᲒᲑᲗ**-ს საკითხთან დაკავშირებით, იქვე ვითხოვდით დასავლეთიდან ფინანსირებადი ზოგიერთი არასამთავრო ორგანიზაციების მუშაობის, მიზნების შემოწმებას, მაგრამ სამწუხაროდ ეს საკითხიც პასუხგაუცემელი დარჩა.

გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან ჩვენ, ქართველ ხალხს, სრულიად საქართველოს, როგორც არასდროს, დღევანდელ ეპოქაში შეუვალი, გონივრული სიმტკიცე გვმართებს ერის, მამულისა და სარწმუნოების დასაცავად, როგორც ამაზე დიდი ილია ბრძანებდა: **„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: „მამული, ენა, სარწმუნოება და თუ მასაც ვერ ვუპატრონეთ რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას“.** დღეს ეს მოწოდება თითოეული ქართველის ცხოვრების კრედო უნდა გახდეს და დავდგეთ ყველანი იქ, **„სადაც ქარიშხალია და სისხლიანი სდგას ანგელოზი“.** ეს ხომ საქართველო და ქართველი ხალხია. ამიტომ ჩვენ საზოგადოება **„ზუგდიდელი“** ღიად ვაცხადებთ და ვითხოვთ **„კაზანტიპის“** მსგავსი ღონისძიებების ჩატარების აკრძალვას არა მარტო ანაკლიაში, არამედ საქართველოს ნებისმიერ კუთხეში.

მოვუწოდებთ ქართველ ხალხს: გამოვიდეთ საღათას ძილიდან და გადავიდეთ ფხიზელ ყოფით ცხოვრებაში, რადგან შემოტევა ორი ფრონტით ღიად და ფარულად ხორციელდება. ვფიქრობთ, საღად მოაზროვნე ქართველი საზოგადოება კარგად გაგვიგებს ჩვენს საერთო გულისტკივილს – მომავალ თაობებზე ზრუნვის თაობაზე.

საზოგადოება „ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲔᲚᲘᲡ“
სახელით
ᲝᲗᲐᲠ ᲤᲐᲪᲐᲪᲘᲐ,
ᲑᲝᲜᲓᲝ ᲯᲘᲭᲘᲐ,
ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲜᲐᲭᲧᲔᲑᲘᲐ,
ᲕᲐᲨᲐ ᲨᲘᲨᲘᲐ,
ᲙᲐᲠᲚᲝ ᲕᲔᲙᲣᲐ,
ᲡᲝᲡᲝ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ,
ᲜᲐᲙᲝ ᲛᲔᲡᲮᲘᲐ,
ᲘᲣᲠᲘ ᲒᲣᲒᲣᲩᲘᲐ,
ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲡᲐᲠᲗᲘᲐᲜᲘᲐ,
ᲒᲣᲠᲘ ᲝᲗᲝᲑᲐᲘᲐ

მოსალოდნელი საფრთხეები, ანუ ევროპელთა ტყუილები და ქართული სინამდვილე

(გაგრძელება, დასაწყისი "ილორი" № 280)

ამ დოკუმენტის მიხედვით, სტამბოლში არსებული ფრანგების საწყობიდან, ვრანგელის ნაქონი იარაღი უნდა მიეღო საქართველოს. თუ რას წარმოადგენდა ეს იარაღი, ამის შესახებ სრულ ინფორმაციას სტამბოლში მყოფი საქართველოს გენერალური კონსულის ი. გოგოლაშვილის მიერ 1921 წლის 28 თებერვალს აკ. ჩხენკელისადმი პარიზში გაგზავნილი დეპეშა წარმოადგენს. **„სტამბოლში, აქ ფრანგების – ვკითხულობთ დოკუმენტში, – მხოლოდ თხუთმეტი ათასი თოფი და ორიათას სამოცი პულემიოტი დაჟანგულია. ეხლავე ბრძოლისთვის გამოუსადეგარია. არც პატრონები და არც ყუმბარებია. მდგომარეობა კრიტიკულია.“** მომდევნო იარაღის საწყობი, რომელიც ფრანგებმა ქართველებს შესთავაზა, იქ არსებული იარაღიც უვარგისი აღმოჩნდა. ამის შესახებ იმავე ი. გოგოლაშვილის მიერ სტამბოლიდან პარიზში აკ. ჩხენკელისადმი 1921 წლის 6 მარტს გაგზავნილ დეპეშაში ვკითხულობთ: **„იარაღი დაჟანგულია, შეკეთება სჭირია. გამოდგება სამი მეოთხედი. საჩქაროდ საჭიროა სათანადო ნაწილები ლუიების პულემიოტებისათვის. პარიზიდან ნებართვის გარეშე არ გვაძლევენ. აქ მეტი არაფერია. ძლიერ საჭიროა საჩქაროდ რუსული თოფების პატრონები და სამ დიუმიანი ყუმბარები.“**

ამ დოკუმენტების მიხედვით კარგად ჩანს, რომ 1919 წელს შეპირებული იარაღიდან, 1921 წლის 25 თებერვალს საფრანგეთის ხელისუფლებამ საქართველოსთვის მხოლოდ უვარგისი, ჯართად ქცეული „იარაღი“ გაიმეტა. ჩემს მიერ მიკვლეული საარქივო მასალებით დასტურდება, რომ საბრძოლო მასალის უქონლობის გამო, ქართული ჯარის ნაწილები კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამის შესახებ კ. საბახტარაშვილის მიერ სტამბოლში მყოფი ი. გოგოლაშვილისადმი 1921 წლის 28 თებერვალს გაგზავნილ დეპეშაში ვკითხულობთ: **„მდგომარეობა კრიტიკულია. გაგრას დიდი ძალა მოაწვა. ჩვენი რაზმი აქ სულ გაწყდა... სამხედრო მასალები შემოგველია. ფრანგები აქ არაფერს გვაძლევენ. ჯარი უიარაღოდ იბრძვის.“**

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ საფრანგეთის მთავრობამ, მის ტერიტორიაზე არსებული სამხედრო საწყობებიდან საქართველოსათვის ნორმალური სახის იარაღის მიყიდვის გადაწყვეტილება მხოლოდ 1921 წლის 17 მარტს მიიღო. ეს ის პერიოდია, როცა ქუთაისში გრიგოლ ლორთქიფანიძესა და გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის ბრძოლის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკება შედგა და საქართველოს კანონიერმა მთავრობამ 17 მარტს საქართველოს ტერიტორია დატოვა.

ჩემს მიერ მოტანილი ფაქტები იმის ნათელი დადასტურებაა, რომ დასავლეთ ევროპამ, საქართველოსათვის 1919 წლის გაზაფხულზე შეპირებული იარაღი, ამუნიცია, სურსათი და ფულადი დახმარება დროულად ვერ გაიმეტა. უიარაღოდ დარჩენილი საქართველო, ჩრდილოეთის ვეშაპს ჩასაყლაპავად მიუგდო. დოკუმენტური მასალით ისიც ცნობილია, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ლიდერების „აღშფოთებამ“, ევროპული პრესის ფურცლებზე გრიგალივით გადაიქროლა. ამ შემთხვევაში, ევროპელმა ლიდერებმა ორპიროვანი იანუსისა და პოლიტიკურად მეძავის მანტია შესანიშნავად მოირგო.

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მაშინდელი და დღევანდელი ლიდერების უმეტესობას, აღნიშნული ტერმინი რომ სრულად მიესადაგება, ამის დამადასტურებლად, წარსულისა და დღევანდელობის ფონზე, შემდეგ ფაქტს შევახსენებ საზოგადოებას. მხედველობაში მაქვს 1920 წლის 16 დეკემბერი. ამ დღეს ევროპის სახელმწიფოთა უმეტესობამ (ინგლისმა და მისმა სატელიტმა ქვეყნებმა) საქართველოს პირველ რესპუბლიკას ერთა ლიგაში მიღებაზე უარი უთხრა. იმავდროულად, შესაბამისი პირობაც „დაადევნა“ – საქართველოსთვის ერთა ლიგის კარები 1921 წლის შე-მოდგომაზე გააიღებოდა და იგი ამ ორგანიზაციის წევრი აუცილებლად გახდებოდა. ასეთი ქმედებით, ევროპის ქვეყნებმა საბჭოთა რუსეთს პირდაპირ მიანიშნა; თუ საქართველოსთან მიმართებაში რაიმე სახის პრეტენზიები გააჩნდა, 1921 წლის შემოდგომამდე მოეგვარებინა. ეს გამოწვევა, საბჭოთა რუსეთმა მიიღო და ევროპისგან უიარაღოდ მიტოვებული საქართველოს დაპყრობა 1921 წლის თებერვალში განახორციელა.

ერთა ლიგის სესიის (1920 წლის 16 დეკემბერი) სხდომაზე და NATO-ს ბუქარესტის სამიტზე (2008 წლის 2-4 აპრილი) საქართველოს წინააღმდეგ ამოქმედებული ფაქტორები იდენტურია. ა) საქართველოს პირველი რესპუბლიკის ერთა ლიგაში არმიღების ძირითადი განმაპირობებელი მიზი, მეზობელი ქვეყნების მხრიდან საქართველოსთან მიმართებაში მოსალოდნელი ტერიტორიული პრეტენზიები იყო; ბ)ბუქარესტის სამიტზე, საქართველოსთვის MAP-ის არმიცემას, ისევ ტერიტორიული ფაქტორი (კონფლიქტური რეგიონები: აფხაზეთი, „სამხრეთ ოსეთი“) და რუსეთთან მოსალოდნელი დაპირისპირების წინ წამოწევა დაედო საფუძვლად; მეორე ძირითადი მსგავსება იმაში მდგომარეობს, რომ 1920 წლის 16 დეკემბერს და 2008 წლის 2-4 აპრილს, საქართველოს წარმომადგენლობებს შეპირდნენ: ერთა ლიგისა (1921 წელი) და ნატოს (2008 წელი) კარები საქართველოსათვის შემოდგომაზე გაიღებოდა. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ინგლისის მაშინ-დელი (1920 წლის დეკემბერი) პოლიტიკურად მეძავი ხელისუფლებისა და სატელიტი ქვეყნების ძალისხმევით, ერთა ლიგაში საქართველოს არმიღებით, საბჭოთა რუსეთს 1921 წლის შემოდგომამდე მოქმედების სრული თავისუფლება მიეცა. ხოლო იმავე ევროპის NATO-ს წევრი სახელმწიფოების პოლიტიკურად გამეძავებულმა მაღალჩინოსნებმა, ბუქარესტის სამიტზე დამსწრე ვლადიმერ პუტინის თვალწინ, საქართველოსათვის MAP-ის არმიცემით და ჩვენი ქვეყნის დელეგაციის „გაშავებით,“ ვ. პუტინს აშკარად მიანიშნეს: ა) ევროპისათვის საქართველო მესამეხარისხოვან ქვეყანას წარმოადგენდა და ბ) ენერგო რესურსებით, დასავლეთ ევროპის მარჩენალი რუსეთისადმი, განსაკუთრებულ დაპირისპირებას ევროპის სახელმწიფოთა ლიდერები არ მოახდენდა.

საქართველოსთან მიმართებაში ევროპელი მაღალჩინოსნებისაგან ზურგშექცევა, ნებისმიერი საშუალო დონის პოლიტიკოსისათვისაც კი, მკაცრი გაკვეთილია და მისი სიღრმისეული ანალიზი, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის არსებული სინამდვილის გათვალისწინებით გატარებას მოითხოვს. ბუქარესტის სამიტზე, რუსეთის პრეზიდენტის თვალწინ დამარცხებულმა მ. სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ, მომხდარი ფაქტის შესანიღბად და საზოგადოების მოსატყუებლად, შესაბამისი იდეოლოგიური პროპაგანდა აამოქმედა. მხედველობაში მაქვს საქართველოსთვის MAP-ზე უკეთესის „მიცემის“ გაპიარება. ამ მიზნით, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებისგან დაქირავებული ჟურნალისტები, მ. სააკაშვილის მიერ 3 აპრილს ბუქარესტში გაკეთებულ უჩვეულო განცხადებას იშველიებდნენ: „ჩვენ გავხდებით NATO-ს წევრები, დარწმუნებული ვარ, ჩემი პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე უფრო ადრე.“ ამ ტყუილის სინამდვილედ წარმოსახვაში, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ზოგიერთი მაღალჩინოსნები და თვით ანდერს ფოგ რასმუსენიც მონაწილეობდა. როდემდე უნდა ვიმყოფებოდეთ ბრიყვულ მდგომარეობაში და ვისმენდეთ ევროპის პოლიტიკურად გამეძავებული ლიდერების გაპიარებული ფორმით გადმოსროლილ ტყუილებს? მხედველობაში მაქვს საქართველოსთვის ისევ MAP-თან მიახლოების შესაძლო პიარ კამპანია.

დღევანდელ „მეოცნებე“ ხელისუფლებასა და იმავე „მეოცნებე“ პარლამენტარებს შევახსენებ მათი კოლეგების მხრიდან (ბოკერია, დარჩიაშვილი, მალაშხია, ბარამიძე, გაბაშვილი, თარგამაძე...) საქართველოსათვის MAP-ზე უკეთესის მიცემის შესახებ პარლამენტის სხდომებზე და პარლამენტის გარეთ გაწეულ დაუსრულებელ პროპაგანდას. კეთილი ინებონ და ჩაკოჭაბიტების ოსტატებმა, ნაციონალებს გაამხელინონ, სად გადამალეს საქართველოსათვის მათი ძალისხმევით „მიღებული MAP-ზე უკეთესი?“ ვის რაში სჭირდება MAP-ი ან MAP-თან მიახლოება, როცა „MAP-ზე უკეთესი გვაქვს მიღებული!“ დღევანდელი ხელისუფლება რატომ მოქმედებს ლენინის ფორმულირებით

– „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან!“ ანუ MAP-ზე უკეთესიდან MAP-თან მიახლოებისაკენ! ვინც საღად აზროვნებს და 30 ვერცხლად არ გაყიდულა, დამეთანხმება, რომ ევროპის სახელმწიფო ლიდერების ზემოაღნიშნული ქმედება, საქართველოს წინააღმდეგ „კატილინას შეთქმულების“ ტოლფას ქმედებას წარმოადგენს. მითუმეტეს, 1921 წლის თებერვლის მოვლენების მსგავსად, 2008 წლის აგვისტოს მომხდარ ფაქტთან მიმართებაში, ევროპის სახელმწიფოთა ლიდერების „აღშფოთებამ,“ „წუთიერი“ სახე მიიღო და „მესამე“ დღეს, რუსეთთან სიღრმისეული კოაბიტაციის ლაციცით დამთავრდა. ყოველივე ზემოაღნიშნული, დღევანდელი ხელისუფლების მაღალჩინოსნებისათვის ნუთუ „ჭკუის“ სასწავლებლად არ უნდა გამოდგეს? როდემდე კატილინა!!!

5) როცა ასოცირების ხელშეკრულების შესახებ ვსაუბრობთ, პირველ რიგშია გასარკვევი, – საქართველოს სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ რაიმე ნაღმი არის თუ არა მასში ჩადებული. მხედველობაში მაქვს ქართველთა ეროვნული ცნობიერების, მისი ეროვნული კულტურისა და ტრადიციული ღირებულებების მოსალოდნელი იგნორირების საფეხურები. ასეთი დაეჭვების საფუძველს, ევროპელთა რეკომენდაციით, დღევანდელი ხელისუფლებისა და პარლამენტის მხრიდან პედა-რასტიის (ბერძნული სიტყვაა) „გაკეთილშობილების“ მცდელობა და შესაბამისი კანონის მიღება იძლევა.

ჩვენ, ქართველები უკუღმა აზროვნებას მივეჩვიეთ და 2008 წლის 12 აგვისტოს სარკოზ-სააკაშვილ-მედვედევის კაპიტულანტური შეთანხმებაც ვიზეიმეთ. აქედან გამომდინარე, ხელმოწერამდე ორი თვით ადრე უნდა მომხდარიყო ამ დოკუმენტის ფართო საზოგადოების (პროფესიონალი ისტორიკოსები და პოლიტოლოგები) მხრიდან წინასწარი განხილვა და შესაბამისი დასკვნის დადება. თუკი ეს არ გაკეთდა, საფუძვლიან ეჭვი იქმნება, რომ მასში შეფარვითი ფორმით ქართველთა ეროვნული ღირსების საწინააღმდეგო დებულებებია ჩადებული. პოლიტიკა, როგორც ზემოთაც მქონდა მითითებული, მისი შედეგებით განიზომება. მხოლოდ ისეთი კურსია მისაღები, რომელიც ქვეყანას საუკეთესო ნაყოფს მისცემს. თუკი დღევანდელი ხელისუფლება ამ განზომილებით მოქმედებს, კეთილი ინებოს და მუხლობრივად გააცნოს საზოგადოებას ის საუკეთესო ნაყოფი და მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები, რომელიც ამ ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ შეიძლება მიიღოს საქართველომ. აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ფორსირებული ტემპით ხელმოწერა და მისი „ტაშ-ფანდურით“ გაფეტიშება, ყველა ვარიანტში, საზოგადოებაზე იდეოლოგიური ზემოქმედებისა და მისი ზომბირების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად უნდა იქნას აღქმული.

შოთა ვადაჭკორია,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი. ივ.ჯავახიშვილის
სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი
მეცნიერ-თანამშრომელი

მის საფლავზე ბრძნობ, რომ სიკვდილი პირობითი ცნებაა

***მამა ვიტალი** – ჩვენი დროის კიდევ ერთი დიდი წმინდანი გახლდათ.*

აფხაზეთის დარბევის შემდეგ მამა სერაფიმემ ***მამა ვიტალი*** თბილისში გამოგზავნა მეუფე ზინობთან, რომელიც წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის რუსულ ეკლესიაში მოღვაწეობდა. თბილისში 5 წლის განმავლობაში ერთ ქართულ ოჯახში მალულად ცხოვრობდა, საბუთების უქონლობის გამო, მხოლოდ დროდადრო ჩნდებოდა ხოლმე ეკლესიაში ღვთისმსახურებაზე.

უზომოდ შეუყვარდა საქართველო – თავისი წარსულითა და აწმყოთი, მადლითა და ტკივილით. იმდენად შეიგრძნო და გაითავისა ჩვენი ქვეყნის ისტორია, იმდენად შეისისხლხორცა, რომ თავის მოსახსენებელში რიგითობის მიხედვით ჩამოწერა გაერთიანებული თუ დაშლილი საქართველოს კუთხეების მეფეებისა და კურაპალატების სახელები, მათი მეფობის წლებთან ერთად, და ყოველდღიურად მოიხსენიებდა მათ.

მასზე ამბობდნენ, ერთადერთი **"ნაკლი"** აქვს, ყველაფრის გაცემა უყვარსო. მართლაც, არაფერს იშურებდა მოყვასისათვის. მრევლის შედარებით შეძლებული წევრები ცდილობდნენ, ოდნავ მაინც შეემსუბუქებინათ ამქვეყნიური ყოფა ასკეტური ცხოვრების მიმდევარი ბერისთვის; ჩუქნიდნენ რბილ საგებელს, ჩასაცმელს, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთებს, მაგრამ ნაწყალობევი მეორე დღესვე ინაცვლებდა სრულიად უცნობი, შეჭირვებული ადამიანების ხელში. ერთხელ, როდესაც იმალებოდა, სახლის პატრონი საყიდლებზე წავიდა და კარი გარედან დაკეტა. უკან დაბრუნებულმა სახლთან ხალხმრავლობა შეამჩნია. შეშინებული გაიქცა სახლისაკენ, ეგონა, მილიციელები მოვიდნენ ბერის წასაყვანადო. ის კი, თურმე, დაბლა შეკრებილ უპოვარ ადამიანებს აივნიდან ურიგებდა ლოგინსა და საჭმელს.

გულთამხილავი იყო – თავის სულიერ შვილს შეხედავდა და ეტყოდა, შენ ესა და ეს ცოდვა ჩაიდინეო.

საქართველოს ყოველთვის **"წმინდა ივერიად"** მოიხსენებდა. საოცრად უხაროდა, რწმენის აღორძინებას რომ შეესწრო. სინანულით აღნიშნავდა, რუსეთს ჯერ კიდევ სძინავსო. დიდი პატივისცემითა და სიყვარულით საუბრობდა გაბრიელ ბერზე – მშვენივრად ესმოდა სულიერი თანამებრძოლისა და ამბობდა: გაბრიელ ბერი უდიდესი ბერიაო. განუწყვეტლივ ლოცულობდა ყველასთვის, მთელი სამყაროსათვის. დღეში უამრავ მეტანიას აკეთებდა. ამ მეტანიების კვალი დღესაც აღბეჭდილია იმ ქვაზე, სენაკში რომ შეიტანა საფლოცავად. ყოველთვის მხოლოდ გასცემდა, სანაცვლოდ არაფერს ითხოვდა.

კუჭი რომ დაუავადდა, გაუსაძლის ტკივილებს ითმენდა. მრევლის დაჟინებული თხოვნით დაწვა საავადმყოფოში. კუჭის ორმესამედი ამოკვეთეს, მაგრამ პალატაშიც სხვებისთვის ლოცულობდა, საკვებსა და წამლებს მასზე უფრო მძიმე ავადმყოფებს ულაგებდა სასთუმალთან.

ოცდაათი წლით ადრე იწინასწარმეტყველა 1991-1992 წლების სამხედრო გადატრიალება, ძმათამკვლელი ომი და აფხაზეთის ტრაგედია. ხოლო როცა ეს ყველაფერი აღსრულდა, მარხვა გაამკაცრა და ლოცვა გააძლიერა. განუწყვეტლივ სახავდა ჯვარს თბილისს, დადიოდა ქუჩებში და აკურთხებდა ქალაქს: **"შეიცანით საკუთარი თავი და გაიგეთ, რომ, რაც სამყაროში ხდება, ჩვენი ბრალია, ჩვენი ცოდვების"!** – ქადაგებდა ხალხის გამოსაფხიზლებლად.

დასუსტებულმა სხეულმა ამდენს ვეღარ გაუძლო და 1992 წლის 1 დეკემბერს გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე 9 დღით ადრე მეტყველების უნარი დაუქვეითდა, მთლიანად წაერთვა სხეულის მარჯვენა მხარე. სიკვდილის წინ მონაზვნები ანუგეშა: მოდით ჩემს საფლავთან, თქვენს გასაჭირზე მომიყევით, როგორც ცოცხალს, და მე დაგეხმარებითო. იმასაც ამბობდა, სიკვდილის შემდეგ ალექსანდრე ნეველის სასწაულს გავიმეორებო.

მამა ვიტალი გარდაცვალების შემდეგ წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში დაასვენეს. წესი თავად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აუგო. და როდესაც მიცვალებულისთვის ხელში მიტევების ფურცელი უნდა ჩაედოთ, გარშემო მყოფთაგან ყველამ დაინახა, როგორ გაშალა მარჯვენა ხელი, როგორ მიიღო ფურცელი და კვლავ შეკრა. ასე გაიმეორა სასწაული, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ სიცოცხლეში იწინასწარმეტყველა.

ამავე ტაძრის ეზოში დაკრძალეს. დღემდე უამრავი ადამიანი მიდის მასთან, ესაუბრება, როგორც ცოცხალს, დახმარებასა და ნუგეშს ითხოვს მისგან. და რასაც ითხოვს, იღებს კიდეც: რამდენ უშვილო წყვილს შვილი მისცა. ყოფილა შემთხვევა, ექიმები აბორტს იუნებდნენ, ნაყოფი მახინჯი დაიბადება ან მუცელშივე დაიღუპება და დედასაც თან წაიყოლებსო. მამა ვიტალის საფლავზე ლოცვის შემდეგ გაძლიერებულ დედას შვილის მოკვლაზე სასტიკი უარი განუცხადებია და შვილიც ჯანმრთელი შესძენია. უამრავი ადამიანი განსაცდელისაგან დაუხსნია, უამრავისათვის სწორი რჩევა მიუცია. სულითა და ხორცით გაუძლიერებია. მის საფლავზე გრძნობ, რომ სიკვდილი პირობითი ცნებაა და სიტყვა **"გარდაცვალება"** ყველაზე კარგად გამოხატავს ამ მოვლენის არსს; რომ მამა ვიტალი კვლავ ჩვენთანაა, რადგან ღმერთშია და ღმერთთანაა. ეს ხომ ასეც უნდა იყოს. მადლობა უფალს ამისათვის!

საკ. ინშ.

რატომ გადასცა ფული ილია მეორემ გენერალ ბორისოვს აგვისტოს ომის დროს



საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუს გენერალ ვიაჩესლავ ბორისოვს გორის მოსახლეობის დასახმარებლად 20 ათასი დოლარი პირადად გადასცა. ამის შესახებ ინფორმაციას პრესასა და სოციალურ ქსელებს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ლეონარდო დევდარიანი აწვდის, რომელსაც გენერალ ბორისოვთან მრავალწლიანი მეგობრობა აკავშირებდა და აგვისტოს ომის დროს მასთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაში.

"ვიაჩესლავ ბორისოვს მოახსენეს, რომ ჩვენი პატრიარქი მობრძანდებოდა. უდიდესი პატივისცემა გამოიჩინა ბორისოვმა. უნდა გენახათ, დამპყრობელი ჯარის სარდალი მუხლმოდრეკილი როგორ შეეგება ჩვენს სულიერ მოძღვარს. პატრიარქმა ჯვრები ჩამოგვკიდა მე და ბორისოვს...

პატრიარქმა ბორისოვს უთხრა: აბა, შენ იცი, მშვიდობიან მოსახლეობას არაფერი დაუშავო, ჩვენ მართლმადიდებლები ვართ, რაც ერთმანეთის მტრობას და დაუნდობლობას გვიზრახავს. მოუარე ჩვენს ხალხსო. მერე უბეში ხელი ჩაიყო და პაკეტი ამოიღო. "აი, აქ 20 ათასი დოლარიაო და გაუწოდა გენერალ ბორისოვს, – მოულოდნელობისაგან ბორისოვი გაშეშდა, ხელები ჩამოუვარდა... ამას გაძლევ იმიტომ, რომ გორში ყველაზე გაჭირვებულებს და უმწეოებს მოუარო და შენი ხელით გაუნაწილო ეს თანხაო". ბორისოვმა ფული გამოართვა, დაეცა მუხლებზე, უნეტარესს კალთაზე აკოცა და უთხრა, გეფიცებით, უწმინდესო, ყოველი კაპიკი მივა გაჭირვებულ და უმწეო მოსახლეობასთან, ყველა კაპიკზე ჩაგბარდებათ სრული ანგარიშიო. ეს ყველაფერი ჩემ თვალწინ ხდებოდა", – იხსენებს ლეონარდო დევდარიანი.

მისი თქმით, მოგვიანებით ბორისოვმა მართლაც შეადგინა დახმარებამიღებული ხალხის სია და პატრიარქს გაუგზავნა.

როგორც დევდარიანი ამბობს, საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ ცხედრების გადაცემასთან დაკავშირებით რუსებისთვის საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არავის მიუმართავს.

"საბრძოლო მოქმედებები დამთავრებული იყო, მაგრამ ჩვენი დაღუპული ბიჭები ბრძოლის ველზე, რომ იტყვიან, ლპებოდნენ. ამის გამო ოსები საწვავს ასხამდნენ და წვავდნენ. გენერლებს მივუბრუნდი, მებრძოლი ხალხი ხართ და არ გრცხვენიათ, მიცვალებულებს რატომ არ ატანთ ქართულ მხარეს. ომი ომია, მაგრამ მიცვალებულებს რომ ასე ეპყრობით, ეს არც ომის კანონში წერია და არც ადამიანობაშიმეთქი. ეს რომ ვთქვი, ერთი ამბავი ატყდა, რას ჰქვია, არ ვატანთ, არავინ შემოგვხმიანებია, არც სარდალი, არც მხედართმთავარი, არც გენერალი... კაციშვილს არ მოუთხოვია მიცვალებულები. ყველამ მოუარა თავის მიცვალებულებს: ჩეჩნებმა, ოსებმა, ჩვენ, მხოლოდ ქართველი ბიჭები ყრიან ქუჩებში და ორმოებში ლპებიანო. მხოლოდ ისინი არ მოუკითხავს თავის ხელისუფლებასო", – აცხადებს დევდარიანი.

ლეონარდო დევდარიანი აფხაზეთის ომის დროს სოხუმის გარნიზონის სამხედრო კომენდანტ გია გულუას მოადგილე იყო, 2001 წლამდე კი საქართველოს სავაჭრო ეკონომიკურ წარმომადგენელად მუშაობდა რუსეთის ფედერაციაში.

ზურა ყიფშიძე: "ერთი უზრდელი კაცი ყოფილა ეგ ერდოღანი და მეტი არაფერი!"

"მე ქართველად მომიხსენიებდნენ, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ უარესსაც მიწოდებდნენ, – ისინი მე სომეხს მეძახდნენ, თუმცა მე თურქი ვარ" – ეს განცხადება თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში გააკეთა... პრემიერ-მინისტრ ერდოღანის ამგვარმა გამონათქვამმა თურქეთის მედიასა და სოციალურ სივრცეში აღშფოთება გამოიწვია.

ამ საკითხზე ჟურნალისტმა მანანა გაბრიჭიძემ კომენტარი სთხოვა ცნობილ ქართველ მსახიობ ზურა ყიფშიძეს...

"– უზრდელი ყოფილა ეგ ერდოღანი და მეტი არაფერი... შეეძლო ეთქვა, თურქი ვარო და ნორნალური ფორმით ეთქვა, რომ არ არის ქართველი, ან სომეხი... რას ჰგავს ასეთი განცხადება – ქართველს მეძახდნენ, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ უარესსაც მიწოდებდნენო?! არაფრის თქმა არ შემიძლია იმის გარდა, რომ ძალიან უცნაური კაცი ყოფილა ვიღაცაა ეგ ბიძია-ბაბუა ერდოღანი...

– ამ დროს ქართულ სატელევიზიო არხებზე სულ თურქული სერიალები გადის...

მაგრამ მაქვს ინფორმაცია, რომ ძალიან ბევრი ხალხი უყურებს და დიდი პოპულარობითაც სარგებლობენ ეს სერიალები. თუმცა ამ მხრივ პრობლემა საკუთარ თავებში უნდა ვეძებოთ, ჩვენ უნდა გამოვფხიზლდეთ, ერდოღანი კი არა..."

ერდოღანი მხოლოდ უზრდელი კი არაა, ქართველებს ერადაც არ აღიარებს და რაღაც სამარცხვინო წარმონაქმნად მიაჩნია.

ამიტომაა აუცილებელი ბოიკოტი გამოვუცხადოთ ყოველივე თურქულს, არ ვიაროთ მათ კაფეებსა და რესტორნებში, არ შევიძინოთ თურქეთიდან შემოტანილი ისედაც ჯანმრთელობისათვის მავნე კვების პროდუქტები და სხვა სამომხმარებლო საგნები, რომლებიც ექსპლოატაციის დაწყებისთანავე გამოდიან მწყობრიდან.

ეს უნდა იყოს პასუხი პირდაუბანელი და სისხლამდვრეული თურქის რასისტულ გამოხტომაზე!

"სამწუხაროდ, ერდოღანს ზოგჯერ ენა წინ უსწრებს", განაცხადა ერდოღანის ამ უზრდელურ განცხადებაზე თურქეთში მცხოვრებმა ქართველმა ორჰან ბერიძემ:

"– თურქეთში საპრეზიდენტო არჩევნებია (რომელშიც თურქმა ერდოღანმა გაიმარჯვა) და ოპოზიცია ზოგჯერ არასწორ ბრალდებებსაც უყენებს პრემიერს, მათ შორის, ისეთებსაც, რომელიც ერდოღანის ეროვნებას შეეხება. ბევრგან წერენ, რომ ის ებრაელი ქართველია, წერენ რომ სომეხია და სხვ. ასე ვთქვათ, ერდოღანი დაღალეს იმ თემაზე ბევრი საუბრით, რომელიც მის ეროვნებას ეხებოდა და ერდოღანმა ამით მათ გაუთავებელ ლაპარაკს პასუხი გასცა. მან სიტყვა-სიტყვით ასეთი განცხადება გააკეთა: "მე მეუბნებიან, ქართველი ხარო, მეტიც, ზოგი იმასაც კი მეუბნება, სომეხი ხარო". მისი ამ სიტყვებიდან ისე ჩანს, რომ ქართველობა ცუდია, მაგრამ სომხობა კიდევ უფრო ცუდია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ერდოღანი არასოდეს იტყვის იმას, რომ ქართველობა ცუდია და ქართველები დაბალი დონის ხალხი არიანო, რადგან მას საქართველო უყვარს. მას კარგი ურთიერთობა აქვს ხელისუფლებასთან, ქართველ ხალხთან. თურქეთში ჩემნაირი ბევრი ქართველი ცხოვრობს, რომლებთანაც ერდოღანს ასევე მეგობრული ურთიერთობები აქვს. მე ძალიან ბევრჯერ მოვისმინე მისი ეს ნათქვამი და ისეთი აზრი გამოვიტანე, რომ, უბრალოდ, ცუდად გამოუვიდა ნათქვამი. დავუკავშირდი ხალხს ვინც ერდოღანს იცნობს და ვუთხარი, რომ გადაეცით გააკეთოს განცხადება და ასე ვთქვათ, საკუთარი ნათქვამი განმარტოს..."

გვინდა ვერწმუნოთ ბერიძეს, მაგრამ, როგორც ამბობენ: **"ფიცი გვწამს, მაგრამ ბოლო გვაკვირვებს"!**

ფაქტია, რომ სრულიად საქართველომ თურქეთის პრეზიდენტ რეჯეპ ტაიპ ერდოღანის ეს როყიოდ თუ შეგნებულად წამოროშილი ფრაზა პირად შეურაცხყოფად მიიღო.

ამბები სამეგრელოდან

მაშველებმა დაკარგული ტურისტები ცაგერის მაღალმთიანი ზონიდან ჩამოიყვანეს

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამმართველოს მე-3 ქვეგანყოფილების მაშველებმა, ჩატარებული სამაშველო ოპერაციის შედეგად, ცაგერის მუნიციპალიტეტში დაკარგული ტურისტები მაღალმთიანი ზონიდან ჩამოიყვანეს.

"112-ში" შვეიცარიის საელჩოს წარმომადგენლისგან შევიდა შეტყობინება, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტში, ძუღურის მინერალური წყლების მიმდებარე მთის ხეობაში, მაღალმთიან ზონაში იმყოფება შვეიცარიის 2 მოქალაქე, რომლებსაც გზა აებნათ და დახმარება ესაჭიროებათ.

შსს-ს მაშველები შეტყობინების მიღებისთანავე გავიდნენ საძიებო ზონაში და დაკარგული ტურისტები მდინარე ძუღურისღელის სათავესთან იპოვეს. ერთ-ერთი ქალბატონი თავს შეუძლოდ გრძნობდა.

საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის მაშველ-ინსპექტორებმა მას ადგილზე აღმოუჩინეს პირველადი სამედიცინო დახმარება და მაღალმთიანი ზონიდან ჩამოიყვანეს. ორივე ქალბატონი გადმოყვანილია თბილისში. ამჟამად მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ალბათ საჭირო იქნება ტურისტების მკაცრად გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ მეგზურის გარეშე ნუ წავლენ ღირშესანიშნავი ადგილების მოსანახულებლად, რადგან მთაგორიან საქართველოში, განსაკუთრებით კი სამეგრელოს მთიან ზონაში, საკმაოზე მეტია ქარაფები, უძირო წყალსატევები, მიწისქვეშა მდვიმეები და ისეთი მიუდგომელი ადგილები, რომლებიც რეალურ საფრთხეს შეუქმნიან იმ მხარის არმცოდნე ტურისტს.

ანსამბლი "მეგა" სოლო კონცერტით სენაკელთა წინაშე

2014 წლის 8 ივლისს, აკაკი ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჩატარდა სენაკის ბავშვთა სახალხო ქორეოგრაფიულ ანსამბლ **„მეგას"** სოლო კონცერტი.

ანსამბლს ხელმძღვანელობდნენ არტისტიზმითა და პროფესიონალიზმით გამორჩეული ქორეოგრაფები: მამუკა მესხიშვილი და ეკატერინე გაბრავა.

სოლო კონცერტმა კიდევ ერთი გამარჯვება მოუპოვა ანსამბლს. მაღალი კულტურითა და გემოვნებით შესრულებული ცეკვები იყო სინთეზი წმინდა საცეკვაო ელემენტებისა ქართულ კულტურასთან, მის ადათ-წესებთან. რეპერტუარის მრავალფეროვნებას ცეკვად გარდასახული საქართველოს ყოველი კუთხის ტრადიციათა სიმდიდრე განაპირობებდა.

ქართული ცეკვა და სიმღერა გენეტიკურ კოდად მოჰყვება ეროვნულ ცნობიერებას. ეს შეუფასებელი განძი ყოველი ჩვენთაგანის სულიერების თანხმლებია. კონცერტს განსაკუთრებულ ელფერს ჰმატებდა სტუმრად მოწვეული აჭარის ხელოვნების სკოლის ხალხურ საკრავთა ჯგუფის მომღერლებისა და კულტურის ცენტრის თანამშრომლების შემოქმედება.

კონცერტის ფინალმა დიდი ოვაციები გამოიწვია. ქორეოგრაფების: მამუკა მესხიშვილისა და ეკატერინე გაბრავას მიერ შესრულებული ქართული ცეკვა იყო ულამაზესი სანახაობა, მომგვრელი ეროვნული სიამაყისა და იმ დიდი სიხარულისა, ქართველად დაბადება რომ ჰქვია. მათი მემკვიდრის – ტატო მესხიშვილის სცენაზე უეცარმა გამოჩენამ დარბაზში საოცარი ეფექტი მოახდინა. ეს ულამაზესი საღამო დიდხანს შემორჩება მაყურებლის მეხსიერებას.

დასრულდა გოგა ჭითანავას და ლევან ტურავას სახელობის ტურნირი

8 აგვისტოს დასრულდა 2008 წელს ტრაგიკულად დაღუპული რეზერვისტების, გოგა ჭითანავას და ლევან ტურავას სახელობის რიგით მეექვსე გათამაშება მინიფეხბურთში. ტურნირი ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა და მასში მონაწილეობა 8 გუნდმა **(„საძმო", „ხამისკური", „პირველი მაისი", „ხობი", „წინაგოლა", „ხეთა (ცენტრი)", „ბანკი ფინკა" და „ს.კ. იმედი")** მიიღო.

ტურნირში მესამე ადგილი პირველი მაისის გუნდმა მოიპოვა, ფინალში ერთმანეთს წინაგოლისა და ხეთის (ცენტრის) ფეხბურთელთა გუნდები დაუპირისპირდნენ, შეხვედრა ხეთის (ცენტრის) ფეხბურთელთა გუნდის გამარჯვებით დასრულდა. ტურნირის დახურვის ცერემონიალს გოგა ჭითანავას და ლევან ტურავას ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელი შავლეგ ბუკია და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. გამარჯვებულ გუნდს თასი ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გადასცა, შესაბამისად მეორე და მესამე ადგილზე გასულ გუნდებს სიგელები და თასები გადაეცათ.

ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲙᲐᲪᲝᲑᲘᲡᲐ

ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲫᲐᲮᲔᲡ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲙᲘᲔᲕᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲔᲖᲐᲚᲔᲥᲜᲘᲡ ᲛᲐᲘᲓᲐᲜᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ! ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲨᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲒᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲓᲐ

კიევში ქალაქის ხელისუფლების წარუმატებელი მცდელობა, გაეწმინდათ მაიდანი და კარვების ქალაქის დემონტირება მოეხდინათ, პოლიციასთან მასობრივ შეტაკებებში გადაიზარდა. კიევის ცენტრი ცეცხლწაკიდებული საბურავების შავ კვამლში გაეხვია, კვლავ ფეთქდებოდა მოლოტოვის კოქტეილები! დღეს კი აქტივისტები ხელახლა ამაგრებენ ბარიკადებს მაიდანზე, რისთვისაც მასიურად აიღეს ტროტუარის ფილები, რითაც ბარიკადებს ამაგრებენ მთავარ ფოსტასთან, ქალაქის მერიამ ერთი თვის წინ რომ აღადგინა. მაიდანზე მუსიკოსები სიმღერებს ასრულებენ გიტარაზე, სცენის წინ რამდენიმე ათეული კაცია. მთლიანად მაიდანზე მშვიდი სიტუაციაა, თუმცა, მნიშვნელოვანი გამოცოცხლება შეინიშნება ქალაქის მერიის მხრიდან.

პარაშენკომ მხარდასაჭერად ვარშავიდან კიევში სასწრაფოდ უხმო **„ნეზალეჟნი“** სააკაშვილს, რომელიც იქ სენატის მარშალ ბორუსევიჩს, საგარეო საქმეთა მინისტრ სიკორსკისა და სხვებს ხვდებოდა. პოლონეთში სააკაშვილი პროპაგანდის საკითხებში თავის რეიხსლაიტერთან, უშიშროების საბჭოს ექსმდივან გიგა ბოკერიასა და განსაკუთრებით დაახლოებულ ნაცპარლამენტარ დავით საყვარელიძესთან ერთად იმყოფებოდა. განიხილებოდა საქართველოში, ხელისუფლების სათავეში, მისი დაბრუნების შესაძლებლობები, ასევე, პოლონეთის მიერ სააკაშვილისთვის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის საკითხი.

„ᲔᲠᲝᲡᲘ ᲙᲘᲬᲛᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ “ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-2”-ᲖᲔ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“

ვის დავალებას ასრულებდა ქილერი, რომელიც მიწისქვეშა ავტოფარეხში ელოდა ეროსი კიწმარიშვილს და მანქანის უკანა საჯდომიდან თავში გასროლით მოაკვდინა იგი? რატომ დაიწყეს ამ მკვლელობის კვალდაკვალ ნაციონალებმა გამუდმებული ლაპარაკი თბილისის აეროპრტიდან **“რემენად”** სახელდებული პირის იდუმალი გაუჩინარებისა და **“რუსთავი-2”**-ის დაშლის შესახებ, რასაც ახალი ხელისუფლება თითქოსდა ივანიშვილის დავალებით აპირებს? რატომ უსწრებდა წინ სააკაშვილისათვის ბრალის წაყენებას კიწმარიშვილის მკვლელობა?

„ივანიშვილი პუტინის დავალებით აპირებს, გააკონტროლოს საქართველოს მთელი ტელესივრცე!“ – გაჰკივის მთელ ხმაზე სააკაშვილი და ცდილობს, გამოიწვიოს დასავლეთის აღშფოთება თავისუფალ მედიაზე ზეწოლის საბაბით, რათა, 2003 წლის ნოემბრის მსგავსად, **“ვარდების გადატრიალების”** მეორე სერია მოამზადოს.

ამასთან ერთად, სააკაშვილი აკეთებს მსუბუქ მინიშნებას – აქაოდა, კიწმარიშვილი ივანიშვილის დაკვეთით მოკლეს, რათა **“რუსთავი-2”**-ის დაუფლებაში ან დახურვაში ხელი არ შეშლოდა; მკვლელი კი სავსებით შესაძლებელია, თავად **„რემენა“** ან შავი სამყაროს სხვა წარმომადგენელი იყოს, რომელსაც თბილისის აეროპორტში ახლანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები პომპეზურად ხვდებიანო.

სინამდვილეში სააკაშვილი ცდილობს, მოსპოს ყოველგვარი ეჭვის საფუძველი, რადგან კიწმარიშვილი, სწორედაც რომ მისი დავალებით მოკლეს. **“რუსთავი-2”**-ის ყოფილმა შეფმა მართლაც რომ უამრავი რამ იცოდა სააკაშვილზე და მის სასამართლო პროცესზე ფრიად საშიშ მოწმედ შეიძლებოდა წარმსდგარიყო; ან სულაც, ნაცმოძრაობისთვის ზიანის მომტანი ახალი გადაცემა წამოეწყო აღნიშნულ ტელეარხზე. ფაქტია, რომ კიწმარიშვილს სურდა, სასამართლოს გზით რეალურად დაებრუნებინა **“რუსთავი-2”**, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუშლიდა სააკაშვილის რევოლუციურ გეგმებს მოქმედი ხელისუფლების დასამხობად.

რაც შეეხება მკვლელს, ის იგივე ქილერია, რომელმაც ზუსტად 21 წლის წინათ, 1993 წლის 8 აგვისტოს, ნატახტართან თავში გასროლით ავტომობილის უკანა საჯდომიდან სიცოცხლეს გამოასალმა **“ცე-ერ-უ”**-ს დირექტორი კავკასიის საკითხებში ფრედ ვუდროფი. აღნიშნული საქმის გამოძიება განაახლა საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ და, როგორც კი დასახელდება ვუდროფის მკვლელი, ცნობილი გახდება კიწმარიშვილის მკვლელის ვინაობაც!

საქინფორმის რედაქცია
2014 წლის 5 აგვისტო
საქართველო, თბილისი

გაზეთ “ᲘᲚᲝᲠᲘᲡ” კომენტარი: დააკვირდით ამ სურათებს და თუ ვინმე მაინც დაამტკიცებს, რომ სააკაშვილი ნორმალური ადამიანია, თავად მის სრულფასოვნებაში შეგვეპარება ეჭვი.

ჩამოეთრეს არამზადა დაშნაკი სააკაშვილი საქართველოში და ქართველი ხალხი მას ისეთ “მაიდანს” მოუწყობს, რომ იქვე მდგარი ცელიანი სიკვდილი სანატრელი გაუხდება!

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

ᲒᲘᲮᲐᲠᲝᲓᲔᲡ

ფარაონო, შენი ბედის
თუ გენია დაგაცხრება,
ეს ხვედრია შემოქმედის,
გიხაროდეს დამარცხებაც.
დრო ხომ სულის სამჭედლოა,
არ ჩააქრო უნდა ბრძმედი.
გიხაროდეს, თუ კი დროა
პოეზიით რომ დაბრძენდი.
ავ სიტყვებს კი მოერიდე,
არ დაღალო ფუჭად ბაგე,
შენ მით ნექტარს უნდა ღვრიდე,
გიხაროდეს სიჭარმაგე.
შემეცნების შეხებისას
ბოროტება რომ დაცხრება,
მზის სინათლის შეხედვისას
გიხაროდეს დამარცხებაც.
და თუ შენთვის საღამოა,
გარდაიქცე თიხად ოდეს,
სხვებისთვის რომ მზე ამოვა
ესეც უნდა გიხაროდეს.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ

ლექსი ფასდება აზრით და რითმით;
არ უნდა გძლიოს ეშმა-მაცდურმა,
ადამიანმა კელაპტარივით
სიცოცხლე უნდა განვლო კაცურად.

ადამიანი საქმით ფასდება,
თუ მისდა მრწამსად შენათავსია,
გულით გიყვარდეს შენი მსგავსება,
რაც ამ ცხოვრების შინაარსია.

ვიწრო ბილიკი თუ გზატკეცილი,
ბუნება რომელს დაგპირებია?
ნუ ხარ მოყვასი ფრთებშეკვეცილი,
ეს ხომ სიცოცხლის ნაპირებია.

შენი სინდისის მტკიცე სარჩული
– მორალი რაღას განაპირობებს?
თუ ხარ პერსონა, სხვისა მსაჯული,
არ გაირიყო სანაპიროზე.

ადამიანო, როცა ფრთებს გაშლი,
არ დაარღვიო ეს სიმეტრია,
თანბამოძმეთა ამ ცხოვრებაში
შენი ადგილი ეპიცენტრია.

შენი ქმედება თვითვე გაზომე,
მით ურწმუნონი რომ მოარჯულო,
არ გასცდე ედემ-ბაღის გაზონებს,
ღვთიურ გონებით რომ იმსაჯულო.

ფარისევლებად ხომ არ ვიაროთ,
სანამ სამყარო არ შეგვიძვრია,
სიმართლე უნდა ხომ ვაღიაროთ,
მე სხვანაირად არ შემიძლია.

მთელი არსებით იცან ვინცა ხარ,
რომ შემეცნებით გაამზიანო,
როდესაც რამეს მიზნად ისახავ,
დაფიქრებულ ხარ, ადამიანო?!

უნდა ეძიო, კიდეც ჰპოვებ მას,
აქსიომაა ესეც უდაო,
ქმნის მატიანეს შენსას პოემად,
სინდისიც აღარ დაახურდაო.

მეც ამ იმედით თქვენთან მოვედი,
ვინძლო ნაპერწკლად მისხალ ვიელვე,
თქვენგან სრულიად არ მოველოდი
სულით ამდაგვარ სიცარიელეს.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲯᲘᲥᲘᲐ,
ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣ, ᲡᲝᲤ ᲚᲔᲡᲘᲭᲘᲜᲔ

ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲛᲝᲔᲥᲪᲐ

ორი ფრანგი ქალი საქართველოში მას შემდეგ დააკავეს, რაც მათ დაფალგანი (ფრანგული პარაცეტამოლი) კოდეინის შემცველი ტკივილგამაყუჩებელი აღმოუჩინეს, რომელიც რეცეპტით ჰქონდათ გამოწერილი.

წამალი, რომელიც აგრეთვე ცნობილია სახელით **“კო-კოდამოლი”**, ჩვეულებრივად იყიდება საფრანგეთში და გაიცემა რეცეპტის გარეშე, თუმცა ეს მედიკამენტი საქართველოში აკრძალულია და ნარკოტიკულ საშუალებად ითვლება.

ერთ-ერთი ქალი, აზრუ ბილიჩი, რომელიც სტრასბურგის მცხოვრებია, ფრანგულ რადიოსთან საუბრისას ამბობს, რომ საქართველოში ერთი დღით თურქეთიდან გადმოვიდა. მისი თქმით, მან სამართალდამცავებს განუმარტა, რომ წამალს თავის ტკივილის გასაყუჩებლად იყენებდა, მაგრამ ის და მეორე ქალი, რომლის სახელიც ცნობილი არ არის, აკრძალული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის გამო დააკავეს.

ბილიჩი 2500 ევროთი დააჯარიმეს და საბოლოო განაჩენის გამოტანამდე საქართველოში დარჩენა მოთხოვეს. ის და მისი თანამგზავრი ერთ კვირაზე მეტი იმყოფებიან ამ რთულ სიტუაციაში. ბილიჩმა განაცხადა, რომ დახმარებისთვის საქართველოში საფრანგეთის საელჩოსაც მიმართა, თუმცა მას უთხრეს, რომ არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ და რომ მას ძალიან გაუმართლა, ციხეში რომ არ აღმოჩნდა.

ქალი საკუთარ მანქანაში ცხოვრობს, რომელიც თბილისის სასამართლოს სიახლოვეს ჰყავს გაჩერებული. ამ ამბავთან დაკავშირებით **“როიტერი”** საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაუკავშირდა, სადაც განაცხადეს, ქალებს ყველა შესაძლო დახმარება გაუწიეს. **“იმედი გვაქვს სასამართლო პროცესი მალე დასრულდება”,** – განაცხადა სამინისტროს წარმომადგენელმა და დაამატა, რომ სამინისტროს საიტზე გამოქვეყნებულია გაფრთხილება იმ მედიკამენტების შესახებ, რომელიც ზოგ ქვეყანაში, ისევე როგორც საქართველოში, აკრძალულია.

“ქართ”-ძირის ეტიმოლოგია

– “ქართ”–ძირზე ნაწარმოებია უძველესი ტოპონიმები, რომელნიც გვხვდებიან ევროპის, აფრიკის და აზიის ტერიტორებზე.

– ფინიკურად და არამეულად “ქართა” ნიშნავს ციხესაც და ქალაქსაც, გვიანდელ არამეულ დიალექტებში მან მიიღო ფორმა „კარდა“. უგარიტულად ციხე-ქალაქს ქვია “ქრთ”, ძველ ებრაულად “ქერეთ”. პელაზგურადაც ციხე-ქალაქის აღმნიშვნელი სიტყვის ელინიზირებული ფორმაა “კარდა”, მაგრამ მისი უფრო არქაული ფორმა რომ არის “ქართა”, ამას ადასტურებს პელაზგური კრეტის სახელწოდება “ქრთ” ან “ქართეზია” ქალაქით “ქართეა”, ეს სახელწოდება დღემდე მოღწეულია კიდევ ერთი ელინიზრებული ფორმით „ბორთონა„ (პელაზგური მაკედონიის რეგიონში “ბერმეაში” კი არის მთა “სქარდი” ამავე სახელწოდების ქალაქით, აქვეა ქალაქი “მარგა” და მდინარე “მარგი”). მეგრელები თბილისს ეძახიან “ქართს” ქალაქის მნიშვნელობით და ამასთანავე “ქართა” მეგრულად ნიშნავს ციხის ქონგურს. არმაზის ციხეს ადრე ერქვა “ქართი”, რაც ზოგადად ციხე-ქალაქის სახელწოდება უნდა ყოფილიყო. ეთნონიმი “ქართველი” სოც-მეცნიერი გ. მელიქიშვილის თვალსაზრისით აღნიშნავს ციხე-სიმაგრის მობინადრეს. ასევე ციხე-ქალაქის აღმნიშვნელია ფრიგიელების (იგივე “ბერეკინტების”=”კორდუების=გორდიების”) დედაქალაქის სახელწოდება “გორდიონი”-”გორდონი”. ერთ-ერთ ქართულ “ტომს” “კარდუხებს” მეორენაირად ეძახდნენ “გორდუენოს”-”კორდუენოს”, რომლებიც ცხოვრობდნენ აგრეთვე არარატის მთიანეთშიც. თარგუმში (ბიბლიაში) არარატის მთას (მთებს) ეწოდებოდა “კარდუს” მთა (მთები), ანუ “კართდუნიას”=”ქართ-ქვეყნის” მთა (მთები). პეტრე პატრიკოსი (VI ს.) ამ ქვეყანას მოიხსენიებს სახელით “კარდუენე”. ქსენოფონტესთან ამ ქვეყანას არმენია ესაზღვრება. ძველ სომხურად სასომხეთის მოსაზღვრე ქვეყანას ეწოდენოდა “კორთაიქ”-”კორჩაიქ”-”კორდაიქ”, ხოლო “კორდუქ” ძველი სომხურით ქართველთა აღმნიშვნელი ეთნონიმია, მეგრულად კი “ქართველი” არის “ქორთუ” და “ქართალი” – ამდენად ესაა მეგრელთა თვითსახელიც.

– “კორდუნიაშ” არის აგრეთვე კასიტების თვითსახელიც, რომლებიც საუკუნეების მანძილზე მართავდნენ შუამდინარეთს, სადაც მათ ქვეყანას ერქვა “ქარდუნია(შ)”, იგივე “ქართ-დუნია”=”ქართ-ქვეყანა”. ქვეყანა “ქარდუნიას” მეორენაირად ერქვა ბაბილონია, სირიულად მას ერქვა “ბეთ-ქარდუ”, ებრაულად “ურ-ქალდეა”, რომელსაც ამასთანავე ერქვა “ქალდ’აია”(=”ქართ-აია”). ქალდეველების თვითწოდებად ვარაუდობენ “კალდის” სადაც “ლ”-ს ადგილზე “რ” თავისუფლად აღდგება, რადგან მათ ქვეყანას ერქვა “კარდია”-”კარდუნია”, ასევე თავისუფლად აღდგება “დ”-ს ადგილზე “ტ”=”თ”, რადგან ქალდეველების სახელია ასევე “კასიტი”, “კ”-ს ადგილზე “ქ” თავისუფლად აღდგება, რადგან ბერძნულსში “ქალდი” გახდა “ხალდი” – ბერძნული ენა სწორედ “ქ” ბგერას აქცევს ხოლმე “ხ” ბგერად. ბერძნულ წყაროებში ჭანეთს ქვია “ხალდეა” (ხალდია) – აქვეა ქალაქი “ხართონი”. პ. ინგოროყვას აზრით “ქალდეა” იყო სამხრეთ კოლხეთის ზოგადი სახელწოდება. ი. ჯავახიშვილის აზრით ქართლის ცხოვრებაში ნახსენები “არიან ქართლი” იგივე “ქალდეაა”. ქართლის ცხოვრებაში ვკითხულობთ: “კუალად გამოვიდნენ სხუანი ნათესავნი ქალდეველნი და დაეშენეს იგინიცა ქართლსა” – ესეიგი “სხვაგან მცხოვერები ჩვენი (ქართველების) ნათესავი ქალდეველებიც ჩვენსავით ქართლში დასახლდნენო”. არსენ ბერი, დავით აღმაშენებლის მოძღვარი, თავის “წმიდა ნინოს ცხოვრებაში” წერდა: “ჩვენ შვილნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსულთანი და ენაი მათი ვუწყით”. „არიანი„ – „არანი„(ირანი)

– „არამეა„ – „არმინა„ – „არმენია„ წინააზიის რეგიონის ზოგადი სახელწოდებანი გახლდათ, რომელიც მოგვიანებით აქ დასახლებული ინდო-ევრო-თათრული ტომების შექმნილი არ არის – სავარაუდოდ ეს სახელწოდებები წარმოქმნილნი არიან „მარ„ ძირიდან, რომელზეც ნაწარმოებია უძველესი შუამდინარეთის ქალაქ-სახელმწიფოს სახელი „მარი„ (ამ ძირს შედგომ თავში დაწვრილებით განვიხილავ).

– ქალაქ “ბაბილონს” ამასთანავე ერქვა “ქად-ინგირიც”, “ქად” (ქარდ) იგივე “ქართი” უნდა იყოს (“ინგირი” მდინარე “ენგურის” პარალელური სახელია და მის პირას ერთ სოფელს ასევე ქვია “ინგირი” – ბაბილონს ამასთანავე “ურ-ენ-გური” ერქვა, რომლის აშენებასაც მიაწერდნენ ამავე სახელწოდების მეფეს). ევფრატის ზემოწელში მდინარე “არზანის” – “არაწანის” – იგივე “გაილის” ხეობაში ურარტულ ტექსტებში ნახსენებია ციხე “ქათარძანი”, რომელსაც ბერძნულად ერქვა “კითარიძონი”-”კატარძენე”.

– კასიტების ქვეყანას კასპიის ზღვის სამხრეთით ერქვა “ჰირკანია”=”გირკანია” (სამგლეთი), რომლის მთავარ ციხე-ქალაქსაც ერქვა “ქართა”, რომელსაც ჩამოუდიოდა მდინარე “გურგანი” – ამ რეგიონს ერქვა აგრეთვე ტიბერისტანი, იგივე მაზანდარანი და გილანი (მაზანდარა და “ქართა” ქვია აგრეთვე სოფლებს სამეგრელოში). ჰირკანიას ამასთანავე ერქვა “ქუში”(ალბად “ქურში”=”ქორთიში”). სპარსეთის იმპერიის პირველ მეფესაც ერქვა “ქუროში” (უკავშირებენ მდინარე მტკვრის ბერძნულ სახელს „კიროსი„ – „კოროსი„). “კასიტებს” და “ქაშქებს” ამასთანავე ერქვათ “კასხები”-”ქაშხები”, რაც იქნებოდა “ქართხები” – უძველესი შუამდინარული ენების მკვლევართა მიერ ამოკიხული “შ” შესაძლოა სინამდვილეში არის “რ” და “რთ”, მაგალითად: კასიტების მეფის სახელი “ქაშთილიაშ” სინამდვილეში შესაძლოა ყოფილიყო “ქართილიაშ”, “აბირატ-თაშ” კი “აბირატ-თარ”, “ურ-კაშდიმ” იქნებოდა “ურ-ქართ-დი(=დია)მ(=ამი)”, “ურაშთუ=ურარტუ=ურ’ქართი”. ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევდა რომ ქართულ მეტყველებაში “რ” ასო “შ” და “ს” ასოებში კანონზომიერად გადადის და მაგალითად მოყავს სიტყვა “რჯული-შჯული-სჯული”, მე კი ვფიქრობ რომ ზემოთმოყვანილი სახელწოდებები ლურსმული წარწერების არასწორი ამოკითხვის შედეგადაა დეფორმირებული. ამ შემთხვევაში “ქაშქა” შეგვიძლია ამოვიკითხოთ როგორც “ქარ(თ)ქა=ქართახი” – ამდენად “ქაშქები” იგივე “კარდუხები”(ქართახები) არიან. ტერმინ “ქაშქებს”=”ქასქებს”=”კასკებს” არასწორად უკავშირებენ ჩერქეზების სვანურ წოდებასთან “ქაშაგი”, სინამდვილეში ეს “ქაშაგი” სვანური ფორმაა თათრული ტომების თვითსახელისა “ასი”-”ქ-ას-აგი” და მას მცირეაზიელ “ქაშქებთან” არავითარი საერთო არააქვს გარდა ფონეტიკური მსგავსებისა.

– ხეთურ-ნესიტურადაც ციხე-ქალაქს ერქვა “ქარდა” (მართებული ამოკითხვით ალბად “ქართა”), ხეთების სამეფოს კი ერქვა “ქარხემიში”: “ში” მეგრულად კუთვნილებას ნიშნავს, “ემი” იგივეა რაც მეგრული “ამი” (ქართულად იანი), გვრჩება “ქარხ(ი)”=”ქართახი” – აქვე უნდა აღინიშნოს რომ ეს ტერმინი ზოგან იკითხება როგოთც “ქარქამიში” და აქაც “ქ” და “ხ”-ს მონაცვლეობა დასტურდება – აღსანიშნავია, რომ ამ ტერმინით აღნიშნულია ის ქვეყანა რომელსაც სპარსელები ეძახიან “კათპადუკას”, ელამური “ქათბა-დუქას” მიხედვით: ჩემის აზრით ეს ტერმინიც “ქართ”-ფუძეს უკავშირდება და არა ლამაზ ცხენებს, თუ ვირებს – “ქათბა” იგივე “ქართა” უნდა იყოს, “დუქა” იგივე “დუნია”. კაპადოკიას ასევე ერქვა “ხათი” და “ქაშქათი”. თუ გავითვალისწინებთ, რომ “ხათის” ქვეყანა არის იგივე “ქარხემიში” “ხათ-ში” თავისუფლად შეგვიძლია აღვადგინოთ “რ” და მივიღოთ “ხართი” ანუ “ქართი”, აგრეთვე საყურადღებოა რომ ერთ ხეთურ ქალაქს ერქვა “ქარგამიში”=„ქართამიში„.

– ქალდეველ-კასიტების კიდევ ერთ ქვეყანას ერქვა “ხური”, რომელიც ლურსმნულ წარწერებში იკითხება ამასთანავე როგორც “ხარი” და “ქური”, ანუ “ქურთი”-”ქართი”, “ხურიტების” დედაქალაქს ერქვა “ხარანი” (მართებული ამოკითხვით ალბათ “ქართანი”). მოგვიანებით “ხურიტ-კასიტების”, ანუ “ქალდეველ-ქართველების” ადგილზე ჩამოსახლებულ ირანულ ტომს ეწოდა “ქურთები”, თუმცა ქურთების ანთროპოლოგიისა და გენეტიკის შესწავლამ ცხადყო რომ ეს ხალხი ჰიბრიდულია და მასში რამოდენიმე სხვადასხვა მოდგმაა გაერთიანებული. თავად ეთნონიმი “ქურთი” ნაწარმოები ჩანს “ქორთუ”-დან. მსგავსად ამისა “ლეკი” ადრე ქართველს ნიშნავდა – საინგილოში სოფელი “ლექართს” მეორენაირად ქვია “ლექეთი”, აქედან “ლეკეთი”.

– “ქართა”, “ოქართე” და “ქართილი” მეგრულად ნიშნავს აგრეთვე შემოღობილ-შემორაგვულს (მთებითაც) და შეუვალ ადგილს. სვანურად ”ლ’ქრთე” (ლე ქართე) აგრეთვე შემორაგულს-შემოღობილს ნიშნავს. ებრაულად ედემის ბაღს ქვია “გან”, რაც ებრაულად შემოღობილს-შემოზღუდულს ნიშნავს – როგორც ჩანს „ქართა„ (ამ შემთხვევაში ბაღი) პირველწყაროდან ებრაულად ნათარგმნია მისი შინაარსობლივი მნიშვნელობით. ადამის და ევას განდევნის შემდეგ ამ ბაღის კარის და სიცოცხლის ხის დარაჯად ღმერთმა ცეცხლოვანი ხმლით შეიარაღებული ქერუბიმი დააყენა (“ქერუბიმის” ადრინდელი სახელებია: “ქერუბი”, აქადურად “ქარუბუ”. ქართული “მუხის ანგელოზი” სავარაუდოდ ეგ ქერუბიმია – ანტიკურ ეპოქაში ის წარმოდგენილი იყო როგორც სფინქსი, გრიფონი, ურჩხული და ა.შ.). გერმანულად ბაღს და ეზოსაც ქვია “გართენ”; გოთურად “გარდა” ნიშნავდა ციხე-ქალაქს. “ხორთა” პორტუგალურად ნიშნავს ეზოს-ბაღს. “ქართა” მეგრულად ამასთანავე ეწოდება საქონლის სადგომს – იგივეს ნიშნავს “კარდა” აღმოსავლურ ევროპულ ენებზეც – ალბად აქედანაა ესპანური “კორიდაც”. იბერიულ ესპანეთში იყო ქალაქები: “ქართეა”, “ქართაგენე”, “ქართალია” – გვიანდელი “კორდოვა”. ინგლისურად “ქორთ” ნიშნავს სამეფო ეზოს. კელტური ღვთაება “მერლინის” ქალაქს ერქვა “ქარმართენ” ან “ქაერფურდინ” (ალბად “ქართ-დუნია”-კელტურად კი “დუნი” ციხე-ქალაქს ნიშნავდა, ხოლო “დუნუმ” ქვეყანას). ნეოლათინურ ენებზე ბაღს და ეზოს ქვია “გ(ი)არდან” – ფრანგულად “ჟარდან”. საფრანგეთის “კორსიკაც” შესაძლოა “ქორთიდან” იყოს ნაწარმოები. ერთი ვერსიით კორსიკელები ადრე კორსიკას ეძახდნენ “ქორთს”. იტალიურად ეზოს ქვია “ჯარდინო”, ხოლო “კორტონე” იტალიურად ნიშნავს შიდა ეზოს (იტალიური ეზო) – ეს ეტრუსკული სახელწოდებაა, რომელიც აგრეთვე შემორჩა ქალაქ “კორთონას” ტოსკანაში – ვარაუდობენ რომ მას ადრე ერქვა “ქართონა” და აკავშირებენ “კართაგენის” ეტიმოლოგიასთან: “ქართა-გენი, ქართა-გერია, ალ’გერია-ალ’ჟერია”. ფინო-უგარულად მგელსაც და ციხესაც ქვია “ქარდა” და “გურთ”. გოთურ არქიტექტურაში კი “გურთ” ნიშნავს შემკვრელ თაღს-რკალს.

– “დო’ქართუა” მეგრულად ნიშნავს დაწვნას – ამასვე უნდა უკავშირდებოდეს სიტყვა “კალათა”, სლავიანური “კარზინა”-”კორზინა”, ლათინური “კორბო”. მეგრულად “ქართახამი” კი ნიშნავს ღობის სარების შემკვრელ რგოლს და წნელებით შეკრულ ღობესაც “ქართა” ერქვა, ამდენად “ქართა” ზღუდესაც-საზღვარსაც აღნიშნავდა – აქედანაა მიღებული სლავიანური სიტყვა “კრაი”-”ოკრაინა”(კრა= ქრა=ქარა =ქართა) რაც ნიშნავს მიჯნას-საზღვარს და მხარესაც – აქედან ქვეყნის სახელი “უკრაინა”. აქვე აღსანიშნავია რომ ძველსპარსულად (ავესტაში) სიტყვა “ქარანა” აგრეთვე ნიშნავდა მხარესაც და მიჯნსაც (საზღვარს). “ქართ”-ძირიდანაა ასევე სიტყვები “გრან(იცა)” (კრაინა=გრაინა), “სტრანა” (კს’ტრაინა =სტრაინა); აგრეთვე ლათინური “ბორტი”, “გარნიზონი”, “კასტელო” და “კორნის”=ჩარჩო-ზღუდე. ციხე-სიმაგრის მნიშვნელობის “ქართა”-”ქორთა”-დან მიღებულია ჩანს აგრეთვე სიტყვა “ფორტა”(ფორტიფიკაცია). თურანულ, ანუ თათრულ ენებში “ქართა”-დან მიღებულია ციხე-სიმაგრის აღმნიშვნელი სიტყვები “კარდა”=”კარა” =”კალა”=”ყალა” – აქენან ტოპონიმი “კრიმი”(ყირიმი) და “კრემლი” – თურქულად “კერმან” ნიშნავს ციხე-სიმაგრეს. ხურიტულად ციხესაც და ქალაქსაც ქვია “არდ”, რაც აგრეთვე “ქართის” ერთერთი ფორმაა. ძველ ქართულში, ისევე როგორც ხურიტულში, “არდი” აგრეთვე ნიშნავდა მზეს.

– სიტყვა “ქართა” მეგრულად ამასთანავე აღნიშნავს მთვარის შარავანდედს-ნათლის გვირგვინს, რომელიც ადგას მზესაც. “ქართამი” კი ნიშნავს გვირგვინოსანს, რაც ასახულია მცხეთის მეფეების ტიტულატურაში “ქართამ-I, II”. მითანის პირველ მეფესაც ერქვა “ქირთა”=”ქართა”. ურარტუელების ღვთაება “ხალდი” შარავანდედიანი ღვთაებაა და მისი სახელის ნამდვილი ფორმა უნდა ყოფილიყო “ქართ(ამ)ი”. ევრო-ინდო-თათრულ ენებში სამეფო გვირგვინის აღმნიშვნელია “კორონა”-”კარონა”. სლავურად “ხართამი” ნიშნავს მგელს, ხოლო “კურტ” სახელმწიფო ძალაუფლებას, რაც ბერძნულიდანაა აღებული. სავარაუდოა, რომ ბერძნული სიტყვა “კრატოს” (ძალაუფლება) აგრეთვე მომდინარეობს “ქართ” ძირიდან. ამავე ძირიანი სიტყვა “კრატერი” კი ნიშნავს სამეფო თასს და უკავშირდება გრაკალს-გრაალს. პროტობერძნულში ჭურჭლის აღმნიშვნელი სიტყვებია: “კათი”, “კარარევი”, “კაროპა” და ა.შ. ქართულში გვაქვს ჭურჭლის სახელები: “კორდლო”, “კარდალა”, “კათხა” და ა.შ. მაგრამ რა კავშირი უნდა ჰქონოდათ ერთმანეთთან ციხეს, შემოღობილ ადგილს და ჭურჭელს? ის რომ სამივე წრიული ზღუდე გააჩნიათ. ზოგი მეცნიერი “გრაალის” თასს აიგივებს ოქროს საწმისთან, რომელზეც კოლხური ოქროდამწერლობის ნიშნებით რაღაც ეწერა. აქ საინტერესოა რომ ქართული სიტყვა “გრაგვნა” ნიშნავდა ქვაზე წერას, ამიტომ ქართულში ნაწერს ასევე ქვია “გრაგნილი” და მას უკავშირდება ბერძნული “გრაფიკა” და ლათინური სიტყვა “გრატარე”-კაწვრა; სომხურად “გრაბარი” ნიშნავს ნაწერს. ქვაზე “წერასვე” უკავშირდება სიტყვა “წერაქვი”, “საჭრეთელი” და “ჭარუა”-”ჭრა” (ქვაზე გამოჭრა). მაგრამ თასს და წერას კიდევ სხვა საერთოცა აქვთ: საწერ “ქაღალდს” მეგრულად ქვია “ქარღადი”, მეორენაირად “ქარტალი”, ძველქართულად “ქარტა” – აქედანაა გადაღებული ინდოევროთათრული “კარტა”-”კარტონი”. დამწერლობა ლათინურად არის “ს-კრიტ-ურა”-”სკრიპტ” (“კრიტ”=”ქარით”=”ქართი”). სავარაუდოდ წერა აგრეთვე უკავშირდება მეგრულ სიტყვა “კირიბუას”, იგივე “კრებას”, რაც თავისმხრივ უკავშირდება კოლხიპელაზგების ნაწერებს “კვირბებს”. ამასვე შეგვიძლია დაუკავშიროთ სიტყვა “ხატვა”-”ხანტუა” და მვიღოთ “ხატუა”-”ქარტუა”-”ქართუა”, ასევე “ქარგვა” და “ჩუქურთმა”. ამასვე უკავშირდება ლათინური სიტყვა “არტე”(ხელოვნება). შუმერული სიტყვა “კირუმ”-”კალუმ” აგრეთვე წერას ნიშნავდა, საიდანაცაა სიტყვა “კალამი” და “კარანდაში”. არაბულად წერას ქვია “კითაბა”. ეგვიპტურად იეროგლიფების ჩასაწერად ქვაში ამოკვეთილ ოვალურ წრეს ეწოდება “ქართუში” და სავარაუდოდ ასევე ერქვა სატახტო ქალაქ “კარნაკსაც”. აქ საყურადღებოა რომ ლურსმნული დამწერლობით შესრულებული თიხის ფირფიტებიც ძირითადად ოვალური ფორმისაა – წრიული ფორმისაა ფესტოსის დისკოც და სწორედ ამ წრიულ ფორმაში წერის ტრადიციამ დააკავშირა წერისა და საწერი მასალის აღმნიშვნელი სიტყვები შემოსღუდული ადგილისა და ჭურჭლის აღმნიშვნელ სიტყვებთან. აქვე უნდა აღინიშნოს წრეზე ბრუნვის აღმნიშვნელი მეგრული სიტყვა “ირთუნს”-”რთუალა”, რომელიც ქართულში გადაიქცა სიტყვა “ტრიალად” – ლათინურად “ტურნე”-”ტორნო”, “ტორნადო”, “ტორპედო” და სხვა.

– როგორც ვხედავთ “ქართ”-ფუძე ძირფესვიანად გეორგიანული ფუძეა და მას მეგრულ ენაში დღემდე აქვს პირვანდელი მნიშვნელობები შენარჩუნებული:

1.”ქართა” – გვირგვინი, შარავანდედი (“ქართამი” გვირგვინოსანი), ციხის ქონგური, საქონლის სადგომად შემოღობილი ადგილი – აქედან “ქართილი”, “ოქართე” – შემოღობილი, შემოზღუდული ადგილი – ეზო – ბაღი (ედემის ბაღი).

2. “ქართი” – ქალაქი (დედაქალაქი) – “ქორთუ” – “ქართალი” – ზოგადად ქართველთა და ამასთანავე კონკრეტულად თბილისის მკვიდრთა აღმნიშვნელი სიტყვა.

3. “ქარტალი”-”ქარღადი” – საწერი ქაღალდი.

4. “ქ”, “ქი”, “ქა”, “ქო”, “ქუ” მეგრული ენისთვის დამახასიათებელი ზმნისწინებია. “ართი” ნიშნავს ერთს, საწყისს და გაერთიანებას - “ქართი!” ნიშნავს “შეურეთდის!”. “რთ” ნიშნავს რთვას, კონტაქტში და რეაქციაში შესვლას. “რთ” ძირზე გეორგიანულ ენებში ათასობით სიტყვაა ნაწარმოები და გამორიცხულია ეს ძირი რომელიმე სხვა ენიდან იყოს შემოსული, პირიქით – ამ ძირზე ნაწარმოები ქართველური სიტყვებია გასული და ტრანსფორმირებული სხვა ენებში.

ბაკურ მორგოშია

ჯანდაცვის მესვეურებო: ფიქრობთ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ საკუთარ მოქალაქეებზე?!

"ადამიანის ჯანმრთელად ყოფნის სურვილი ფული არ უნდა ღირდეს".
ნ. ელშტეინი

კვების მრეწველობა უდიდესი და ურთულესი დარგია, რომლის გამართული მუშაობა ქვეყნის ძლიერების საწინდარია, კვების პროდუქტების ხარისხიანი წარმოება კი მკვეთრად აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. ჩვენი მიზანი არ არის ამ მრავალდარგოვანი მრეწველობის განხილვა, რაც ერთ საგაზეთო წერილში შეუძლებელია. ძირითადად შევეხებით ადამიანის სიცოცხლისუნარიანობისათვის აუცილებელ კვების პროდუქტის – დიეტური პურის წარმოებას.

საზოგადოებათა მოთხოვნილების ნუსხაში კვების პროდუქტის წარმოებას უპირველესი მნიშვნელობა აქვს. იგი იყო და რჩება მოსახლეობის სასიცოცხლო მოთხოვნილების საგნად, რომლის პირველადი წყაროა სოფლის მეურნეობა. ეს დარგი კვების პროდუქტებს აწარმოებს ნედლეულის სახით და შემდეგ გადასცემს კვების მრეწველობას, დანიშნულებისა და მოხმარების მიხედვით.

დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები ისეა რეგლამენტირებული, რომ ადამიანი საკუთარი ჯანმრთელობისათვის ვერ იცლის, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში, თუ მოიცალა, ხშირად მკურნალობა სასურველ შედეგს ვერ აღწევს. ამიტომ, ჯანდაცვას უნდა გააჩნდეს ზუსტ აღრიცხვაზე დაფუძნებული გათვლილი პროგრამა დაავადებული მოსახლეობის მკურნალობის შესახებ. ამიტომ, ჯანმრთელი და ავადმყოფი ადამიანის კვება მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ავადმყოფ ადამიანს შერჩევითი კვება ესაჭიროება, რაც ხელს უწყობს გამოჯანმრთელებას. არის ისეთი ავადმყოფობაც რომელსაც შერჩევითი კვება მთელი სიცოცხლის განმავლობაში სჭირდება; – თუ ამ რეჟიმს დაიცავს, შეინარჩუნებს შრომისუნარიანობას და ჯანმრთელობას. ასეთ დაავადებათა რიცხვს ეკუთვნის შაქრიანი დიაბეტი, რითაც დაავადებულია საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი. აღნიშნული დაავადება ყოველდღიურ კონტროლს მოითხოვს, რაც არც თუ ადვილი შესასრულებელია. ჯანდაცვას და მის მესვეურებს დაავიწყდათ ჰიპოკრატეს სიტყვები: **"სადაც ხალხისადმი სიყვარულია, იქ საქმიმო ხელოვნებისადმი სიყვარულიც იქნება".** სწორედ საქმიმო ხელოვნების სიყვარულმა შეაქმნევინა ჩვენს სახელოვან მედიკოსებს უამრავი პრეპარატები და საკვების მომზადების წესი, დიეტური პროდუქცების სახით, რომელიც მოსახლეობის სიცოცხლის გახანგრძლივებას ემსახურება. ინსულინისა და აბების ნაკლოვანებას მოსახლეობა არ განიცდის, მაგრამ პურ-პროდუქტების წარმოებაზე ამას ვერ ვიტყვით, რადგან ამას განაგებენ არაპროფესიონალი – ფულს დახარბებული ადამიანები. ამიტომ არის, რომ საავჭრო ორგანიზაციებში პურპროდუქტების დიეტური ნაწარმი ფალსიფიცირებულია. ამ სტრიქონების ავტორი თვითონ დიაბეტიანია და წლების განმავლობაში ებრძვის ამ ვერაგ ავადმყოფობას. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ თვითონ შემემოწმებინა, შესაძლებლობის ფარგლებში – საავჭრო ორგანიზაციების მიერ გასაყიდად გამოტანილი პურის დიეტური ნაწარმი. თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ქვემოთ მოყვანილი ანალიზი გვიჩვენებს.

იყო დრო, როდესაც, კვების პროდუქტების მაღაზიებში სპეციალურად მომზადებული დიაბეტური პური იყიდებოდა და მასთან ერთად სხვადასხვა სახის უშაქრო პროდუქტებიც, რომლის მიღება შეეძლოთ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ადამიანებს. დიდ საწარმოებში, სადაც კვების ობიექტი არსებობდა, სპეციალურად იდგა დიეტური მაგიდები. დაავადებული პიროვნებისათვის სპეციალური რეცეპტით კეთდებოდა საკვები პროდუქტები, რომელსაც აკონტროლებდა პროფკავშირები, დაწესებულების სამედიცინო სამსახური და სანეპიდსადგური. შერჩევით კონტროლს აწარმოებდა ძირეული პარტიული ორგანიზაცია.

დღეს რა ხდება?! – თვით ჯანმრთელობის სამინისტროც კი არ არის დაინტერესებული ამ საკითხით, მთავრობას კი საერთოდ არ ახსოვს ავადმყოფი მოსახლეობა. მარტო ჯანმრთელობის საყოველთაო დაფინანსება – რის თაობაზეც თავის ყოველ გამოსვლაში ბატ. დავით სერგეენკო გვესაუბრება, ვერაფერი ბედენაა. ადამიანმა შრომისუნარიანობა რომ შეინარჩუნოს, საჭიროა მაღალი დონის სამედიცინო გამოკვლევა, ანალიზის დამუშავება და დიაგნოზი, შემდეგ სწორი კვება. ეს ყველაფერი ფული ღირს. – დაპირებით რა მიიღო მოსახლეობამ? უფულობა და კოსმეტიკური დახმარება, რაც ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის მიზერულ მდგომარეობის გაუმჯობესებასაც არ ყოფნის.

საკვები პროდუქტებიდან ნომერ პირველია – პურია. ის ესაჭიროება ჯანმრთელსაც და ავადმყოფსაც. მაგრამ არის ავადმყოფობა (რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი) ისეთი, რომ ავადმყოფმა უშაქრო პური გარკვეული დოზით მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა მიიღოს. – ასეთია შაქრიანი დიაბეტი. ჩვენ მარკეტინგებში უამრავი დასახელების და ფორმის პური იყიდება (ყველას დასახელებას ვერ შევძლებთ) სამკურნალო დასახელებითაც და საერთო კვებისთვისაც; – მაგ. შევიძინე ოთხი დასახელების სამკურნალო პური და საკუთარ თავზე ჩავატარე დაკვირვება. მკითხველმა იცოდეს – საკვების მიღების დროს, – პურის გარეშე შაქარი მაქვს 140-150. სამ ნაჭერ პურთან ერთად – 250-270. მივიღე შავი პური 0% შაქრის გარეშე. გლუკომერმა ჭამის შემდეგ აჩვენა 259. აღნიშნული პური 350 გრამია და ღირს 90 თეთრი. ე.ი. ერთი კილოგრამი 2ლ. 70 თ. შავი პური ტექნოლოგიის მიხედვით დაბალი ხარისხის ფქვილისგან მიიღება. აღნიშნულ შავ პურს ტექნოლოგიაში უწერია დიეტური პური უშაქროდ; – შემადგენლობა 40% ჭვავის ფქვილი, 40% ხორბლის პირველი ხარისხის ფქვილი, 40% მეორე ხარისხის ხორბლის ფქვილი – საფუარისა და შაქრის გარეშე. მკითხველი რომ კარგად გაერკვეს უნდა ავხსნათ! – ხორბლის ერთი მარცვალი შეიცავს 0.2-1% შაქარს, ჭვავის 1 მარცვალი შეიცავს 5.5% შაქარს, სიმინდის 1 მარცვალი შეიცავს 1.5-5% შაქარს (ა. თარხნიშვილი, **"კვების პროდუქტების ზოგადი ტექნოლოგია"**, გვ. 218-219 1982წ.).

აღნიშნულ პურს აწერია უშაქრო – 0%, რომელიც სიმართლეს არ შეეფერება. ფქვილი არის შეღებილი, შაქრიანობა აქვს იმიტომ, რომ 40% ჭვავის ფქვილია შერეული, რომლის შაქრიანობა 5.5%. 80%-პირველი და მეორე ხარისხის ხორბლის ფქვილია შერეული, რომლის შაქრიანობა 0.2-1%. რომ შევამოწმოთ, წისქვილკომბინატს უშაქრო ფქვილი ქსელში გასაყიდად არ ექნება. ცალკე ხორბლის ფქვილი და ცალკე ჭვავის ფქვილი – რადგან დაფქვის დროს ხორბალსა და ჭვავს ერთმანეთში ურევენ. აღნიშნულ პურს სახელწოდება აწერია ინგლისურ ენაზე **"ბაკერუ"** – გამყიდველები ეძახიან ბეიკერს. მისამართი: ბოგდან ხმელნიცკის №2 179. აღნიშნული წარმოება უშვებს ასევე **"დიეტურ"** პურს. მისი მიღების შემდეგ (სამი ნაჭერი) გლუკომერმა აჩვენა 271. აღნიშნული პური არის შეღებილი, 400 გრამი და ღირს 80 თეთრი, ე.ი. 1 კგ 2 ლარი. მოხარშულ ჭვავის პურს გვთავაზობს დიღმის მასივში მდებარე შპს-ს **"პური"**. ეტიკეტი გვამცნობს, რომ საფუარი 0% ხოლო ჭვავის ფქვილი ფერმენტირებულია და პირველი ხარისხისაა. აღნიშნული პურის მიღების შემდეგ გლუკომერმა შაქარი აჩვენა 251. ასევე აღნიშნული შპს-ს მიერ გამოშვებულია **"შავი პური"** რომლის წონა არის 510 გრამი ღირებულება 90 თეთრი. აღნიშნული პურის ეტიკეტი მიგვანიშნებს, რომ ის ჭვავის ფქვილისაგან არის დამზადებული. ჭვავის ფქვილის შაქრიანობა კი 5.5%. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ასეთი მაღალი შაქრიანობის მქონე ფქვილისაგან დამზადებული პური დიაბეტიანებისთვის საკვებად არ გამოიყენება.

– ავადმყოფი მომხმარებელი მოტყუებული რჩება. აქედან დასკვნა: ***წარმოდგენილი ეტიკეტებით დამზადებული პური არ შეიძლება გამოყენებული იქნას საკვებად შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა მიერ.***

ეს არის მაჩვენებელი იმისა, რომ კვების პროდუქტების წარმოება მინდობილია ფულის მკეთებელი მაქინატორების ნებასურვილზე, ხოლო მთავრობა და პარლამენტი გადასულია საკუთარი ხელფასების გადიდებისა და პრემია-დანამატების მოწესრიგების თემების განხილვით. მოსახლეობის ჯანმრთელობა და განსაკუთრებით, შაქრიანი დიაბეტით დაავადებული მოქალაქეების მდგომარეობა არავის არ აწუხებს.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ბატ. დავით სერგეენკომ კარგად იცის, რომ საკვები პროდუქტების უმრავლესობა შაქარს შეიცავს, მაგრამ მისი გარჩევა მოქალაქეს, რომელიც დაავადებულია დიაბეტით, არ შეუძლია, ამიტომ, მთავრობამ, სპეციალური დადგენილებით უნდა აიღოს საკუთარ თავზე უშაქრო კვების პროდუქტების წარმოება. უნდა შეიქმნას ცალკე უშაქრო პროდუქტების მწარმოებელი ორგანიზაციები მთავრობის მაღალი კონტროლის ქვეშ, რათა არ მოხდეს ფალსიფიცირებული პროდუქციის წარმოება ისეთი ფორმით, რაც დღეს სავაჭრო ობიექტებში იყიდება დიეტური პროდუქტების სახელით.

შაქრიანი დიაბეტიანებისათვის საჭირო პური უნდა ცხვებოდეს სუფთა ხორბლის ფქვილისაგან — ყოველგვარი დანამატების გარეშე. სუფთა ხორბლის ფქვილი შაქარს 0.2-1% შეიცავს. ამ ფქვილის დამზადება წისქვილკომბინატში უნდა ხდებოდეს სპეციალურ გრიფით და მაღალი მკაცრი კონტროლის ქვეშ, რადგან შაქრიანი დიაბეტიანისადმი პურის მიღება ისევეა განსაზღვრული როგორც ინსულინი და აბი. უშაქრო პური როგორც წამალი ისეა განსაზღვრული შაქრიანი დიაბეტით დაავადებულისათვის. თუ მწარმოებელი ფალსიფიცირებულს გამოუშვებს, უნდა დაისაჯოს იმავე კანონით, რა კანონითაც ისჯება ფალსიფიცირებული წამლის მწარმოებელი. თუ არ გამკაცრდა კონტროლი, დემოკრატიულ ქვეყანას ვერ ავაშენებთ. დღეს სოკოებივით მომრავლებული პურის საცხობი ჯიხურები, რომლებიც გასული საუკუნის სოფლის პურის საცხობების დონეზეა, სამკურნალო პურს ვერ აწარმოებენ. დიდი პურის ქარხნები, რომლებიც აღჭურვილი იყო ლაბორატორიებით და უახლესი ტექნიკით, მიზანმიმართულად გავანადგურეთ. მათ ყველაფრის წარმოების უზარმაზარი შესაძლებლობა ჰქონდათ. სად გაგონილა შავი პური თეორ პურზე ძვირი ღირდეს. ეს ხომ ნონსენსია. ჩემ თაობას ახსოვს შავი პური 15 კაპიკი ღირდა, რუხი პური – 20 კაპიკი, თეთრი პური – 30 კაპიკი. წონა კი შეადგენდა 800 გრამს.

სამკურნალო-დიეტური პროდუქტების წარმოება მეცნიერების მიერ დადგენილი წესით უნდა იწარმოებოდეს. მწარმოებელი, რომელიც დაარღვევს ამ წესს, უნდა დაისაჯოს.

დღეს ყველამ კარგად იცის, რომ ადამიანის ხანგრძლივი სიცოცხლის უზრუნველსაყოფად რაციონალური კვებაა საჭირო. ტექნიკის სწრაფმა განვითარებამ, კვების მრეწველობაში თანამედროვე დანადგარების გამოყენებამ და ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ მომგებიან პირობებში ჩააყენა მწარმოებელი, რაც არ ასახულა მომხმარებლის კეთილდღეობასა და ჯანმრთელობაზე. დიაბეტით დაავადებულმა მოქალაქემ კარგად იცის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მისი ორგანიზმის ყველა ფუნქციის მუშაობისათვის სისხლში შაქრის ნორმალური დონის (ჭამამდე, 3.36 – 5.55, ჭამის შემდეგ 8.8 – 9.9) შენარჩუნება. დარღვევა კი მრავალ პათოლოგიურ ცვლილებებს იწვევს.

თუ გვინდა ბოლომდე შევინარჩუნოთ შრომისუნარიანობა, ჩვენი მოქალაქეობრივი უფლებაა შესაბამის ორგანიზაციებს მოვთხოვოთ – გამოყენებული იქნას ყველა ის მეცნიერულად დადასტურებული ტექნოლოგიები კვების მრეწველობაში, რაც ადამიანის ჯანმრთელობისათვის არის გათვალისწინებული.

დღეს შაქრიანი დიაბეტი მსოფლიო მედიცინის ერთ-ერთი პრობლემაა, რომლის მოგვარებისათვის იბრძვის ყველა ქვეყნის მთავრობა და ჯანდაცვის ორგანიზაციები. ამ კუთხით თუ შევხედავთ საქართველოს მთავრობას და ჯანდაცვას, ბევრს ვერაფერს დავიტრაბახებთ. დიაბეტიანების პრობლემის მოგვარებისათვის საქართველოში თითქმის გასული საუკუნის მდგომარეობაა. მთავრობა და ჯანდაცვა იმ სამედიცინო ორგანიზაციებს, რომელსაც დიაბეტიანების მოვლა-პატრონობა ევალება, არაფერს არ ეხმარება.

"როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ შაქრის შემცველობის გამოყენებისას მწარმოებელი ფირმები ნაკლებად ფიქრობენ ადამიანის ჯანმრთელობაზე და სულ არ ანაღვლებთ მათ მიერ წარმოებული პროდუქტი ვინმეს სერიოზულ ზიანს რომ აყენებს" (დიეტოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი კობა ამირხანაშვილი). ვეთანხმები ბატ. კ. ამირხანაშვილს. თუ გადავხედავთ ჩვენ სავაჭრო ობიექტებს ნათლად დავინახავთ, რომ პროდუქტები, რომელიც განკუთვნილია დაავადებული ადამიანებისათვის, კრიტიკას ვერ უძლებს. (მაგალითები ზემოთ მოვიყავნეთ).

ამასწინათ გაზ. **"საქართველო და მსოფლიომ"** გამოაქვეყნა ბატ. არმაზ სანებლიძის ინტერვიუ შპს **"დავით მეტრეველი"**-ს დირექტორ დავით მეტრეველთან. ბატ. დავითის მიერ პაციენტის გასაგებ ენაზე გაანალიზებულია შაქრიანი დიაბეტის ვერაგი მოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე – რომელიც დღეს მსოფლიო პრობლემაა. აღშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველოს მთავრობას და ჯანდაცვის სამინისტროს თავის პრიორიტეტებში განსაზღვრული არ აქვთ დიაბეტით დაავადებული ადამიანების აღრიცხვა-შესწავლა და მათი მკურნალობა. **"სამწუხაროდ შაქრიანი დიაბეტის გავრცელების შესახებ საქართველოში ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, აღრიცხულია მხოლოდ იმ ავადმყოფთა რაოდენობა, რომლებიც სახელმწიფოსაგან უფასოდ იღებენ ინსულინის პრეპარატს. დიაბეტიანების რაოდენობა მკვეთრად აღემატება ინსულინის მომხმარებელთა პაციენტების აღრიცხულ რაოდენობას"** (**"საქართველო და მსოფლიო"** №25 2014წ.). ეს არის იმის ნამდვილი სურათი თუ რა **"დიდი მონდომებით ზრუნავენ"** მთავრობა და ჯანდაცვის სამინისტრო საკუთარი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის! – მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში ყველა დიაბეტიანი აღრიცხულია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატ. ირაკლი ღარიბაშვილს და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ბატ. დავით სერგეენკოს!

– მიუხედავად დიდი პატივისცემისა, მკაცრად მოგმართავთ – უმოკლეს ვადაში უნდა აღმოიფხვრას გაუგონარი დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნის ავადმყოფი მოქალაქეებისადმი. მთავრობის მოხელეები ცხვირს რომ დააცემინებენ, მილიონებს ურიცხავთ საზღვარგარეთ მკურნალობისათვის (საქართველოში მკურნალობას არ კადრულობენ) და კარგად რომ **"გამოჯანმრთელდებიან"**, ხელფასის დანამატით და პრემიებით აჯილდოვებთ. ამ დროს ჩვენი ავადმყოფი მოქალაქეები, არც გედარდებათ – ფაქტი სახეზეა! – ყველა ქვეყანას, ვისაც გონივრული მთავრობა და ჯანდაცვა გააჩნია, – შაქრიანი დიაბეტით დაავადებულები მთლიანად აღრიცხული ჰყავთ. ეს ხალხზე ზრუნვის ფაქტორია რომელიც საქართველოს მთავრობას არ ედარდება.

– ნუ გგონიათ, რომ ხალხი ბრბოა! – ხალხს მოთხოვნის უნარიც აქვს და აღელვების შესაძლებლობაც. აღელვებულ ხალხში თვითგადარჩენის ინსტიქტი მძლავრობს რომლის დროსაც უკან არაფერზე არ იხევს. თუ ეს მოხდა – ღმერთმა ნუ ქნას – შემოქმედი ამისა თქვენ იქნებით ბატონებო!

ლეონტი ბიწაძე,
ინჟინერ-ეკონომისტი

მზეო მეფეო, აღგვიდგინე ქალაქი!

ავტორის წინათქმა

ინტერვიუ, რომელსაც გამოქვეყნებიდან 8 წლის შემდეგ კვლავაც გთავაზობთ, 2005 წელს დაისტამბა **„საქართველოს რესპუბლიკასა“** და ჩემს საავტორო გაზეთში **„სარკმელი საქართველოსი“**, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს არათუ არავის ახსოვს, არამედ ზოგ-ზოგი იმასაც კი ცდილობს, რომ მიისაკუთროს თვალსაზრისი, რომელიც თამარის სამუდამო განსასვენებელთან დაკავშირებით ჯერ პროფესორმა მიხეილ ალავიძემ, ხოლო მოგვიანებით, 8 წლის წინათ ამ ინტერვიუს ჩაწერისას, რესპონდენტებმა, აწ განსვენებულებმა გივი ტყეშელაშვილმა და ნუკრი კვარაცხელიამ გამოთქვეს. იგი დიდი ხანია დაივიწყა იმერეთის იმდროინდელმა გუბერნატორმაც, რომელიც ჩემს რესპონდენტებს დიდად ეიმედებოდათ, მაგრამ **“ნაციონალური მოძრაობის”** წვრილმან ყოველდღიურობას გადაჰყვა და ჭეშმარიტად გამორჩეული ეროვნული საქმე აღარც კი გახსენებია.

დიდი ქართველი მწერალი და მოაზროვნე გრიგოლ რობაქიძე შემთხვევით არ ამახვილებდა თითოეული ჩვენგანის ყურადღებას ქართველთა ყოფის ძლიერ ენგარდზე, რამეთუ **„ესე მეფენი, რომლებიც ევლინებიან კვლავ ქვეყანას, აღვივებენ ძალას ღვთიურსა მოწოლილი ბნელისა და ქაოტურის წინააღმდეგ“**. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ისტორიული სიმართლის დადგენა და იმის უტყუარი დადასტურება, რომ წმიდა მეფე თამარი გელათში განისვენებს, შეიძლება გახდეს რეალური სტიმული მომაკვდავი ქალაქის ფენიქსისებრი აღდგენისათვის.

ალექსანდრე შენგელია
2013 წლის ვარდობისთვე, თამარობა დღე

საუბარი ოთხ რესპონდენტთან, რომლებსაც ინტერვიუერთან ერთად ღრმად სწამთ, სამი კი ამასთან მეცნიერულადაც ამტკიცებს, რომ თამარ მეფის სამუდამო განსასვენებელი გელათის მონასტერშია

ჟუთაისის ისტორიული მუზეუმის დირექტორის, ნუკრი კვარაცხელიას კაბინეტში ხუთნი ვსხედვართ: თავად მასპინძელი, მისი მოადგილე გივი ტყეშელაშვილი, მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების გამგე დავით ბერძენიშვილი, არქიტექტორი შადიმან ყიფშიძე და ამ სტრიქონების ავტორი, უფრო ზუსტად, შეხვედრის დროს გამოთქმულ მოსაზრებათა ფურცელზე გადამტანი.

საუბრის ძირითადი თემა **„კარგად დავიწყებული ძველია“** – თამარის საფლავი. და მახსენდება ამონარიდი გრიგოლ რობაქიძის რომანიდან **„დალი“: „გვყავს სამი დედა: წმ. ნინო, მეფე თამარ, დედოფალი ქეთევან... ამ სამის ერთობის მუხლშია მოქცეული უშრეტი ენგადი ქართველთა ყოფისა“.**

სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად, **„დედა არ გვახსოვს შვილებსა“**. არ გვახსოვს, თორემ ის უმძიმესი განსაცდელი, რომელშიც დღეს სრულიად საქართველო, განსაკუთრებით კი ქუთაისი იმყოფება, კარგა ხნის დაძლეული გვექნებოდა.

რა განსაცდელზეა საუბარი?

ქუთაისი დღეს მკვდარი ქალაქია და, ისტორიის გარდა, თითქმის აღარაფერი შერჩა (მას ვერც პარლამენტმა უშველა, რომლის გადამწყვეტ მნიშვნელობაზე ბევს რომ ყბედობდნენ ნაციონალები – **“ილორი”**). დიდი ხანია გადაივიწყა მსოფლიოში სახელგანთქმული ქუთაისური აბრეშუმის ქსოვა, ტრაქტორმშენებლობა, მანქანათმშენებლობა, მინისა და ბროლის წარმოება, გადამამუშავებელი მრეწველობის სიკეთე. მძვინვარებს მასობრივი უმუშევრობა და ხვალინდელი დღის შიში.

– მოსახლეობის ბოლო აღწერისას ჩვენს ქალაქში 250 ათასი ცხოვრობდა, დღეს კი ეს რიცხვი 120 ათასზეა დასული. – უდიდესი გულისტკივილით აღნიშნავს შადიმან ყიფშიძე.

ვინ შეიძლება აღადგინოს მკვდარი ქალაქი?

პასუხი ერთადერთია: უნდა აღადგინოს **„უშრეტმა ენგადმა ქართველთა ყოფისა“** – დედამ.

დიახ, დედამ! იმ დედამ, რომელსაც შვილები აღარასდროს დაივიწყებენ.

* * *

საუბრის დასაწყისი 18 წლის წინანდელის გახსენებაა. 1989 წლის 14 მაისს, თამარობის დღეს გაზეთმა **„ქუთაისმა“** გამოაქვეყნა ცნობილი მეცნიერის, პროფესორ მიხეილ ალავიძის სტატია – **„მეფეთა მეფის საფლავი: ლეგენდები და სინამდვილე“**. ამ პუბლიკაციაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ **„თამარ მეფის ნეშტი გელათის მიწას შეუერთდა“**.

პუბლიკაციის ავტორიც სწორედ ამ აზრს იზიარებდა, მაგრამ ითვალისწინებდა, რომ თვითონ ისტორიკოსი კი არა, ფილოლოგი იყო და მკითხველს მისთვის ჩვეული მიუკერძოებლობით აცნობდა იმათ შეხედულებებსაც, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ თამარ მეფე იერუსალიმში გადაასვენეს და ჯვრის მონასტერში დაკრძალეს.

იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში, პირადად მე ორჯერ ვარ ნამყოფი – 1990 და 1995 წლებში და ორივეჯერ მეც და ჩემს თანამგზავრებსაც დაბეჯითებით გვიმტკიცებდნენ, რომ მეფეთა მეფე თამარი და მისი მამიდა რუსუდანი სწორედ აქ განისვენებენო, მაგრამ იერუსალიმის ჰიპოთეზა ჩემთვისაც, არასპეციალისტისთვისაც კი მაშინვე აშკარად დაუჯერებლად ჩანდა. მითუმეტეს, რომ სულგანათლებულ მიხეილ ალავიძის სტატიაში ისეთი შეუვალობით იყო გახსნილი გელათის მონასტრის საიდუმლო, რომ არა თუ ჯვრის მონასტრის, არამედ ათობით სხვა ჰიპოთეზასაც საფუძველს ფაქტობრივად აღარ უტოვებდა, ამან გადამაწყვეტინა, რომ 13 წლის შემდეგ – 2002 წლის მაისში ჩემი რედაქტორობით გამომავალ მეორე გაზეთში – **„სარკმელი საქართველოსი“** გადაგვებეჭდა მხცოვანი მეცნიერის სტატია, რამეთუ ვგრძნობდი, რომ 1989 წლის ცნობილი მოვლენებით გამოწვეული უმძლავრესი ეროვნული მუხტი ფაქტობრივად უკვე მთლიანად დაცლილი იყო და თვალნათლივი გახდა საზოგადოებისათვის **„უშრეტი ენგადის“** ისევ და ისევ შეხსენების აუცილებლობა.

* * *

– რას გვეტყოდით იმასთან დაკავშირებით, რომ თქვენი თაოსნობით ისევ გაიხსენეს „კარგად დავიწყებული ძველი“ – თამარ მეფის საფლავის საიდუმლო? – მივმართავ გივი ტყეშელაშვილს, რადგან მისმა ინტერვიუმ, რომელიც ტელეკომპანია **„მზით“** გადაიცა, უკვე ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო.

– უპირველეს ყოვლისა იმით დავიწყებ, რომ ეს თემა საბჭოთა პერიოდში მხოლოდ ერთხელ გაახსენდათ – 1966 წელს, რუსთველის იუბილის დღეებში. მაშინ გელათში შეიკრიბნენ ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები – სიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი ჩიტაია, გიორგი ლეონიძე და სხვები. მათ გამოთქვეს მოსაზრება, რომელსაც თავის პუბლიკაციაში მიხეილ ალავიძეც მოიხსენიებს და დღეს დოკუმენტური წყაროს მნიშვნელობა აქვს: **თამარი აქ, გელათის მონასტერშია და სხვაგან არ უნდა ვეძებოთ!**

აქვე წამოიჭრა საკითხი, არქეოლოგიურად შესწავლილიყო თამარის ეკვდერი, მაგრამ გავიდა ნახევარ საუკუნეზე მეტი და ამ მხრივ არანაირი ნაბიჯი არ გადადგმულა.

მე დიდხანს ვსწავლობდი გელათის მონასტრის არქივს. წიგნიც დავსტამბე გელათის საგანძურის შესახებ და თავად დავრწმუნდი, რომ არის ბევრი დამატებითი მასალა, მათ შორის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომლებიც დღემდე საერთოდ უცნობი ან სათანადოდ შეუსწავლელია. აი, თუნდაც მეცხრამეტე საუკუნის მასალები.

ჩვენი მუზეუმი დიდი ხანია ცდილობდა მკვდარი წერტილიდან დაეძრა ამ საკითხის შესწავლა და ნაბიჯები უშუალოდ არქეოლოგიური ძიებისაკენ წარემართა. სათანადო პროექტებიც შევიტანეთ ქალაქის კულტურის სასახურში, მაგრამ მიზანს ვერ მივაღწიეთ.

რატომ არ გამოჰყვეს ეს თანხა?

მხოლოდ და მხოლოდ იმ მოტივით, რომ გელათი და გელათის მონასტერი ქალაქს არ ეკუთვნისო.

– ტყიბულის რაიონში შედის. – სიტყვა ჩაურთო ნუკრი კვარაცხელიამ.

– ვერ გავიტანეთ ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... ახლახან მირჩიეს, პრეზიდენტის რწმუნებულს აკაკი ბობოხიძეს მიმართე, ტელევიზიაში მისი გამოსვლით შევიტყვეთ, რომ დაინტერესებულია და კულტურის სამინისტროც ჩაუყენებია საქმის კურსშიო...

მას შემდეგ საქმე წინ წავიდა და ამჟამად ჩემგან დამატებით არგუმენტებს თხოულობენ.

მათი წარდგენით, ალბათ, ამ საკითხს ისეთი რეზონანსი მოჰყვება, რომ არქეოლოგიური სამუშაოები ხვალიდან კი არა, შეიძლება დღეიდანაც დაიწყონ. ამას ხუმრობის გარეშე ვამბობ.

– თუ საიდუმლო არ არის, რომელ დოკუმენტებზეა საუბარი?

– როგორც უკვე მოგახსენეთ, მრავალთა შორის არის მე-19 საუკუნის დასაწყისის დოკუმენტები, რომელთაგან ერთი ნაწილი თბილისშია – ხელნაწერთა ინსტიტუტში, ორი დოკუმენტი კი ჩვენთან – მუზეუმში. ისინი უშუალოდ მიუთითებენ საფლავის ეპიტაფიაზე. ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელიც სასულიერო კრებულშია მოთავსებული, 1816 წელს გადაუწერია ბესიკ გაბაშვილის ძმას – ოსეს. იგი ცნობილი კალიგრაფისტი, ამასთან გელათის მონასტრის ბერი გახლდათ. 9 წლის შემდეგ – 1825 წელს კავკასიის ხაზის სარდალი, გენერალი გორჩაკოვი რუსეთის იმპერატორს ატყობინებდა ამავე ეპიტაფიის არსებობას.

შემთხვევითი არ არის ამგვარი შეტყობინება. რომანოვების სახლი ყოველთვის ამაყობდა ბაგრატიონებთან უახლოესი კავშირით და საქართველოს სამეფო კარის თითოეული წვრილმანი აინტერესებდა.

ძალზე საყურადღებოა მე-20 საუკუნის დასაწყისში შედგენილი გელათის ნეკროპოლის აღწერაც. მასში ნათქვამია, რომ შიშითა მაჰმადიანთა ეპიტაფია დამალულია ეპიქალის – ცრუ ფიქალის ქვეშ.

ბატონი დავითი არქეოლოგია და, ვფიქრობ, დამეთანხმება, რომ, როცა ეპიტაფია არსებობს, უკვე საეჭვო აღარ არის, ვის ეკუთვნის საფლავი.

– დიახ, ამაში სადავო აღარაფერია. – ბრძანებს დავით ბერძენიშვილი, – ფიქალის აღებითა და ეპიტაფიის ნახვით ერთხელ და სამუდამოდ დამტკიცდება, რასაც უკვე დიდი ხანია კატეგორიულად აცხადებენ ის მეცნიერები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ თამარი გელათშია. ეს მით უფრო სათქმელია, რომ, როგორც დასტურდება, ყოველი თამარობისას ხდებოდა მისი წმინდა ნაწილების ამოსვენება და ხალხისთვის ჩვენება. ამის უტყუარობას ადასტურებენ იქ მოღვაწე ბერებიც, რომლებიც მკრეხელობას არ ჩაიდენდნენ და ფალსიფიცირებას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდნენ. ამის მიუხედავად, ჯერ კიდევ მაშინ მძლავრობდა ხალხური გადმოცემები ოქროს კუბოებზე; ვარძიაში, ტაო-კლარჯეთში, ფშავში, სვანეთში თამარის დაკრძალვაზე.

გახსოვთ, ვაჟა-ფშაველასაც აქვს მშვენიერი წერილი?!

– იერუსალიმის შესახებ რა შეიძლება ითქვას?

– იმ პერიოდში, რომლის შესახებაც ახლაა საუბარი, ფრანგი რაინდის გი დებუს წერილი ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული. იგი 20-იან წლებში დაბეჭდა ავალიშვილმა. სარგის კაკაბაძემ განაგრძო

ამ მხრივ კვლევა და დაეთანხმა იმ აზრს, რომ თითქოს ლაშა გიორგიმ დედის ცხედარი იერუსალიმში გადაასვენა.

– ეს მოსაზრება მიუღებელია თუნდაც იმიტომ, რომ ლაშა გიორგის კიდევაც რომ ჰქონოდა სურვილი, ამას ვერ მოახერხებდა, რადგან უმძიმეს პირობებში მოუხდა ცხოვრება და მეფობა. – ბრძანებს ნუკრი კვარაცხელია. – იგი დაიჭრა მოწამლული ისრით, იავადმყოფა და ამავე მიზეზით გარდაიცვალა. ისიც სათქმელია, რომ თუ გადასვენება მოხდებოდა, ამ ცნობას აუცილებლად მოიხსენიებდა ლაშა გიორგის მემატიანე.

– რასაკვირველია.

– ერთიც აუცილებლად სათქმელია: რატომ უნდა ვენდოთ მაინცდამაინც ფრანგი რაინდის იმ წერილს, რომელიც ბენზანსონის არქიეპისკოპოსს მისწერა და არ უნდა ვენდოთ თამარისა და ლაშა გიორგის მემატიანეებს? – არც თუ უსაფუძვლოდ კითხულობს დავით ბერძენიშვილი.

– ერთი რამ კიდევ შეიძლება დავამატოთ ბატონი დავითის არგუმენტს. 1618 წელს, როცა მეფე თეიმურაზმა ქურმუღოს ეპისკოპოსი ოფიციალურად მიავლინა რუსეთის იმპერატორთან, რათა შაჰ-აბასის წინააღმდეგ დახმარება ეთხოვა, მას ჰკითხეს: ამჟამად სად იმყოფება მეფე თეიმურაზიო.

– მეფე თეიმურაზი იმერეთშია, იქ სადაც თამარ მეფეა დაკრძალულიო. – იყო მისი პასუხი, რამეთუ იმ დროს იმპერატორის კარისათვის იმერეთი გაცილებით ნაკლებად გახლდათ ცნობილი, ვიდრე მეფეთა მეფე თამარი.

ეს წერილი გამოქვეყნებული აქვს მარი ბროსეს წიგნში **„ქართველ მეფეთა მიმოწერა რუსებთან“**.

მეფეთა მეფე თამარი რომ ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებში ძალზე პოპულარული პიროვნება იყო, ამას კიდევ ერთიც ადასტურებს: 1552 წელს ალყაშემორტყმული ყაზანის ბოლო შტურმის დაწყების წინ გამოტანილი ჰქონდათ ყაზანის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ივერიის ხატის ასლი გახლდათ. ივანე მრისხანემ ლაშქარი სწორედ ამ ხატზე დააფიცა, თან განუმარტა, რომ ეს ის ხატია, რომლითაც სახელგანთქმულმა ივერიის დედოფალმა თამარმა ურჯულოები დაამარცხაო (მხედველობაში ჰქონდა ბასიანის ბრძოლა. **ავტ.**).

– ამასვე ამტკიცებს ათობით სხვა დოკუმენტი, რამეთუ იმერეთის ხსენება თავისთავად გულისხმობდა გელათსა და თამარს. ამის შესახებ თქვენი რედაქტორობით გამოცემულ გაზეთებში მშვენიერი მასალები აქვს წარმოდგენილი სულგანათლებულ მიხეილ ალავიძეს. – განაგრძობს გივი ტყეშელაშვილი. – ეპიფარე გაბუნიას და სხვებს, რომლებიც უკვე გაუქმებული მონასტრიდან იყვნენ, ახსოვდათ და აღწერდნენ თამარობის ყველა დეტალს... ჩვენს მუზეუმში დაცულია კიდევ ერთი ძალზე საყურადღებო დოკუმენტი, რომელიც კვლავ და კვლავ ხაზს უსვამს ამ საყურადღებო ტრადიციის აღდგენის მცდელობას. არქიმანდრიტი ნესტორი 1920 წელს სთხოვს მიტროპოლიტ ნაზარს, გამოუყოს სანთლის ქარხნიდან 7 ათასი მანეთი (ამ დროს ფული უკვე დევალვირებულია. **ავტ.**), რათა თამარობა სათანადო პატივით აღინიშნოს.

– ბატონო დავით, თქვენ ძალიან დიდი გამოცდილების არქეოლოგი ბრძანდებით. – მივმართავ დავით ბერძენიშვილს, – **რამდენადაც გამიგია, მეოთხე საუკუნიდან მოკიდებული, ვიდრე მონღოლებამდე, მიცვალებულისათვის რაიმეს ჩატანება მკრეხელობა იყო. კუბოც კი არ არსებობდაო.**

– დიახ, არ არსებობდა. – მიდასტურებს.

– ცნობილია ხალხური ეპიტაფიაც. მასში ჩამოთვლილია, რა გააკეთა მეფეთა მეფე თამარმა და ამდენი საქმის მოქმედმა ცხრა ადლი ტილო წავიღეო. ესე იგი, ხალხის რწმენით, 9 ადლი ტილოთი განისვენებდა მეფეთა მეფეც, რადგან სიკვდილი, როგორც რუსთველი ბრძანებს, ყველას ათანასწორებს.

– რისი ნახვაა მოსალოდნელი თამარის საფლავის გათხრისას?

– წინასწარ ძნელია რაიმეს თქმა, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ერთი ან ორი ნივთი მაინცაა ჩატანებული...

ქრისტეანისათვის მთავარია იფიქროს სულზე და არა ხორცზე.

რაც სამარხებში ძვირფასია აღმოჩენილი – უმნიშვნელოვანესი ნივთები – ყველაფერი ეს წარმართული ხანისაა. სამეფო კარიც არ დაუშვებდა მკრეხელობას, რომ დაკრძალვა, კრძალვით კი არა, ზარ-ზეიმით მომხდარიყო. თუმცა, ისევ ვიმეორებ, რომ არ არის გამორიცხული, ერთი-ორი ნივთი მაინც იყოს ჩატანებული – სასანთლე ან რაიმე სხვა.

– და ერთიც... ამ კითხვით, ფაქტობრივად, ყველას მოგმართავთ... დღეს ისე ყოველდღიური გახდა ტერმინი დნმ-ი, რომ ძალაუნებურად იბადება კითხვა: თუ აღმოვაჩენთ მეფეთა მეფის საფლავს, შეგვეძლება თუ არა, შეუმცდარად დავამტკიცოთ, რომ ჭეშმარიტად თამარ მეფის წმიდა ნაწილებს მივაკვლიეთ?

ნუკრი კვარაცხელია: ამის შესაძლებლობა არსებობს. სოლომონ მეორე გვიანდელი მეფეა, მაგრამ აქვეა დავით ნარინის, თამარის მამის – გიორგის, დემეტრესა და სხვათა საფლავები.

– გენეტიკური კოდის დადგენა არა მარტო არქეოლოგიური, არამედ ისტორიული ძიებითაც შეიძლება. ამას აღვნიშნავ იმის გამო, რომ მრავალძალის ეკლესიაში ხატში იყო თამარის თმები. ეს დასტურდება ექვთიმე თაყაიშვილის აღწერით. ამ ხატში ჩასვენებულიაო თამარის თმები! – განმარტავს გივი ტყეშელაშვილი.

– ეს უკვე დნმ-სათვის, ალბათ, სრულიად საკმარისი იქნება.

– დიახ, ასე ვფიქრობთ... ეს ხატი ამჟამად თბილისშია. მისი საშუალებით გენეტიკური კოდის ინდეფიცირება შესაძლებელია.

(გაგრძელება მე-9 გვერდზე)

მზეო მეფეო, აღგვიდგინე ქალაქი!

(გაგრძელება მე-8 გვერდიდან)

არც სქესისა და ასაკობრივი მონაცემის დადგენაა ძნელი. პრაქტიკაში დანერგილი C-14 წლოვანებას ზუსტად განსაზღვრავს. ბოლოსდაბოლოს პარიზის ლაბორატორიაში ასობით საუკუნის წინ მცხოვრები ზეზვას ასაკი დადგინდა და 8 საუკუნის წინანდელის გამოკვლევა რატომ გაჭირდება?

შადიმან ყიფშიძე: სახელმწიფომ არქეოლოგიური გათხრებისა და კვლევის ბოლომდე მიყვანისათვის აუცილებლად უნდა გამოყოს ფული, უკუგება უსაზღვროდ დიდი იქნება როგორც სახელმწიფოებრივი, ისე ეკონომიკური, ტურისტული და, რაც ყველაზე მთავარია, ეროვნული იდეოლოგიის თვალსაზრისით. ამოძრავდება ინფრასტრუქტურა და ჩვენი მკვდარი ქალაქის ფენიქსისებრი აღდგენისათვის ესეც განვითარების ერთ-ერთი სეგმენტი გახდება.

* * *

იდეოლოგიას, მით უფრო ჭეშმარიტ ეროვნულ იდეოლოგიას თუ რა სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, ეს თვალნათლივ გამოჩნდა 2 ათეული საუკუნის წინათ მოსახლეობააყრილი, ნაცარტუტად, შემდეგ კი უდაბნოდ ქცეული და თითქმის ყველასაგან გადავიწყებული, დღეს კი საოცრად აყვავებული ქვეყნის – ისრაელის მაგალითზე.

რატომ ვამახვილებთ ამაზე ყურადღებას?

საქართველოს აქვს ყველა შესაძლებლობა, გახდეს ნამდვილად დიდი, თუ მსოფლიოში გაბნეული ქართული სისხლის თითოეული წვეთის შეგროვებაზე ისეთივე

რუდუნებით იზრუნებს, როგორც ეს ისრაელმა მისი ყველაზე თვალსაჩინო იდეოლოგის – თეოდორ ჰერცლის მოძღვრებისადმი ერთგულებით მოახერხა. მაშინ კვლავ ბედნიერი გახდება კარდუ, რამეთუ, როგორც გრიგოლ რობაქიძე ბრძანებდა, **„ახლოვდება თუ არა ბნელი ხანა, ანუ „ღმერთთა დაბნელება“, მზე მეფენი ევლინებიან კვლავ ქვეყანას სხვადასხვა განპირობებით, აღვივებენ თავიანთი ქმედებით ძალას ღვთიურისა მოწოლილი ბნელისა და ქაოტურის წინააღმდეგ“.**

მეფეთა მეფე თამარი ყოველთვის იყო **„ძლიერი ენგადი ქართველთა ყოფისა“** და ღმერთმა ინებოს, მალე მივაგნოთ მის წმიდა ნაწილებს, რათა დავძლიოთ სიბნელის ეპოქა და **„მზე მეფე“** – თამარის სახელმა ქვეყნის სასიკეთოდ განაძლიეროს ქუთაისიდან დაძრული ახალი ტალღა.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ
„ს.რ.“ საკუთარი კორესპონდენტი

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მეფეთა მეფე თამარი (პროფესორ გივი მიზანდარის ფერადი ქანდაკება), ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული ერთ-ერთი ფრიად საყურადღებო ექსპონატი – სოლომონ პირველის საბრძოლო დროშა; იერუსალიმი, ჯვრის მონასტერი; ჯვრის მონასტერში არის რუსთველის ფრესკა და არის ილია მართლის ხატი, რომლის წინ ჩვენი სამშობლოდან ისრაელში ასული ქართველი ებრაელები ცდილობდნენ დავერწმუნებინეთ, თითქოს თამარ მეფე აქ არის დაკრძალული, თუმცა ამის არავითარი საბუთი არ არსებობს – არც ფრესკაა, არც წმინდანის ხატი;

„აფხაზთა გულის სიმებს ფრთხილად უნდა შევეხოთ!“



ამას წინათ შოთა ნიშნიანიძის ლექსი **„აფხაზური კანტატა“** წავიკითხე. ჩემი ბავშვობა, ყმაწვილკაცობა, კარგადმყოფობა და ავადმყოფობა გამახსენდა. ლექსმა ჯერ სიხარულით ამავსო, შემდეგ სევდა მომგვარა, სულ ბოლოს – შური. დიახ, კეთილი შურით ვწერ ამ წერილს.

დალოცვილო, ეგრე როგორ უნდა გამოართვა კაცს სათქმელი სიტყვა პირიდან?!

„ჩემი მორდუ აფხაზეთში
იზრდებოდა თარბებთან,
ბადეს შლიდა და შვილდისრით
ტყეში ნადირს არბევდა,
ხვიჩას ზრდიდნენ აფხაზები
ჩაუქად და რაინდად,
ბეჭზე ორბი შეუფრინეს,
ურაიდა-რაიდა“.

ეს ხომ ჩემზეა დაწერილი, ეს ხომ მე ვარ?! ნესტორ ლაკობა, მისი ლამაზი მეუღლე სარია და მათი მერცხალივით ბიჭი რაუფი გამახსენდა. ჩემზე უფროსი იყო ცოტათი რაუფი. ფეხბურთის თამაშს მასწავლიდა ქუჩაში. ასფალტზე მუხლგადაყვლეფილს იოდს როგორ მასხამდა შეწუხებული სარია, ის მახსოვს. ისიც მახსოვს, როგორ მითათუნებდა ლოყაზე ხელს ნესტორი და როგორ მაწყნარებდა – გაჩუმდი, ვაქცინის ტირილი ვინ გაიგონაო. რაუფის დამნაშავე თვალებიც მახსოვს.

აფხაზი ბიძაჩემის – ზოსიმეს ხმამაღალი სიცილი და დეიდაჩემის, მაროს საყვედურიანი ხმა მესმის: ბიჭო, სულ სარა ბარაბზია ბზბოიტი, როდემდე უნდა იძახო, სხვა რამეც ისწავლე აფხაზურადო. თავად, ქმრის ხათრით ისეთი აფხაზური ისწავლა, რომ აფხაზურად საბავშვო მოთხრობა დაწერა და გამოაქვეყნა.

ცოდვას ვერ ვიტყვი, ბიძაჩემიც კარგი მოქართულე გახლდათ და აფხაზს ვერ ნახავთ, მეგრული რომ არ იცოდეს.

„ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი
მოყმის გამზრდელო,
ამორძალი ხარ მკერდმოჭრილი
უსაქართველოდ.
მაგ ტაბილ კალთაში თავს ჩაგიდებ
და გავყუჩდები,
ლოცვით, მადლობით,
აღსრულებით მითრთის ტუჩები“.

მკვდარი მიმიტანეს სოხუმის მეორე საავადმყოფოში. თვალს ვახელ: ებრაელი, ბერძენი, სომეხი, რუსი, აფხაზი, ქართველი – ყველა ერთად მადგას თავზე. არ მეგონა, სიკვდილი თუ ასეთი ინტერნაციონალისტი იყო. ბურანში წასული გულიებს ვხედავ, შინკუბებს ვხედავ, პაპასკირებს ვხედავ, თარბებს ვხედავ; ლასურიების, ახუბების, ლომიების, კაპბების, ანჩაბაძეების, გოგუების ხმებს ვარჩევ; თბილისიდან გადმოცვენილ ექიმებს ვხედავ, ნათესავებს ვხედავ, სისხლსა და ხორცს ვხედავ ჩემსას, ვიცი, ამათი ბახალა ვარ და ამათ უნდა მიტირონ, მაგრამ ამათ რადა უნდათ, უზარმაზარ ამრასავით რომ მადგანან თავზე და მათბობენ?! ცოტა რომ მოვიკეთე, მოწყალების დები მიამბობდნენ რიგრიგობით:

– რომ მითხრეს, ნოდარ დუმბაძეაო, სულ დამეკარგა ვენა, ვერაფრით ვერ მივაგენი და ნემსი ვერ გაგიკეთეთ!

– რომ მითხრეს, ნოდარ დუმბაძეაო, იმ წუთში ვიპოვე ვენა და გაგიკეთეთ ნემსი, თორემ მაგას რა იპოვიდა, სულ არ გქონდათ წნევა!

ამ რამდენიმე წლის წინათ გუდაუთაში ერთი კაცი ამიხირდა **„ბენზოკალონკასთან“,** გინდა თუ არა, ურიგოდ უნდა გამიშვაო.

– რატომ? – ვეკითხები.

– იმიტომ, რომ აქაური ვარ და მე ასე მსურს, – ვატყობ, ნასვამია, აშკარად შარზეა და ჩხუბი უნდა, თან ვხედავ, მხარზე მარტო ჭინკა უზის, ანგელოზი არსად ჩანს. რა თქმა უნდა, არ წავეჩხუბე, ურიგოდ გავუშვი.

მოსკოვში ვარ, რესტორანში ვსხედვართ მე და ერთი იქაური ჩემი ნაცნობი. ოფიციანტმა შამპანური და შოკოლადი მოიტანა.

– ეს მოგართვეს! – მეუბნება.

– ვინ? – ვეკითხები.

– ვინაობა არ უთქვამს, აი, იმ ახალგაზრდამ!

გამახედა ოფიციანტმა. რესტორნის კართან ლამაზი, ახოვანი ვაჟკაცი დავლანდე. ვხედავ, მხარზე ამასაც ჩემი ჭინკა და ანგელოზი უზის. მეღიმება.

– ვინ იყო? – მეკითხება თანამოსაუბრე.

– ჩემი აფხაზი მეგობრის ვაჟი! – ვუპასუხე.

– მერე რატომ თვითონ არ მოვიდა? – უკვირს ჩემს მეინახეს.

ახლა ამას როგორ ავუხსნა, რატომ არ მოვიდა აფხაზურ ოჯახში აღზრდილი ვაჟკაცი მამამისის ტოლ კაცთან, რატომ არ მომიჯდა გვერდით, რატომ არ გადადო ფეხი ფეხზე, რატომ გამომიცხადა ასე შორიდან სიყვარული და უხმოდ რატომ წავიდა?!

– ალბათ, ეჩქარებოდა! – ვუთხარი როყიოდ.

კიდევ ორი ოჩამჩირელი მოსწავლე გოგონა მაგონდება: ერთი – აფხაზი, მეორე – ქართველი. სანატორიუმში მინახულეს ავადმყოფი, თავიანთი ბაღის ფორთოხალი და ლიმონი მომიტანეს თანაკლასელების სახელით. ვიდრე ჩემთან იდგნენ, ძალიან ყოჩაღად ისხდნენ, მაგრამ თვალები ცრემლით ჰქონდათ სავსე. რომ წავიდნენ, აივნიდან გადავხედე. ამათ მხრებზე მხოლოდ ანგელოზები ესხდნენ და თავჩაქინდრულნი მიდიოდნენ, ჩემი ნახვით დაზაფრულებს, ალბათ, იმედი გადაუწყდათ, – ამას რა გადაარჩენსო?!

გადავრჩი, ჩემო ძვირფასო გოგონებო, და თუ დამიჯერებთ, ის თქვენი მოტანილი ლიმონი და ფორთოხალი იმ ყველა ამერიკულ და გერმანულ წამალზე უფრო მომიხდა. მადლობელი ვარ, თქვენ შემოგევლოთ ჩემი სიცოცხლე.

სულ ახლახან ერთ ჩემს ისტორიკოს მეგობარს ვთხოვე, ჩვენი ისტორიული წარსულიდან აფხაზთა და ქართველთა ძმობის რაიმე ლამაზი ამბავი გაიხსენე-მეთქი. დიდხანს იფიქრა, მერე უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია.

– რა იყო? – ვკითხე გაკვირვებულმა.

– არძმობის ამბავი ვერ გავიხსენე და ის როგორღა გავიხსენო?! – ასე მიპასუხა.

ან ბრძენი კაცის მოგონილი სიცრუეა, ან მართლაც ასე იყო. ყოველ შემთხვევაში, ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა ასე უნდა იცოდნენ.

და უნდა იცოდნენ ჩვენგან.

მე სულ მუდამ მახსოვს აკაკი წერეთლის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ქიაჩელისა და სხვათა შემდეგ კაცი როგორი სიფრთხილით უნდა შეეხოს აფხაზთა გულის სიმებს. ეს ჩემს აფხაზ ძმებსაც უნდა ახსოვდეთ, ქართველთა გულის სიმებს რომ შეეხებიან ხოლმე.

მიხარია, შოთა ნიშნიანიძე ეგზომ ლამაზად რომ შეეხო ჩვენი გულების საერთო სიმებს. მე რომ ახლა ამ წერილს ვწერ, უფრო თავისუფლად და ლაღად ვგრძნობ თავს, რადგან მწერალთა კავშირში აფხაზეთის საბჭოს თავმჯდომარე ვარ, უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აფხაზეთიდან გახლავართ არჩეული, აფხაზეთში მოვკვდი და დავიბადე ხელმეორედ, ლენინური პრემია რომ მივიღე, ათასი დეპეშა მომივიდა და აქედან ნახევარზე მეტი აფხაზეთიდან იყო. სხვა რომ არაფერი, სამადლობელი მეკუთვნის და ვამბობ კიდევაც. და ასეც რომ არ იყოს, სულაც შავი ზღვის პირას, აფხაზეთში მიდგას ოდა.

„ჩანს ოდაზე კოლხთა ღერბი,
ღერბი სიმინდ-ჯიქურის,
და აფხაზურ ცხენის ნალი
ავგაროზად მიკრული“.

შოთა ნიშნიანიძის ლექსის კითხვა რომ ჩავათავე, გულში უსაშველო სითბო ჩამეღვარა, ავდექი და ჩემს სიცოცხლეში პირველად მოვძებნე ლექსიკონში გულის განმარტება.

გული – უმთავრესი ნაწილი ცხოველთა შინაგანი აგებულებისა, რომლისაგანაც მოიქცევის სისხლი ყოველთავე ძარღვთა შინა, – ასე წერია ლექსიკონში.

აუ, რა დიდი ფერება და გაფრთხილება სჭირდება თურმე გულს.

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ

ᲤᲝᲢᲝᲖᲔ: ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠ-ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲜᲐᲗᲔᲡᲐᲝ. 1910 ᲬᲚᲘ.

რუსთაველის თეატრი მესტიაში

მესტიაში, სეტის მოედანზე, დია ცის ქვეშ, რუსთაველის სახელმწიფო თეატრის მსახიობთა მიერ, წარმოდგენილ იქნა ერიკ ემანუელ შმიტის ერთმოქმედებიანი დრამა **„სტუმარი“.** სპექტაკლის რეჟისორი გახლავთ გოშა გორგოშიძე. სპექტაკლში მონაწილეობდნენ მსახიობები: მანანა აბრამიშვილი, გოგა ბარბაქაძე, ბაჩი ლეჟავა და ბაჩო ჩაჩიბაია.

სპექტაკლში დეტალურად იყო მოთხრობილი ზიგმუნდ ფროიდის მძიმე დღეების შესახებ. როდესაც ნაცისტების მიერ იწყება ებრაელი ხალხის შევიწროვება და დევნა. სწორედ იმ მძიმედადსაქმელ ჟამს ნაცისტების შიშით დასტოვეს ევროპა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შეაფარეს თავი პროგრესულმა მწერალმა და ესეისტმა თომას მანმა, მსოფლიო კინოს ფაქტიურმა დამაარსებელმა ჩარლი ჩაპლინმა, უდიდესმა ფიზიკოსებმა ალბერტ აინშტაინმა და ნილს ბორმა, ცნობილმა ავსტრიელმა მწერალმა და ისტორიკოსმა ილია ვაისფელდმა კი თავშესაფრად საბჭოთა კავშირი აირჩია.

დიდი განსაცდელი გამოიარა მაშინ ცნობილმა ფსიქოლოგმა და მოაზროვნემ ზიგმუნდ ფროიდმა, რომელიც ეთნიკური ებრაელი გახლდათ და, ამიტომ, მასაც ავიწროებენ. მისი ქალიშვილი ანა ნაცისტებს გესტაპოში მიჰყავთ, სწორედ ამ დროს ფროიდს ეწვევა უცნობი, რომელიც თავს ღმერთად აცნობს. ათეისტი ფროიდი თავდაპირველად არ უჯერებს და სერიოზულად არ აღიქვამს უცნობის ამ განაცხადს, ხოლო შემდგომ მათი დიალოგი უცნაურად და საინტერესოდ წარიმართება.

სწორედ ეს გახლავთ ლიტერატურული პირველწყაროს ხიბლი, რისი წყალობითაც წარმოდგენა ემოციურად დატვირთული იყო და დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

პოლემიკა ფრიად აქტუალურ საკითხებზე

ისტორიკოსი – მეტყველების წარმოქმნის სოც. თეორიებიდან შრომის თეორია განსაკუთრებით კომუნისტურ სივრცეში ბატონობდა. მის თანახმად, შრომამ შექმნა ადამიანი, რადგან «...აზროვნება წარმოიქმნა ენის განვითარების შედეგად, რომელიც შეიქმნა შრომით ურთიერთობებში...» (ვ. ვ. მიხეევი), ურთიერთდაკავშირების მოთხოვნილების არსებობის გამო. უწინარეს ყოვლისა, სანამ დასმულ საკითხს განვიხილავდეთ, ჯერ არს განვსაზღვროთ თუ რა არის შრომა და ადამიანი: «...შრომა არის ... პროცესი ადამიანსა და ბუნებას შორის ... რომელშიც ადამიანი თავისი მომედებით მოსაშუალეობს, აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას მასსა და ბუნებას შორის» კ. მარქსი, «კაპიტალი», მჰ, ტ,1 გვ.227 თარგ. ე. ი. "პოლემიკა"

ბიოლოგი – ჰომინიდი კი ცხოველზე ერთი თავით მაღლა დგას. იგი ჯერ არაა ადამიანი, მაგრამ არც მთლად ცხოველია. საწყისი მოცემულობაა. ამიტომ, ის რაც ბგერას ძალუძს გამოიწვიოს ცხოველში, ჰომინიდში უეჭველად განხორციელდება. ანუ ბგერა ძალმოსილია მასში გამოიწვიოს პირობითი რეფლექსები და წარმოდგენა.

ფსიქოლოგი – აქ დასაჭერია ნატიფი ნიუანსი. ბგერა იძლევა ობიექტის (მოვლენის) წარმოდგენას. იგი ხდება ამ უკანასკნელის (წარმოდგენის) მატერიალური საყრდენი. არის თუ არა ეს მნიშვნელობის (შინაარსის) მოცემა?

ფ ფ. დე სოსიურის მიხედვით ბგერა აკავშირებს ცნებას და აკუსტიკურ სახეს. ჰომინიდში კი, ეს უკანასკნელი, (აკუსტიკური სახე) იძლევა წარმოდგენას. ბგერა ხდება აბსოლუტური ბუნებრივი სიმბოლო თუ სხვა რამ?...

ავტორი – რა თქმა უნდა ჰომინიდში ბგერის აღქმა (წ... წ... და ყ... ყ... ხმიანობათა გაგონება) იძლევა წინათ აღქმული მოვლენის ასოციაციურ წარმოდგენას (წინანდელი აღქმის განახლებას), ხოლო "...ცნებასა და წარმოდგენას ერთი ფესვი – სახელდობრ აღქმადი, გრძნობადი ასახვის ფესვი გააჩნიათ..." (რ. ნათაძე. ზ. ფს. გვ. 399), ამიტომ, გარკვეულწილად, ეს ბგერის მიერ შინაარსის მოცემაა, მაგრამ, ჯერჯერობით, ეს უკანასკნელი, არაა წარმოდგენის წარმოდგენა და არაცნებითია:

იგი მოვლენის დიფუზური განცდაა.

ჰომინიდის შემეცნებაში ბგერა კი არ გულისხმობს მისგან განსხვავებულს, არამედ უდრის საგანს: ნიშანი სუბსტანციური ყოფიერების მქონე კი არის, მაგრამ ჯერ გაცნობიერებული – აზრით შემეცნებული არაა. გარდა ამისა არ ხდება თავად ბგერის ობიექტივაცია და ჰომინიდს, ჯერ-ჯერობით, არა აქვს თავისი მე გაცნობიერებული.

ენათმეცნიერი – ადამიანშიც სიტყვის შეგრძნებითი მხარე, როგორც წესი, არ შეიმჩნევა. იგი "გამჭვირვალეა" (ვიგოდსკი).

"...ბავშვი აცნობიერებს მხოლოდ იმ შინაარსს, რომელიც მან გამოთქვა. ე. ი. – საგანს რომელსაც აღნიშნავს სიტყვა და არა – სიტყვას, არა – ბგერათკომპლექსს, რომლითაც აღინიშნა ეს საგანი (ა. მოსიავა).

ავტორი – ის ფაქტი, რომ ჰომინიდში ბგერის აღქმა (წ... წ... და ყ... ყ... ხმიანობათა გაგონება) იძლევა წინათ აღქმული მოვლენის ასოციაციურ წარმოდგენას – წინანდელი აღქმის განახლებას, უმნიშვნელოვანესია. აი, სწორედ ეს სასტარტო მომენტია მეტყველების ჩასახვაში გადამწყვეტი: როცა ბგერების გამომცემ ფიზაქტთა – წოვა–ყლაპვის მახორციელებელი, დასაბამიდან კვებისთვის განკუთვნილი ანატომიური ორგანო ენა იწყებს დამატებითი ფუნქციის შეძენას. ნიშანდობლივი და გადამწყვეტია ფაქტი: კვებისთვის განკუთვნილი მოძრაობები ენისა არ გასხვავდება ბგერათა წარმოსათქმელისაგან.

ენათმეცნიერი – ანუ თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს უნიკალური და უბედნიერესი შემთხვევაა, რამაც ჰომინიდი აამეტყველა, რადგან ენას, ბგერის წარმოსათქმელად, ახალი საწარმოთქმო მოძრაობების შესრულება არ ჭირდება.

ფსიქოლოგი – ხოლო შიმშილ–წყურვილისას, წოვა–ყლაპვის მოთხოვნილების იმპერატივი, აუცილებლად, გამოიწვევს უნებლიე წოვა-ყლაპვით მოძრაობებს ენისა ანუ წ... წ... და ყ... ყ ... ბგერების წარმოთქმებს.

ენათმეცნიერი – ბატონებო, ჩვენ ხომ ამგვარი მსჯელობები საკუთარ მოსაზრებებად მივიჩნიეთ.

ფსიქოლოგი – ეს საკუთარი მოსაზრებები შეჯერებულია ფაკტებით: ჩვენ ჰომინიდის შთამომავლები, თუ გვწყურია, უნებლიედ, წარმოვთქვამთ სიტყვებს : მწყურია, ცივი წყალი და ა. შ. ეს იმიტომ, რომ წყურვილის განცდა (მოთხოვნილების იმპერატივი შეუღლებულია სიტყვებთან – წყალი, მწყურია და ა. შ.)

თუ გვშია, უნებლიედ არა თუ წამოგვცდება – მშია-ო, არამედ, ზოგჯერ საყვარელი კერძის სახელსაც წამოვიძახებთ. ამგვარი უნებლიე წარმოთქმები იწვევს, შესაბამის პირობით რეფლექსებს და ამძაფრებს განცდებს. .

ბიოლოგი – ეს მოვლენები ცხოველებშიც ხდება და ავტორს აქვს დასახელებული (იხ. ჟურნ. "აია" 9–10 გვ. 127).

ანტროპოლოგი – რატომ არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგივე ხდებოდა ჩვენს წინაპარ ჰომინიდთან მიმართებით?. ონტოგენეზი ხომ ფილოგენეზის მონაგარია.. ესე იგი ჰომინიდთან ზუსტად იგივე ხორციელდებოდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იგი უნებლიე წოვა–ყლაპვით მოძრაობებს აკეთებდა, რაც ზემოთქმული . წ... წ... და ყ... ყ ...ბგერების წარრმოთქმააცაა.

აი, ეს გახლავთ მეტყველების პირობითრეფლექსური ბუნებით ჩასახვა.

ენათმეცნიერი – ხატი, წარმოდგენა ჩვენს ცნობიერებაშიც კი რომ მნიშვნელობის ადგილს იკავებს, ჰომინიდში კი უდრის აღნიშნულს , ხომ არაა სპირისპირო იმისა რასაც უნდა ვამტკიცებდეთ: ჰომინიდს უნდა შეეძლოს მოვლენისგან განცალკევებით მისივე ხმიანობების წარმოდგენა. ანუ უნდა შეეძლოს როგორც მოვლენის წარმოდგენა, ასევე ცალკე ამ მოვლენის ხმიანობათა წარმოდგენა.

ფიზიოლოგი – ბგერა მხოლოდ მეტყველების პირველ პერიოდშია ფიზიორაფლექსოგენური, როცა იწვევს ფიზიორეფლექსებს და შესაბამის განცდებს ამძაფრებს.

ენათმეცნიერი – ეს მსჯელობა – მაგალითები ამტკიცებენ საპირისპიროს და არა ფიზაქტისა და მას თანმხლებ ხმიანობათა განცალკევებულად წარმოდგენის შესაძლებლობას. ამას კი ჩიხში შეყავს ხმაბაძვითი სიტყვაქმნადობის იდეა: რას მიბაძავდა თუ მისაბაძ ბგერათკომპლექსთა ხატი მეხსიერებაში არ გააჩნდა და განცალკევებულად მისი წარმოდგენა არ შეეძლო.

ბიოლოგი – ჰომინიდის ჯოგში წოვა–ყლაპვის ფიზაქტი იმდენად ხშირია, რომ, შეუძლებელია, ინდივიდებმა ხმები ამ მოვლენისა, განცალკევებულად, ხშირადვე, არ გაიგონონ ანუ განცალკევებულად არ აღიქვან ისინი.

ფსიქოლოგი – თუ ჰომინიდი ამ დროს მაძღარია ანუ ინდიფერენტულია ამ მოვლენის მიმართ, ეს ხმები, სიმაძღრის პროპორციულად, სუფთად (განცალკევებულად) გადადიან ფარულ მეხსიერებაში და წყურვილ-შიმშილის განცდების კვლავ განახლების შემთხვევაში, რაც, დამეთანხმებით, ხშირი იქნებოდა ასოციაციურად წარმოიდგინებიან და უნებლიედ წარმოითქმებიან კიდეც.

ენათმეცნიერი – საგულისხმოა, რომ, ზემოთქმული წმიდა წყლის ინდივიდუალისტური თეორიაა: მეტყველების წარმოქმნას კოლექტივი (საზოგადოება) ჭირდება, ხოლო ღირსსახსენებელი ა ჩიქობავას სიტყვებით რომ ვთქვათ, "სრულიად არაა საჭირო ადამიანთა ჯგუფი რომ გაიგონო გუგუ"... და თუნდაც, ასევე, წოვის ხმიანობა.

ანთროპოლოგი – რომ გაიგონო "გუგუ" ადამიანთა ჯგუფი ნამდვილად არაა საჭირო. ინდივიდები, მართლაც, გაიგონებენ განსხვავებულ დრო და სიტუაციაში, მაგრამ, საბოლოო ჯამში ეს ხომ მოიცავს მთლიანობას. ისიც ხომ არაა გამორიცხული, გარკვეულმა ჯგუფმა საზოგადოებისა ერთიანადაც გაიგონოს: აბა, რომელი სოფლის მცხოვრებს არა აქვს ეს ძახილი გაგონილი?...

ავტორი – აქ, დიახაც, ღირსსაცნობია ის, რომ ეს გაგონება ინდივიდუალურიცაა და სახეობითიც. ასე რომ, თქვენი რეპლიკა, ბატონო ენათმეცნიერო, თეორიას ნამდვილად რომ ვერასა ვნებს.

ენათმეცნიერი – ჰომინიდები ჯოგებად ცხოვრობდნენ, ამიტომ, მოვლენის ხმიანობათა გაგონების (აღქმის) თქვენებურ (ინდივიდუალურ–სახეობით) გაგებაზე იძულებული ვარ დაგეთანხმოთ, მაგრამ, როგორც ავღნიშნეთ, წარმოდგენა ამ აღქმულისა თუ შეეძლო ან რა დონეზე შეეძლო არაა მთლად ნათელი. ყოველ შემთხვევაში ჩემთვის.

ფსიქოლოგი – რატომ?... ზემოთმოყვანილ ავტორისეულ მაგალითში – ქვაბის სახელურის ჟღარუნზე, როგორც ნაცნობ ხმაზე, ცხოველის გამორბენი განა მის თავის ტვინში (ც. ნ. ს.–ში) ხმის მოვლენისგან განცალკევებულად წარმოდგენის არსებობას არ ნიშნავს? გამორბენის დაწყების წინ იგი ხომ ქვაბს არ ხედავდა. ხოლო თუ საკვების წარმოდგენით არ იყო მისი თავის ტვინი დაკავებული, რატომ ვერ შეამჩნია საკვებიანი (განსხვავებული) ქვაბი და ჯიუტად (ნაცნობ) ცარიელში ყოფდა თავს/...

ფიზიოლოგი – გარდა ამისა, ამ მაგალითს შეიძლება ჰქონდეს გაგრძელება: თუ ცხოველს ქვაბის სახელურის ჟღარუნით ხშირად მოვატყუებთ, ამ ხმაზე პირობითი რეფლექსი დაიწყებს შეკავებას და, ერთ მშვენიერ დღეს, თუ ღორია, დააყურადებს (გაისუსება) და ქვაბისკენ არც გამოიქცევა. ხოლო თუ ძროხაა, გარდა ამისა, თითქოს უარყოფის ნიშნად, შეუძლია თავიც კი გააქნიოს. ესე იგი ხმამ შეწყვიტა პირობითი რეფლექსის გამოწვევა, მიუხედავად იმისა რომ მისი აღქმა და ცნობა მოხდა.

ფსიქოლოგი – ცხოველებს გააჩნიათ ხმის ცნობის მეხსიერება და უნარი აღიქვან თვალსაჩინო მოვლენათა შორის მიმართებები, რაც ექსპერიმენტულად დადასტურებულია. ხატი წოვა-ყლაპვის ხმებისა შეიცავენ მიმართებებს ისეთ რეალიებთან რაც თავად არ არიან. ეს რეალიებია: 1). თავად პროცესი წოვა-ყლაპვისა; 2) სუბსტანცია რისიც ხდება წოვა-ყლაპვა – რძე, წყალი (როგორც ითქვა, ჰომინიდის მიერ, წყალი ტუჩების უშუალო კონტაქტით შეიწოვება წყალსატევიდან); და მოცულობები სადაც რძე და წყალია მოთავსებული – თავად წყალსატევი, დედის ძუძუ. ამიტომ, ინდივიდები, რომელნიც წოვა–ყლაპვის ისეთ თვალსაჩინო თვისებათა შორის არსებულ მიმართებებს – ფიზაქტსა და თანმხლებ ხმიანობებს მთლიანობაში რომ აღიქვამდნენ, ერთ მშვენიერ დღეს შეამჩნევენ, რომ ხმა კი არ უდრის ფიზაქტს წოვა-ყლაპვისა, არამედ თანმხლებია ამ უკანასკნელისა.

ბიოლოგი – ჰომინიდის მიერ ფიზაქტისა და თანმხლებ ხმიანობათა, დანაწევრებული მთლიანობის სახით, აღქმის და (geStalt) – სრულიად დანაწევრებულადაც აღქმის შეძლების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, უაღრესად საგულისხმო ფაქტია აღქმის ონტოგენეზური განვითარება: "... ბავშვი დაბადების საწყის პერიოდში, საგნის თვისობრიობას არ განიცდის: აღქმა დიფუზურია. 8 თვის შემდეგ აღქმის დიფუზურობა შესამჩნევად კლებულობს და იზრდება საგნის სტრუქტურულ (geStalt) მთლიან მთლიან მოცემულობად აღქმის უნარი..." რ. ნათაძე. ზ.ფს...

ცხადზე უცხადესია, ეს ფაკტები ბიოგენეზის ნათელი გამოვლინებაა.

ფსიქოლოგი – გასაგებია, ზემოთქმულის შესატყვისათ, ფილოგენეზში ჰომინიდის ჯოგში, როცა წოვა-ყლაპვისა და გამოცემულ ხმიანობათა, ზემოთ აღნიშნულ (გეშტალტ) აღქმა-წარმოდგენის უნარიან ინდივიდების რაოდენობა თაობებში უმრავლესობა გახდება, დასაწყისში კანტი–კუნტად, შემდეგ კი უფრო ხშირად მოხდება, ამ ხმათა წარმოთქმნის თუ გაგონების მეშვეობით გაგებინების მიღწევა, რადგან ხმის გაგონება (დაუნახავად) ან წარმოთქმნა წ და ყ ბგერისა თუ დასაწყისში უდრის, შესაბამისად, წოვას და ყლაპვას, მალავს აზროფორმას: წ არაა წოვა, ყ არაა ყლაპვა, არამედ ორივე თანმხლებია აღნიშნული პროცესებისა.

ანთროპოლოგი – უეჭველია, დიდ დროში ჰომინიდის საზოგადოების წევრიდან წევრზე გადაცემული, ამგვარი, მარტივი ფსიქოაქტებით განხორციელებული გაგებინება თაობებში დაჯამდება შეძენილი გამოცდილების სახით, რომლითაც თაობების უწყვეტად და მზარდად გამდიდრების საფუძველზე, ერთ ბედნიერ დღეს, მოხდება ბგერის მიერ აღმნიშვნელობითი ფუნქციის ქონების სრულფასოვანი გაგება.

პოლემიკა III

ავტორი – როგორც ითქვა, ძვ. პალეოლითის დასაწყის პერიოდში წ და ყ მეტყველების დემიურგთაგან წინა და უკანა ენისმიერთა წარმოქმნა, უმეტესწილად, უნდა ვიფიქროთ, მომთავრებულია. უკვე ჩამოყალიბებულია ხმაბაძვის მემკვიდრეობითი უნარი, ამიტომ, ზემოთმოყვანილ მაგალითში – ლესვისას ამ პროცესის ს... ს... ხმიანობები, ხატოვნად თუ ვიტყვით, სამეტყველო სისტემას ეჭაჩება წ > ს ცვლილების მიმართულებით. ასე ვღებულობთ ზემოთხსენებულ (სარი, ისარი და ა.შ.) სიტყვებს. თუმცა, ხშირად, წ შენარჩუნებულია, მაგ: ქართული (წუერ-ი >) წვერი//მეგრ. (წუარ-ი>წუად>ი>) წვანდი "წვერი"-ს ნაცვლად, შესაბამისად, სვერ-ი//სვანდ-ი უნდა გვქონოდა.

ენათმეცნიერი – შრომასთან დაკავშირებულ, ზემოთხსენებულ (სარი, ისარი..) სიტყვების არსებობა იშვიათობაა და არ იძლევა საფუძველს ზოგადი დასკვნების გამოსატანად, ხოლო იმისათვის, რომ გვჯეროდეს შრომასთან დაკავშირებული სიტყვების სიძველე, საჭიროა არქაულ წყაროებში (რაც არ გაგვაჩნია) მათი დადასტურება, ვთქვათ, იმდაგვარად მაინც როგორიც ჩვენსერამდელი ბერძნული გეო "მიწა" და პირსახელი გიორგი "მიწათმოქმედი" რომაა.

ისტორიკოსი – „...ქვეყანა საქართველოს შესწავლა მასში შემავალ ქვეყანათა შესწავლით უნდა წარიმართოს...,,ნ. ბერძენიშვილი „საქართველოს ისტორიის საკითხები...» გვ. 14. მაშინ ვნახავთ, რომ დიახაც რომ ბევრი რამ გაგვაჩნია...

ავტორი – გიორგი მიწადმოქმედის მნიშვნელობის მქონედ რომ მიგაჩნიათ სწორია. ოღონდ, იგი წარმომავლობით კოლხურია და გილგამეშის დროინდელი მაინცაა. ბერძნულში შეღწევამდე დიდი ხნით ადრე აღნიშნავდა მიწათმოქმნედს რადგან გი-ო-რგ-ის ორივე კომპონენტი – გი და რგ უშუალო კავშირშია მიწათმოქმედების ტერმინებთან: გი-ო-რგ-ის გი ფარდია სვ. გე მიწა" და მეგრ.გე "მიწისკენ მიმართულების მქონე ქმედების აღმნიშვნელ ზმნისწინისა.

რგ კომპლექსი კი ამ ანთროპონიმს უცხადესად აკავშირებს (იმდენად უცხადესად, რომ მისი ამ ტერმინებიდან ამოგდება ყოვლად შეუძლებელია) მიწათმოქმედების მთელ წყება ტერმინებთან. ესენია: ქართ. რგ-ვა// მეგრ. რგ-უ-ალა// სვ. ლინ2-რგ-ა-ვი.ძირია რგ (შდრ.და-რგ-ო//დო-რგ: რგ-ული//რგ-ილი). რგ ძირის დერივატები არიან: ნე-რგ-ი// მეგრ. ნა-რგ-ი//სვ.ნე-რგ: ქართ. მა-რგ-ლვა//მეგრ.ბა-რგ-უა(<ბ-რგ-უა)// სვ. ლი-ბე-რგ; სამიწათმოქმედო ხელსაწყოების სახელები: ქართ. მეგრ. მა-რგ-ილი. მეგრ. ბე-რგ-ი (<ბ-რგ-ი)//სვ. ბე-რგ. "თოხი."

უეჭველია, ა-რგ-უნი (<ო-რგ-ურ-ი) სამიწათმოქმედო იარაღიც გახლდათ. გარდა ზემოთქმულისა, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგზე:

პირსახელ გირგის ალომორფალურ ფორმებს შეიცავენ მიწათმოქმედების აღმნიშვნელი ზმნური ფორმები – მეგრ. გერგ-უა-ფა "რგვა" და გერგ "რგულია", დარგულია"; გვარსახელები: გიო-რგ-აძე. გიორგობიანი, გერგე-და, გეგე-ნა და ა. შ.;

ედემი იზორია

(გაგრძელება იქნება)

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია

თანაუგრძნობს ბატონ პეტრე ნაჭყებიას დედის

ნათელა ქუთელიას

გარდაცვალების გამო

მეგრული (იბერიული) ენა (მონაცემები და მნიშვნელობა)

ასე იმიტომ უნდა ჩასახულიყო, რომ თანხმოვანი ბგერები არ არსებობენ ირაციონალური **ჷ** ბგერის თანხლების გარეშე, ხოლო ფონეტიკური ცვლილებები ასე იმიტომ უნდა განვითარებულიყო, რომ ჷ ბგერას აქვს მიდრეკილება გახმოვანებისკენ და ხმოვანდება იქ, სადაც მახვილი ეცემა (იხ. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში), ამასთან ბგერების შეკვეცა სიტყვაში, ჩანს, უძველესი ხანიდან ხდებოდა და დღემდე გრძელდება.

რადგან თანხმოვანი ბგერები არ არსებობენ დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე, **ჷ** ბგერის თანხლების გარეშე და ამ ბგერასთან ერთად ქმნიან დამოუკიდებელ და სრულყოფილ სიტყვებს, ხოლო არქაული ფორმები **ᲒᲨᲒᲬᲔᲒᲤᲒ** და **ᲒᲒᲒᲨᲒᲠᲯᲒᲥᲒᲠᲓᲒ** ბუნებაში არ არსებობენ ასე შეკავშირებული სახით, ამ ფორმებში შემავალი თითო თანხმოვნით გამოხატული სიტყვები და ჰარმონიული კომპლექსები (?) **რჯᲒ** და **რდᲒ** ადამიანთა შეკავშირებული უნდა იყოს. ე.ი. ეს შეკავშირებული ფორმები წარმოადგენენ არქაული ხანის რაღაც შინაარსის წინადადებებს.

შეეცადოთ გავხსნათ ამ წინადადებების არსი.

სიტყვა **ᲒᲨ** დღეს მე-3 პირის ზმნაა და **იგო** (მო-იგო)-ს ნიშნავს. როგორც აღვნიშნეთ არქაულ ხანაში უღლება და სხვა საგრამატიზაციო საშუალებები არ არსებობდა და ის მრავალი სხვადასხვა მნიშვნელობით უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ზოგადი ფორმით კი **ᲒᲨ მოგება**-ს ნიშნავდა; სიტყვა **მᲒ**, **Გ** ბგერის გახმოვანების შემდეგ, მა (მე) პიროვნებას, ადამიანს ნიშნავდა. სვანურს შემონახული აქვს ძველი იბერიული სიტყვა **მარე**, რაც კაცს (ადამიანს) ნიშნავს. **მარე**-ს პირდაპირი თარგმანია **მე არის**. მე, ადამიანის გარდა, სხვა არსებებზე არ ითქმის; სიტყვა **ᲤᲨ** იდუღას ნიშნავს, ზოგადი ფორმით – **დუღილს;** სიტყვა **ქᲒ**, გახმოვანების შემდეგ **ქო**, რეალობის დამადასტურებელი სიტყვაა და, დამოუკიდებლად, **კი**-ს მნიშვნელობით იხმარება, მაგრამ ის ქა, ქე, ქი, ქო და ქუ ფორმით წინსართად ერთვის ფუძეებს. მაგ., **ქა**-ცოთᲒ **ესროლას** ნიშნავს, ზედმიწევნით თარგმანთი **კი სროლა** იქნება. **ქე**-ლაცაფᲒ ეთამაშას ნიშნავს, ზედმიწევნითი თარგმანით – **კი თამაშა**-ს. ქი-მი-ᲪᲣᲜ **მოიყვანას** ნიშნავს, ზედმიწევნითი თარგმანით – **კი მოიყვანას**. ქო-მორთ **მოვიდას** ნიშნავს, ზედმიწევნითი თარგმანით – **კი მოვიდა**-ს. **ქუ**-გასოფᲒ **შემოახიას** ნიშნავს, ზედმიწევნითი თარგმანით – **კი მოახია**-ს.

როგორც ვხედავთ, სიტყვაში **ქᲒ**, **Გ** ბგერა რომელი ხმოვნითაც არ იყოს გახმოვანებული, **კი**-ს ნიშნავს; სიტყვა **ᲪᲒ** მე-3 პირის ზმნაა და **ჰყო(ქმნა)**-ს ნიშნავს; ჰარმონიული კომპლექსების სახით წარმოდგენილი ფორმები **რჯᲒ** (გახმოვანების შემდეგ **რჯა**) და რდᲒ (ზარდა; იყო. ის დღემდე ასეთი არქაული, გაუხმოვანებელი ფორმით გამოიყენებიან დღემდე წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონებში) ბუნებაში ასეთი ფორმით არ არსებობენ. არსებობენ დანაწევრებული **რᲒ** და **ᲯᲒ** და **რᲒ** და **ᲓᲒ** ფორმით. მაშასადამე, ისინი ბუნებრივი ჰარმონიული კომპლექსები არ არიან. ე.ი. ადამიანთა მიერ შეკავშირებული ფორმები უნდა იყონ. **რᲒ** (რე), ქართულად **არის**, ამა თუ იმ რეალობის დამადასტურებელი სიტყვაა, მაგრამ „ძლიერი მოძრაობის გამომხატველიცაა“ (ლაიბნიცი). **ᲯᲒ** მე-3 პირის ზმნაა და ნიშნავს **წევს**, ზოგადი ფორმით **წოლა**-ს, **ᲓᲒ**-ც მე-3 პირის ზმნაა და **დო**-ს ნიშნავს, ზოგადი ფორმით **დება**-ს. ე.ი. **რᲒᲯᲒ** (რჯ რჯა) წოლელა მდგომარეობაშიც მოძრაობას, ანუ ნებისმიერ მდგომარეობაში და პირობებში მიუსვენრობას, დაუღალავ შრომას ნიშნავს. ხოლო **რᲒᲓᲒ** (რდᲒ) ადგილზე მოძრაობას, ანუ „უძრაობაშიც“ მოძრაობას, **ზრდა**-ს ნიშნავს.

მაშინ არქაული ხანის მისასალმებელი წინადადებები, **ᲒᲨᲒᲠᲯᲒᲪᲔᲒᲤᲒ** და **ᲒᲒᲒᲨᲒᲠᲯᲒᲥᲒᲠᲓᲒ,** თანამედროვე მეტყველების დონეზე, შემდეგი სიტყვებით იყო წარმოდგენილი: **მოგება, მე, რჯა, ჰყო, დუღილი და მოგება, მოგება, მე, რჯა, კი, ზარდა.** ე.ი. თანამედროვე მეტყველების დონეზე პირველი მიმსალმებელი მეორეს შემდეგს ახსენებდა და უსურვებდა: **მოგება მეს გარჯამ ჰყოს დუღილით**, ან კიდევ, **მოგების დუღილი მეს გარჯამ ჰყოს.** ხოლო მეორე პასუხად შემდეგს უსურვებდა: **მოგება, მოგება, მეს გარჯამ კი ზარდოს.** სასიამოვნო სურვილებია, არა?

ცხადია, ადამიანთა ყოველდღე ხშირი შეხვედრები და მისალმებები მუდმივად ახსენებდა მათ ამ მისალმებათა არსის, პრაქტიკაში, ცხოვრების წესად დამკვიდრების რაციონალიზმს და როგორც ისტორიის გადასახედიდან ჩანს, მოგების მხოლოდამხოლოდ გარჯით მიღება, მართლაც, დამკვიდრდა საზოგადოებაში ცხოვრების წესად. იმ ხანად ეს ტრიუმფალური სულიერი ნახტომი იყო ადამიანის განვითარების ისტორიაში და, ფართო გავრცელება ჰპოვა მთელს დედამიწაზე. ამიტომ „ვრცელდებოდა იბერიული ცივილიზაცია პირინეიდან ინდოეთამდე“ (ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი). ამან გამოიწვია დემოგრაფიული აფეთქება ხმელთაშუა ზღვის აუზში და, განსაკუთრებით, ევროპაში.

აშკარად გამოჩნდა, რომ ადრე არსებულ ცხოვრების წესს საბოლოო განადგურებამდე მიჰყავდა კაცობრიობა და, სწორედ, ამ დროს იფეთქა უზენაესი შემოქმედისგან ადამიანში ჩადებულმა ღვთიურმა ნაპერწკალმა და მიახვედრა, რომ მხოლოდ თითოეული ადამიანის სასარგებლო შრომას შეეძლო საერთო ბედნიერების მოტანა. ამიტომ საჭირო იყო, უშრომლად, გარჯის გარეშე, მიმღების დაუნდობლად მხილება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამკვიდრდა მამხილებელი წინადადება **ქო ᲯᲒ ᲓᲒ რე** (კი, წევს, იღო, არის). თანამედროვე გაგებინებისა და გრამატიზირების დონეზე: „კი წოლელა მიმღები არის“. შემდეგ მოხდა სრულად გახმოვანება, თანდათანობითი ტრანსფორმირება და საბოლოოდ ასე ჩამოყალიბდა:

ქო ᲯᲒ Დ რე ქო ნᲯᲒ Დ რე ქო ნᲯᲓო რე ონᲯᲓორე.

მაგრამ **წოლელა მიმღების** უღირსი ცხოვრების წესი უფრო მძაფრად, რომ გამოხატულიყო, ალბათ, აუცილებელი შეიქმნა პიროვნების უღირსი საქციელის (საარსებო საშუალებების გაურჯელად, წოლელა მიღების) უფრო მძაფრი ემოციის გამომწვე ფორმებში დაფიქსირება და, ძნელია იმის დადგენა, რა დროის გავლის შემდეგ, მაგრამ ფაქტია, იბერიულ მეტყველებაში დამკვიდრდა შემდეგი წინადადება: **სი[ს][მაში] რᲒᲩᲮᲒᲒᲒრე** (შენში მეს რეცხვა არის). იგულისხმება, შენში ჭეშმარიტი მეს, ღვთიური ნაპერწკლის, ღვთიური თვისებების რეცხვა, ანუ ღვთიური თვისებების უარყოფა და ველური ცხოვრების წესისკენ დაბრუნება.

ზემოთ აღნიშნული წინადადების მიერ შემდეგი ფონეტიკური ცვლილებების გავლით მივიღეთ სიტყვა **სირცხვილი:**

სი[ს მაში] რᲒᲩᲮᲒᲒრე სი[ს მაში] რᲒᲩᲮუა რე სი[ს მაში] რეᲩᲮუა რე სი[ს] რეᲩᲮუა რე სი რეცხუა რე სირცხუარე სირცხუალე სირცხუილე სირცხუილი **სირცხვილი.**

დღეს ე.წ. მეგრული **ინჯᲦორე** ქართულ (თანამედროვე იბერიულ) ენაზე ითარგმნება, როგორც **სირცხვილი**, მაგრამ, როგორც დავინახეთ, ეს ერთიდაიგივე მნიშვნელობის სხვადასხვა ბგერითი შემადგენლობის ორი სიტყვა სხვადასხვა ენით კი არ არის გამოხატული, არამედ ერთი ენის სინონიმებია.

თანამედროვე იბერიულში (ქართული) გვაქვს სიტყვა **მშვიდი** (იბერიულადაც მშვიდია) და მისი სინონიმი **დინჯი**. ორივე ეს სიტყვა ითქმის გაწონასწორებულ და აუღელვებელ, დაკვირვებულ და ბრძენ, არსებული რეალობის გონების თვალით, ღვთიური სიბრძნით მჭვრეტელ და შემფასებელ ადამიანზე, მაგრამ მათი ეტიმოლოგიის დადგენა ქართული ენით შეუძლებელია. ვსინჯოთ ძველი იბერიულით:

მშვიდი თავდაპირველად უნდა ჩასახულიყო ფორმით მᲒშᲒᲒთᲒ, რომელმაც შემდეგი ფონეტიკური ცვლილებები გამოიარა:

მᲒშᲒᲒთᲒ მᲒშუითი მშუითი მშუიდი

მშვიდი, სადაც **მᲒ** იბერიული **მა**-ს და ქართული **მე**-ს არქაული ფორმაა, **შᲒᲒ** იბერიულ ენაში დღემდე შემონახულია ასეთი ფორმით, მე-3 პირის ზმნაა და ნიშნავს **ახსოვს, თᲒ** კი პირდაპირი მნიშვნელობით თოვა-ს, თოვლის მოსვლას ნიშნავს. თოვლი კი ნათელის, სიწმინდისა და სისპეტაკის სიმბოლოა. თᲒ-გადატანითი მნიშვნელობით იხმარება უზენაესი ნათელის, შემოქმედის აღსანიშნავად. ე.ი. **მშვიდი** სამი სიტყვის (მე, ახსოვს, ღმერთი) კომპოზიციას წარმოადგენს და ნიშნავს **მეს ახსოვს ღმერთი.**

დინჯი კი თავდაპირველად უნდა ჩასახულიყო არქაული ფორმით თᲒნᲒᲩᲒ, რომელმაც შემდეგი ფონეტიკური ცვლილებები გამოიარა:

თᲒნᲒᲩᲒ თინᲒᲩი თინᲩი დინჯი (დ-ტ, ჯ-ჩ-ჭ და ა.შ. ჰარმონიული ბგერების ურთიერთ შეცვლა ჩვეულებრივი ფონეტიკური მოვლენაა). აქ ნᲒ – გადატანითი მნიშვნელობით ღმერთ-შემოქმედს ნიშნავს, პირდაპირი მნიშვნელობით კი – წყალს (წყაროს სიცოცხლისა); **ᲩᲒ** – დღემდე შემონახულია იბერიულ ენაში ასეთი ფორმით და **აᲭამა**-ს, **გამოკვება**-ს ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ არქაული ფორმის თᲒნᲒᲩᲒ უცვლელადაა შემონახული წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონებში, ხოლო მარტვილსა და აბაშაში იტყვიან **თინᲩი.** ე.ი. სიტყვა დინჯი თავდაპირველად გამოხატული იყო სიტყვებით **ნათელი, ღმერთი, კვება**, რომლებიც თანამედროვე გრამატიზირების დონეზე ასე შეიძლება დავაკავშიროთ: **ნათელით ღვთისა კვებული.**

ამრიგად ვისაც **ახსოვს ღმერთი** და **კვებულია ღვთიური ნათელით**, ცხადია, ღვთიური სიბრძნითა და ზნეობით შემკული, მშვიდი, დინჯი და გაწონასწორებული იქნება.

სიკეთე. ეს სიტყვა სამი დამოუკიდებელი სიტყვის კომპოზიტია: სი[ში] კეთ[Გ რ]ე = შენში კეთᲒ არის. აქ გაუგებარია სიტყვა კეთᲒ, რომელიც, თავის მხრივ, ორი არქაული სიტყვების **კᲒᲒ**-ს და თᲒ-ს კომპოზიტის ტრანსფორმაციის შედეგი უნდა იყოს. **კᲒᲒ** ნიშნავს **კვერა, ჭედა, აწრთო**-ს, ხოლო **თᲒ**, როგორც ვნახეთ, ნათელს. მაშასადამე, სიკეთე სრული ფორმით ასეთი მნიშვნელობით უნდა ჩასახულიყო: **შენში ჭედვა (წრთობა) ნათელისა არის.**

შეიძლება, ბევრმა იცოდეს ზეპირად ღვთიური ზნეობრივ-მორალური დოგმები, მაგრამ ამ დოგმებს სულაც არ ასრულებდეს, ან რაღაც მაინც ეშლებოდეს ღვთიური კანონზომიერებების სრულყოფილად უცოდინარობის გამო, ან კიდევ, მოწოდებული იყოს ამ კანონზომიერებების სიღრმეებში წვდომით და, პრაქტიკულად, ამ კანონზომიერებებთან ჰარმონიული თანაცხოვრებით, ანუ ღვთიური თვისებების თავისთავში ჭედვითა და წრთობით და, არამარტო თავისთავში, არამედ ამ თვისებათა სხვებშიც გამომუშავებით. ესაა ნამდვილი სიკეთე. აბსოლუტური სიკეთე კი მხოლოდ ღმერთია. ამდენად, კეთილი ადამიანი მიდრეკილია დაემსგავსოს ღმერთს თვისებებით.

მხსნელი. მხსნᲒ ბგერათა კომპლექსი არაა ბუნებაში არსებული ჰარმონიული კომპლექსი. ასეთი ფორმით ის ბუნებაში არ არსებობს, ე.ი. ადამიანების მიერ შეკავშირებული კომპლექსია. თანხმოვანი ბგერები კი ცალ-ცალკე არ არსებობენ ირაციონალური Გ ბგერის თანხლების გარეშე. მაშასადამე, სიტყვა **მხსნელი** თავდაპირველად ჩაისახა ფორმით მᲒხᲒსᲒნᲒრᲒ, მაგრამ, როგორც ღავნიშნეთ, სადაც Გ ბგერას მახვილი არ ეცემა იქ, საერთოდ, ხშირად იკარგება. ე.ი. არქაული წინადადებიდან **მᲒხᲒსᲒნᲒრᲒ** სიტყვა მხსნელი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

მᲒხᲒსᲒნᲒრᲒ ® მᲒხᲒსᲒნერე მხსნერე ® მხსნელᲒ მხსნელი. აქ ხᲒ – შვა (შობა)-ს ნიშნავს, სᲒ – შვება-ს. ეს დამოუკიდებელი სიტყვები (მე, შობა, შვება, შემოქმედი, არის) თანამედროვე დონეზე შეიძლება ასე დავაკავშიროთ: მე შვების შობის შემოქმედი არის, ე.ი. სიტყვა **მხსნელი** თავდაპირველად ასეთი მნიშვნელობით ჩაისახა: **პიროვნება შვების შობის შემოქმედი.** ჭეშმარიტად, **მხსნელი** შვების შობის შემოქმედი პიროვნებაა.

ეთნიკური სახელწოდება **იბერი** სხვადასხვა ენაზე სხვადასხვა ბგერითი შემადგენლობითაა წარმოდგენილი: ებრაულ წყაროებში – თუბალი, ქართულ წყაროებში – თუვალი, ასურულ წყაროებში – თაბალი, ბერძნულ და რომაულ წყაროებში კი – თობელი, ტაბარი, ტიბარი და ტიბერი (იხ. ნ. ხაზარაძე, აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ.წ.აღ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. სადისერტაციო ნაშრომი). რადგანაც იბერიულ (ე.წ. მეგრულ) ენაში თი და ი მსაზღვრელი ფორმები, ორივე ნიშნავს **ის**-ს [მაგ., **თი** ბოში და **ი** ბოში (ის ბიჭი), თი საქმე და ი საქმე (ის საქმე)], ამ ენაზე უფრო ადრინდელი ფორმა არა **იბერი**, არამედ **თიბერი** უნდა ყოფილიყო.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, უნდა დავასკვნათ, რომ სხვადასხვა ენაზე აქ წარმოდგენილი ეთნიკური სახელწოდებების თავდაპირველი ძირისეული ფორმა **თᲒბᲒრᲒ** უნდა ყოფილიყო, სადაც **თᲒ** უზენაეს ნათელს ნიშნავს, **ბᲒ** – ბმას, კავშირს, **რᲒ** კიდევ, რე (არის)-ს. მაშასადამე, არქაული ძირისეული ფორმა **თᲒბᲒრᲒ** ასეთი მნიშვნელობით უნდა ჩასახულიყო: **[უზენაეს] ნათელთან კავშირი არის, ან [უზენაეს] ნათელთან კავშირის მქონე, ან კიდევ, [უზენაეს] ნათელთან მოკავშირედ ყოფიერი.**

მარხვა. ქრისტიანულ-რელიგიური დოგმების დაცვას მარხვა ეწოდება. **მარხვა** ითვალისწინებს დიეტის და, რაც უმთავრესია, სულიერ-ზნეობრივი ნორმების, კერძოდ, ათი მცნების წმინდად დაცვას. ბუნებაში მცენარეული ორგანიზმები კვებავენ ცხოველურს, ცხოველური მიკროორგანიზმები კიდევ, მცენარეულს. ეს ღვთითაა დადგენილი. ქრისტეანთათვის ღვთიური კანონზომიერებების დარღვევა დიდი ცოდვაა. ამიტომ მარხვის დროს ქრისტეანეთ ეკრძალებათ ცხოველური საკვების მიღება, ამ დროს ორგანიზმი იწმინდება მავნე ნივთიერებებისგან და ჯანმრთელობა უმჯობესდება.

წელიწადის განმავლობაში დროის 52-53% მარხვის დღეებს უკავია. პერიოდულად ქრისტეანული სულიერ-ზნეობრივი ნორმების დაცვით ადამიანი თანდათანობით ეჩვევა მას და ამ ნორმების დაცვა ცხოვრების წესად ექცევა, ხოლო, როცა თავისთავზე გამოცდის გამომუშავებული ცხოვრების წესის სიკეთეს და რაციონალიზმს, მტკიცდება რწმენაში, უძლურდება ღვთისა და მოყვასის სიყვარული, უფრო და უფრო იძენს ღვთიურ თვისებებს, იზრდება სულიერ-ზნეობრივად და სრულიად **ახალი თვისების ადამიანი იშობა** ჩვეულებრივი ცოდვილისაგან.

რატომ ეწოდა აღნიშნული დოგმების დაცვას **მარხვა?**

ეტყობა, თავიდან ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ უბიძგა გონიერ ადამიანს სულიერ-ზნეობრივი სრულყოფისკენ, რომ დაედგინა აღნიშნული ნორმების დაცვა, ხოლო, როცა საზოგადოებამ იგემა მისი სიკეთე და ეფექტურობა, ირწმუნა კიდეც ამ ნორმების დაცვით ჩვეულებრივი ცოდვილი ადამიანისგან ახალი, სულიერ-ზნეობრივად ამაღლებული ადამიანის შობის შესაძლებლობა და აღნიშნული ნორმების დაცვის პროცესი **მა[ში] რ[ე] ხუა[ლა]** (მესი არის შობა) წინადადებით დააფიქსირა. სიტყვა **მარხვა** ასე ჩამოყალიბდა:

მა[ში] რ[ე] ხუა[ლა] მარხუა მარხვა.

მართი. ეს სიტყვა უნდა ჩასახულიყო ფორმით **მᲒრᲒთ**, რაც თანამედროვე მეტყველების დონეზე ნიშნავს **მა[ს] რ[ე] თ[Გ]** და პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს: **მეში არის თოვლი**, რაც უაზრობაა, მაგრამ თუ ვიხმართ გადატანითი მნიშვნელობით, აღნიშნული არქაული წინადადება ასე წარმოგვიდგება: **მეში არის ნათელი**. როცა მეში ნათელია, მისი გონება განათებულია, გასხივოსნებულია, ანუ, როცა მეს (პიროვნების, ადამიანის) გონება გასხივოსნებულია, მასშია ჭეშმარიტება, სი-**მართ**-ლე.

მართვა. სულიერ-ზნეობრივი სიმაღლიდან **მართვა** (მართუა მა[ს] რ[ე] თუა[ლა]) ცხოვრებისა, ღვთიური, გასხივოსნებული ადამიანის თვისებაა. **მას რე თუალა** პირდაპირი მნიშვნელობით, ე.წ. მეგრულად ნიშნავს: **მეში არის თოვა**, რაც იგივეა, **მეში არის თოვლის მოსვლა,** გადატანითი მნიშვნელობით, **მეში არის ნათელის მოსვლა,** გასხივოსნება.

ადამიანში გამომუშავებული ღვთიური თვისებების, გასხივოსნებული გონებით, ღვთიური რაციონალიზმით გამოყენება და რეალიზება სრულყოფს და ღმერთად აქცევს მას.

ᲙᲣᲙᲣᲠᲘ ᲤᲘᲤᲘᲐ

ზაურ წურწუმიას ხსოვნას



წაქცეული ხე უკეთ იზომებაო, ნათქვამია. თვალს თუ გადაავლებთ ზაურ წურწუმიას მიერ განვლილ წლებს, დარწმუნდებით, რომ მან ღირსეულად იცხოვრა და შეუცდომლად იარა ჩვენი ქვეყნის მიხვეულ-მოხვეულ გზებზე.

1975 წელს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მოვიდა ბატონი ზაური ზუგდიდის ფაიფურის ქარხანაში. სულ მალე სათავეში ჩაუდგა ენერგოსამსახურს, სადაც იმუშავა 15 წელი და სწორედ აქ ჩამოყალიბდა ძლიერ სპეციალისტად.

1990-91 წლებში იყო ზუგდიდის გაერთიანებული ენერგოკომპანიის დირექტორი. 1993 წელს სამსახური დაიწყო შ.პ.ს **„ტერმინალში“** (ზუგდიდი) მთავარ სპეციალისტად. 1996 წელს გაწევრიანდა თბილისის შ.პ.ს **„გამართვაში“**. 1996-98 წლებში აჭარაში ჩაატარა შემდეგი სამუშაოები:

1) ქობულეთი: 2 ერთეული 500 კვტ სიმძლავრის ელ. გენერატორის მონტაჟი და გამართვა.

2) ბათუმი: 200 კვტ სიმძლავრის 10 ერთეული ელ. გენერატორის მონტაჟი და გამართვა. 1100 კვტ სიმძლავრის და 6000 ვოლტი ძაბვის ელ. გენერატორის კაპიტალური რემონტი და გამართვა. ცენტრალურ პურის ქარხანაში ელ. ქვაბების დამზადება და მონტაჟი.

3) შუახევი: ჰესების გამართვა.

1995-2000 წლებში ფოთის პორტში გამართვითი სამუშაოები ჩაუტარა 4 ერთეულ 1100 კვტ სიმძლავრის და 600 ვოლტი ძაბვის ელგენერატორებს,

1998-2005 წლებში სამუშაოებს აწარმოებდა ყულევის ტერმინალში, დაამონტაჟა 8 ერთეული 100-500 კვტ სიმძლავრის გენერატორები. განახორციელა ელმართვის სისტემების მონტაჟი და გამართვა სპეციალურ გემზე.

1996 წელს თბილის მეტროპოლიტენის სპეციალურ ობიექტზე დაამონტაჟა და გამართვითი სამუშაოები ჩაუტარა 3 ერთეულ 1600 კვტ სიმძლავრის და 10000 ვოლტი ძაბვის გენერატორებს.

კასპში გამართვითი სამუშაო ჩაუტარა 1100 კვტ სიმძლავრის გენერატორს.

1988-2011 წლებში საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში დაამონტაჟა და აამუშავა 100-ზე მეტი სხვადასხვა გენერატორი.

2009-11 წლებში საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ენერგეტიკული კომპანიის უფროსია.

ბატონმა ზაურ წურწუმიამ სადაც კი იმუშავა, ეს იქნება ზუგდიდი, ბათუმი თუ თბილისი, ყველგან დატოვა დიდი სიყვარული და პატივისცემა. პროფესიულ დონეზე აკეთებდა დიდ სამუშაოებს. ის იყო, როგორც კარგი, საუკეთესო სპეციალისტი, ასევე დიდი პიროვნება, რომელიც ყველა მის მეგობარს თანამდგომად და დასაყრდენად გვეგულებოდა დედაქალაქში. აწუხებდა ქვეყნის ბედი, ტკიოდა აფხაზეთი და სამაჩაბლო. ბავშვივით უხაროდა სახელმწიფოს სათავეში ახალი ძალების მოსვლა. სურვილი და გეგმები ჰქონდა დახმარებოდა მათ.

ბედისწერით თუ აიხსნება, მისი ენერგიისა და გაქანების კაცის ნაადრევი წასვლა წუთისოფლიდან. ბევრი პროექტი ჰქონდა მოფიქრებული და გასაგრძელებელი, რომლის განხორციელებაც არ დასცალდა.

იცხოვრა პატიოსნად, კაცურად. დარჩა შესანიშნავი ოჯახი: მეუღლე – ქალბატონი ია შელია, შვილები – ირაკლი და ნინო. როგორც უკვე ვთქვით, ბატონმა ზაურმა თან წაიღო ბევრი ოცნება, რაც ერთობ სამწუხაროა, თუმცა იმედად მისი შვილი ირაკლი გვრჩება, რომელიც ინფრასტრუქტურის სამინისტროში წამყვან სპეციალისტად მუშაობს და გვჯერა პირნათლად გააგრძელებს მამის დაუმთავრებელ პროექტებს.

თბილისის, და არა მარტო თბილისის, ზუგდიდისა და ბათუმის საზოგადოებამ, მისმა საყვარელმა სამეგობრომ, რომელიც აურაცხელი ჰყავდა, ზღვა ყვავილებითა და ცრემლებით გააცილა ბატონი ზაური უკანასკნელ გზაზე.

ნათელი იყოს შესანიშნავი მეგობრის, ზაურ წურწუმიას გზა ზეციურ საუფლოში, ღმერთმა განუსვენოს მის სულს, სადაც მართალნი განისვენებენ.

უახლოესი მეგობრები

ქართული ფეხბურთის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული არავის შერჩება!

ამ სტრიქონებს რომ წაიკითხავთ, ლევან კობიაშვილი უკვე გერმანიაში იქნება. დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი **“ჰერტას”** ახალგაზრდულ გუნდში იმუშავებს.

“კობი” საინტერესო, გულღია მოსაუბრეა. არც კრიტიკას ერიდება და არც უკეთესი მომავლის რწმენას კარგავს.

დიდი ალბათობით ლევანი კენჭს იყრის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში და შეეცდება, წლების განმავლობაში ევროპაში მიღებული გამოცდილება ქართულ ფეხბურთს მოახმაროს.

მაშ ასე, ჩვენი სტუმარია ლევან კობიაშვილი.

– ხვალ გერმანიაში მიემგზავრებით და “ჰერტას” ახალგაზრდულ გუნდში იმუშავებთ...

– “ჰერტასთან” მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებს. როცა კლუბის შემადგენლობაში ბოლო ოფიციალური მატჩი ჩავატარე, მაშინვე ვიცოდი, რომ მუშაობას იქ გავაგრძელებდი. უბრალოდ, ძალიან მომეწატრა საქართველო. თვეზე მეტხანს ვიყავი თბილისში. მივდივარ გერმანიაში და რამდენიმე დღეში შევუდგები კლუბში მუშაობას.

– არაერთხელ გითქვამთ, რომ მწვრთნელის პროფესია არ გიბიძგებთ. აზრი ხომ არ შეიცვალეთ?

– ჩემს აზრზე ვრჩები.

– “ჰერტაში” დაკავებული პოსტი ხელს ხომ არ შეგიშლით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობაში?

– ჩემი პრიორიტეტი ყოველთვის იყო, არის და იქნება საქართველო, ქართული ფეხბურთი. თუ საბოლოოდ გადავწყვეტ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, კლუბი ხელს არ შემიშლის. კონტრაქტი კი მაქვს, მაგრამ ჩემს სურვილს “ჰერტაში” გაგებით მოეკიდებიან.

– რას იტყვით ამჟამად არსებულ საარჩევნო წესდებაზე?

– ჩემი აზრით, ასე იოლად არ დგას ეს საკითხი. მას შემდეგ, რაც უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა გაიზარდა, ხმოსანი სუბიექტების რაოდენობაც მოიმატებს. არ მესმის, რატომ არ უნდა ჰქონდეთ ხმა პირველი ლიგის გუნდებს. ისინიც ხომ ჩვენი საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლები არიან. ჩვენი ასაკობრივი გუნდების წარმატებით რომ ვხარობთ, ეს ბიჭები, მათი უმეტესობა, პირველ ლიგაში არ თამაშობენ?!

– როდის აპირებთ გამოსათხოვარი თამაშის ორგანიზებას?

– მინდა, ყველამ სწორად გამიგოს. მე არ მჭირდება არავის მიერ ორგანიზებული გამოსათხოვარი მატჩი. არც ვინმეს საჩუქრები მინდა. ყოველთვის ვთამაშობდი ჩემი ქვეყნისა და ხალხისათვის და თუ რამეს მივაღწიე, მათი დამსახურებით და მათთვის მივაღწიე.

– თავის დროზე ლევან კობიაშვილი ისე ვერ წავიდა საქართველოს ნაკრებიდან, როგორც იმსახურებდა. გულწრფელად გვითხარით, თემურ ქეცბაიაზე ნაწყენი ხართ?

– ამოწურულია ეს თემა. პირველად თქვენთან ვამბობ, თავიდან, ნაკრებში რომ აღარ ვთამაშობდი, ეროვნული გუნდის თამაშებს ტელევიზორშიც კი ვერ ვუყურებდი. ასე ცხოვრებაში არაფერი განმიცდია. ქეცბაია მწვრთნელია, მე – ფეხბურთელი ვიყავი. თემური წყვეტს, ვინ უნდა ითამაშოს ნაკრებში და ვინ არა. მე ნებისმიერ მის გადაწყვეტილებას პატივისცემით შევხვდებოდი.

არიან ფეხბურთელები, ვისთანაც დალაპარაკება პრობლემაა. არ ვარ ასეთი ადამიანი. ჩემთან ურთიერთობა არასოდეს ყოფილა პრობლემა. რა უნდა მექნა? მივიღებდი ყველაფერს ჩვეულებრივად. რომელი დებოშის მომწყობი და ამტეხი მე ვარ?! ერთი-ორი კვირა ვინერვიულებდი და მერე დავმშვიდდებოდი. კობიაშვილის ხომ არაა ეს ნაკრები, რომ სულ ითამაშოს?! აქ მე ურთიერთობის ფორმაზე მაქვს ლაპარაკი. როგორ შეიძლება, ჩემი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელს გავებუტო? ამას წინათ, ცხრამეტწლამდელების ტურნირზე, შვეიცარიაში, შევხვდით ერთმანეთს. ჩვეულებრივი სალამი, მოკითხვა... მოკლედ, არანაირი წყენა...

– ფაქტია, რომ იმ დროს ერთადერთი ქართველი იყავით ევროპის ტოპ-ლიგაში...

– გამახარა თორნიკე ოქრიაშვილის ტრანსფერმა “გენკში”. ჯერ ერთი, კარგი გუნდია და მეორეც, თუნდაც ევროპის დაბალ ლიგებში რომ ითამაშონ ახალგაზრდა ქართველებმა, ცუდი არ იქნება. ევროპაში სულ სხვანაირი საფეხბურთო წესრიგია. ამ ბიჭებს 10-15 წელი კიდევ აქვთ სათამაშო და ყველაფერს მოესწრებიან.

– გასაგებია, რომ თუნდაც რუსეთის საშუალო გუნდში წასვლა ახალგაზრდულ ასაკში არ არის საშური საქმე, მაგრამ თქვენც იყავით “ალანიაში” – ალბათ, ყველაფერი ინდივიდუალურია...

– ხანდახან უნდა გადადგა ერთი ნაბიჯი უკან იმ პერსპექტივით, რომ უახლოეს მომავალში ორი ნაბიჯი გადადგა წინ. არ ვტრაბახობ და, პირველივე სეზონშივე “ალანიას” ერთ-ერთ ლიდერად ჩამოვყალიბდი. სეზონი რომ მორჩა, ჩემი დატოვება უნდოდათ და კარგ კონტრაქტსაც მთავაზობდნენ, თუმცა წავედი მეორე ბუნდესლიგის “ფრაიბურგში”. ცხადია, გათვლა მომავალზე მქონდა.

– ხომ არ გიფიქრიათ იმაზე, რომ კარიერა თქვენს მშობლიურ გუნდში, თბილისის “დინამოში” დაგესრულებინათ? ეს, ალბათ, გულშემატკივარს სტადიონზე მოიზიდავდა და ახალი თაობის ლეგიონერებისთვისაც გამოდგებოდა მაგალითად...

– ჯერ ზოგადად გეტყვით. როცა უნდა დამესრულებინა კარიერა, ვთქვათ, ხუთი წლის შემდეგაც კი, ამ გრძნობას და ნოსტალგიას ვერ ავცდებოდი. გადავწყვიტე, ახლა გამეკეთებინა ეს. დროულად წასვლასაც ცოდნა უნდა.

გამოვიდა კრემლიოვის წიგნ “ლავრენტი ბერიას” თარგმანის მესამე ტომი



უკვე გამოვიდა I, II და III ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”. გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322

გამოვიდა ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დანიელ ფიფიას ნაწარმოებების სრული კრებული “ბორჯი”, რომელიც შეადგინა და გამოსცა მწერალმა და ჟურნალისტმა ბატონმა თამაზ ფიფიამ.

წიგნის შეძენა შეიძლება ქალაქ ზუგდიდში, რუსთაველის ქუჩა №65-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ზუგდიდის ოფისში.

ტელ. 599-209-624

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაკირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, ცირეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი). **ტელ: 893-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო “ისანთან”), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალაღანია**
ტექნიკური რედაქტორი: **მიხეილ ჩოდრიშვილი**
გაზეთის მენეჯერი: **ზურაბ ძობალია** 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირგატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჯინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge